საქართველოს

ფოსტა

1863

№ VIII სეკტემბერი

წელიწადი პირველი

ტფილისი

გაბრიელ მჭედლიშვილის და ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბაში

I. უცხაური ნაშნობა ტფილისის საიდუმლოებისაგან ი. ბერძენისა.

II. ლექსები.

III. ბელინსკის აზრი შეილების აღზდაზედ. მაქსიმ ლოლანიძისა,

VI კირაკოზი განძაკეცი. . . . . ბ. კ.

IV. კონრად კიოვერი ანუ დარიგება უმაწვილების კარგად აღზდისათვის. . . . . ლევან კანდიერაშვილისა.

VII. საბრალო. რომანი ვიკტორ ჰუგოსი, თარგმ. გიორგ. ბიჭოანისა.

2

საუკუნეთაგან

დაფარულ

სალიტერატურო ჟურნალი

გამოცემის

ი. ჯავჯავაძისაგან

Тбилисский филиал
Библиотека
Имэл при ЦК ВКП (б)

«ხოლო ლელვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან ს გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული»
(თავი 13, მუხ: 23. სახ: მარკოზისა).

ტომი III.

НЕ ВЫДАЕТСЯ

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ მელქუმიანცისა და ამბარცუმ ენფიანჯიანცის სტამბაში.

ნაწილი მესამე

თავი მეთექვსმეტე

XVI.

ერთგან დასხდეს ლ დაიწყეს კოცნა, ლაღობაწყლიანი.

. . . . . .

. . . . . .

რუსთველი.

ვანქის უბანში ავანაანთ ხეკ გასწვრივ ერთი დაბალი მიწური ბანის სახლიდამ, რომელსაც ჭქონდა გაკეთებული წინიდამ ვერანდა წნელმოგლებული ბალჩა, და რომელიც შეიცავდა ორ ვერანდა ოთახს სამზვარეულოთი და სარდაფით, მოისმოდა როგორც ხმა მაღალი ლაპარაკი, ეგრევე სიმღერის ხმაც.—

მაშინ იყო მეხუთე საათი შუადღიდამ.

—მაიცა ჭალა, არ მიჯერია, ეგრე აი, იიფ! შენი-კი ჭირიმე, დაიძახა ეშხით გულ გადაღეღილმა სომხის ახალ გაზდა ბიჭმა, რომელსაც მარცხენას ხელით ეჭირა დაირა, და რომელმაც მოსდო რა კისერზედ ხელი მის წინ დაჩოქილ ცალ მუხლზე თოთხმეტი წლის თეთრ ყირმიზ ქალს, აკოცა ჯერ შუბლზე, მერე თვალებში, შემდეგ ლოყებზედ, მასუკან ყელში და ბოლოს ბრილიანტით თეთრ მკერდზედ, და ჩამაართვა მასთანავე ხელიდამ თეთრი ფაიანსის თეფში, რომელზედაც იდგა სამი ბრილის სტაქანი, საგსე კახური წითელის ღვინით.

ამ დროს მეორე მისი ამხანაგი, რომელსაც ეჭირა ხელში თარი, და რომელსაც უჯდა გვერთით თოთხმეტი წლისვე ხორბლის ფერი ქალი, ქუდ ჩაკეცილი და გულ გადაღებილივე იძახდა გრძნობით:

—მაშ მოდი ისევ დვინითა, არიალალი, ...

დრო. . . .

ესენი რო ამ ლხინსა და შექცევაში იყვნენ, უცებ მოადგნენ გარედამ ქუჩის კარებს საშნი ბირნი, რომლთაც დაურეკეს ძალზედ კარები.

—ვინა ხარ? გასძახა ეზოდამ თორმეტის წლის ბატარა ბიჭმა.

—გაღე მალე, შემოუძახეს გარედამ სამთავე ერთათ.

—სტუმრები არიან, არ შეიძლება, უპასუხა ბატარა ბიჭმა.

—გაღე მეთქი, შე წუწკის შვილო.

—არ შეიძლება, ვა! გიყები არიან, ქალბატონი ჯავრობს.

—ვინაა, ზახარკა?

—რა მოგახსენო, ქალბატონო, ვილაცანი გახლავან და იმ-ექრებიან.

—ვინ ოხრები ყრიან! უთხარი სტუმრები გვყავს, არ შეიძლება თქო.

—ვუთხარი, ქალბატონო, მაგრამ . . . . აი! აი! კიდევ არახუნებენ! და მართლად რო ამ დროს ისეთის გულმოსულობით და ძალით მოჭეს ქუჩის კარებს წიხლი, რო ძირ ჩამოვარდნას ცოტა და უკლდა.

—ვინა ხართ თქვე, ბაყარნებო თქვენა, გამოსძახა კიბილით შინიდამ სახლის ბატრონმა, ძალმა კი . . . . . და მიიჭრა გაოგთრებული ეზოს კარებთან.

—გაღე შე კვდარ ძალო შენა, თორე ეს ეს არი დაგანგრიეთ თავზედ.

—ოჭ! გრიგოლ, შენა ხარ? უკვტრავად სხვა მეგონე, უთხრა სახლის ბატრონმა და სიამოვნებით გაუღო კარები.

—აი შე ასეთ ისეთოვო—დაიძახა შემოსულმა: შენ,ეგ ვინ შემო-

გირეკია მანდა, ჭაა! მოუღერა მრისხანებიი, მუშტი ცნობილმა მკითხველთადმი გრიგოლ ბოსტრელმა: გარეკე ეხლავ.

—რაო, გიყო, კიდევ მოგიარეს?

—გარეკე მეთქი, თორე . . . . და თანაც მუშტი გასარტყმელათ მოუღერა.

—ოო! კნიაზებო, კნიაზებო, ამეცქეო, მობძანდით, ღვინო მირთვით გამოსძახეს შიგნიდამ სომხის ბიჭებმა, რომლებთაც ეშალათ ქეჩებით დათვენილ მოგძო ტახტზედ სუფრა და შეექცეოდენ თავის საყვარლებთან.

—აი! თქვე ქრისტეს გამეიდლებო, თქვენა, როგორ ბედამთ, რო აქ შემოსდიხართ, ჭაა! თქვე, რაზბოანიგებო თქვენა, ლამის არი მთელი ქალაქი ამოაგდოთ; დამცადეთ ჯერა; ჭეი! მოუბრუნდა ბოსტრელი თავის ამხანაგებს: დაიჭირეთ ეხლავ და წამაასხით პოლიციაში.

—ვა! კნიაზჯან, შენიჭირიმე კნიაზ ჯან, ეს ერთი კნიაზ, ეხვეწებოდენ აქეთ იქიდამ ყელ გადაგდებით სომხის ბიჭები, რა ნახეს რო დეესიენენ დასაჭერად მშიერი მგლებივით.

—აჭა! არა, არა! მანამ თქვენისთანა პაჟარნებს როზგები არ მოხვდებათ,მანამ არ მოიშლით ამ გვარ რაზბოანიგობას, წამოიყვანეთ ჩქარა, შეუძახა თავის მოძმეებს.

ბოლოს იქამდინ შაეშინა უ. ბოსტრელმა საცოდავი სომხის ბიჭები, რო საწყლებმა წელმოწყვეტით ჩაიყვეს ჯიბეში ხელი და კაცის თავს მისცეს ქრთამით ბოსტრელს ხუთხუთი მანეთი.

—წადით ახლავი, უბძანა წყრომით ბოსტრელმა, მაგრამ—მიატანა ზედვე:—თუ კიდევ მინახვიხართ აქა, იცოდეთ, რო აგრე ადვილათ ვეღარ გადამრჩებით.

—რაო, გიყო, უთხრა სახლის პატრონმა, რაზე მიოთხობ მუშტრებს?

—ხმა გაიწყვიტე შე ასეთ და ისეთო, თორემ...შეუტია ბოსტრელმა და მოუჯდა მზათ გაშლილ სუფრას, რომელსაც მოუხდენ დასარჩენიცა.

—იცი რა არი, ბაბუცი, უთხრა პატარა ხანს უკან ბოსორელმა ალერსით სახლის პატრონს: ერთი კაი ბედი, რო გწიო, დამიმადლებ?

—აბა რა, გიყო, ჯერ მითხარ?

—აი რა, ჩემო ქალბატონო, ამალამისათვის ასე უნდა დაიყოროულო, რო ჩვენის მეტი და ვისაც მე მოვიყვან იმის მეტი სულიერი არა ვინ იყოს.

—მერე?

—მერე, ჩემო დედოფალო, მაგრამ, მაიცა ჯერ ვემთხვიო, მეხაა! და აკოცა წოწნით ჟუჟუნა თვალებში თეთრ-ყირმიზს ქალს, რომელსაც რამტენისამე წამის წინ ეშხით ჭკოცნიდა საწყალი სომხის ბიჭი და რომელიც ახლაკი ბოსორელს ეჯდა.

—ჭუ პოიები, დაიწყო მანვე გულმოსულობით: ხედავ რა ამბავში იყვნენ, თითქო ქვეყანა გაოხრებულია! ჭო მართლა, რას გეუბნებოდი? დიახ! დიახ! მერე, ჩემო ქალბატონო, ამალამისათვის შენ უნდა გახდე ამ ჩემი ნიკოლოზის, მიიშვირა ხელი ერთს თავის მოძმეზედ: კნეინა მაგრინედ და ეს ჩემი სულის ბატკანი კი, ამოზდო ამ დროს ნიკაპში ხელი თეთრ ყირმიზ ქალს, — თქვენ გასათხოვარ კნიაზუნა სოფიოდ; ეს კი, ეს, ბაბუცი, მიიშვირა ხორბლის ფერ ქალზედ ხელი: თქვენი მოახლე უნდა იყოს, გეუბრებათ?

—რაო, გიყო, კიდევ გაბი ვინმე მახეში, აი! დალახვრა ღმერთმა შენი ეშმაკი.

—შენ კი იოსებ, შენ, გესმის? მიუბრუნდა მესამე ამხანაგს, გიგოლა ბიჭათ უნდა გაკეთდე და თავს დაგვადგე. ახლა ხო მიხვდით ყველანი, ვინ როგორ უნდა მოიქცეთ, ერთის სიტყვით ამალამ ნიშნობა უნდა გადვიხადოთ შინაურულად, მაგრამ ღმერთი კი არ გაგიწყრეთ, და არაში შასცდეთ. შენ ეი! მარიგო, ამოსდო გვალად ნიკაპში ხელი თეთრ ყირმიზ ქალს და აკოცა, ვინძლო, რო დიდკაცურად მაიქცა და არ შემარცხვინო, ერთის სიტყვით ამ საათიდამ გათენებამდინ კნიაზუნა სოფიკო ხარ, ხომ გესმის? შენ კი

ნიკოლოზ, როგორც გითხარ, მოხუცებული ბიძა ჩემი კნიაზ ამირინდო კვრინჩხაძე ხარ, და შენ ბაბუცი ძალუა ჩემი მაკრინე ბძანდები, რომელსაც ვითომც მუხლების ტკივილი მოგდის ხოლმე იშვიათად და საქიმოთა ხარ აქ ჩამოსული ქმარ შვილით ამ სამი დღის წინ, გეყურება, ხო კარგა მიხვდი?

—ვიცი, ბატონი შვილო, ვიცი, უპასუხა ბაბუცამ ღიმილით: ეგეც სწორეთ იმას ეგვანება, როგორც შარშან იყო.

—ჭოო! სწორეთ ისე, აბა ახლა თქვენ იცით, დამიჯი ჭაა! ამ თავით ეს იყოს და დანარჩენი ხვალ იქნება, მიაწოდა ამასთანავე ოცდა ხუთ მანეთიანი ბაბუცას ზედ დატანებით: შაგრამ კი ვახშამი კი უნდა იყოს, ჩაით, ფუნჯით, შამფანსკით, სარდინკებით ტ სხვა რაც იცოდე; ამასთანავე რამტენიმე კალოდი სათამაშო ქალალდი, გეყურება? ვინძლო, რო არა ფერში არ შემარცხვინოთ; მაგრამ ეხლავ კი უნდა შეუდგეთ თადარიგს და მოირთოთ დიდვაცურათ; შენ კი, ნიკოლოზ, შენ, ეგებ პატარა თეთრი მელი იშოვო სადმე და თმები და ულვაშები შეიღებო თეთრათ, რო ბერი კაცს დეემსგავსო.

—ვიცი უშენოთაც, ნუ გეფიქრება, უპასუხა ნიკოლოზმა და შეუდგა თადარიგს.

ამასობაში მოატანა ბინდმაც და ბოსორელი, რომელმაც გვალად გაუმეორა მოქმედ პირთ თავ თავისი როლები, გამოვიდა მარტოთ მარტო გარეთ . . . . . .

თავი მეჩვიდმეტე

XVII.

იქნებოდა მეცხრე საათი ღამისა, როდესაც იმავე კვირა დღეს ზემოხსენებულის სახლის წინ დასდგა ერთი დროშკა, რომლიდამაც გადმოხდეს გრიგოლ ბოსორელი და უ. გუსინინი.

ეს უკანასკნელი იყო მორთული საღლესასწაულო ტანისამოსით

რომელსაც უხვად ჭსდიოდა დუხისა და ბოძადის სუნი და რომელმაც ჩაიყო მაშინათვე ჯიბეში ხელი ქისის ამოსაღებლათ.

—ნუ შეწუხდებით, ნიკიტ მაკარიჩ, უთხრა თავაზით ბოსტრელმა გუსინინს: მე თითონ გავისტუმრებ და ჩაუდო ამ დროს მედროშკეს ხელში ორ აბაზიანი.

—ბიჭო, ჭკითხა ბოსტრელმა მოსამსახურეს, რომელიც მეეგება იმათ ეზოს კარებშივე: შინა ბძანდება ბიძა ჩემი ამირინდო?

—დიახ შენი ჭირიმე, მოახსენა მძიმედ თავის დაკვრით მოსამსახურემ.

—ქალი ხო არ მოსულა დღეს?

—არა შენი ჭირიმე.

—ან მუხლების ტკივილი ხო არ აკარდნია დღეს ძალუა ჩემს?

—არა შენი ჭირიმე, კარგათ ბძანდება.

—აი! ნიკიტა მაკარიჩ, ესეც ჩვენი ბედი, რო კნეინა თურმე დღეს კარგათა ბძანდება. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

—კანა არ მოგეხსენებათ, უპასუხა გუსინინმა ლიმილით, რო თუ ლმერთი კაცსა სწყალობს, სწყალობს და, სწყალობს.

—აბა ბიჭო, მაშ გათრინდი და მაახსენე ბიძა ჩემს, რო სტუმრები გეწვიენენ თქო.

—მობძანდითო, ბატონო, მობძანდითო, მოახსენა სახქარიზე შემობრუნებულმა ბიჭმა.

—აბა, ნიკიტ მაკარიჩ წამობძანდით ახლა კი, შეიწვია ბოსტრელმა თავაზით სახლისაკენ უ. გუსინინი.

—აი, ბიძა ჩემო, დაიწყო თავის კვრით კარებიდამვე ბოსტრელმა: მე რო მოგახსენებდით, ესა ბძანდება უ. გუსინინი, უჩვენა ხელით ის ტახტზედ მოკეცილ დროულ კაცს, რომელსაც მუხლ-

ზე ედო მუთაქა და ეწოდა ჩიბუხს.

—აა! მობძანდით ჩემო ბატონო, მობძანდით, წამოიწია თეხზე ასადგომათ ამირიანდომ ისეთის დაღრეკილით, რო თითქო ხანჯლებს უურიანო მუხლებში, უკაცრავათა თქო გრიგოლ, რო ასე უზდელად გეჩვენებით თქო, მაგრამ ხო მოგეხსენება თქო, რო ჩემ ადრეულ კაცს ბევრი ალარა შეუძლიან თქო. ოხ! ჭაბუკობავ, ჭაბუკობავ, ვინლა მოგეწევა.

—ნუ ირჯებით, ჩემო ბატონო, ნუ ირჯებით წასწვდა ხელით გუსიანი ამირიანდოს, რომელსაც შესვლისავე ჟამს დაუკრა თავი დიდის სიმარჯვით და თეხების დატოკებით.

გუსიანს ქართული ენა თითქმის რომ ესმოდა, მაგრამ ლაპარაკს კი ვერა ჭბედავდა ხოლმე.

—დაბძანდით ჩემო ბატონო! ბიჭო, გიგოლავ! სკამი სტუმარს, მალე, ჯიბუხს ხო არ ინებებ თქო, აბა გრიგოლ მაახსენე.

—არა ჩემო ბატონო, ეხლა ხან გიახელითო.

—ბიძა ჩემო, ბოსტრელმა წაართვა სიტყვა პირიდამ ამირიანდოს, რომელმაც ის იყო რო გაალო პირი და დაეპირა ლაპარაკი: ძალუა ჩემი როგორ ბძანდება; შევიტყე რო ჩემ ბედზედ, დღეს ექიმი თურმე არა ყოფილა, თორემ შენი მტერი, ვინლა მორჩებოდა; დასწყევლოს ღმერთმა, რალაც ეშმაკათ გაკები ტოლებში და....

—გმადლობ ჩემ იესო ქრისტეს, უპასუხა ამირიანდომ: დღეს კარგათ არი, მაგრამ შენც, შე დალოცვილო, ხო იცოდი რო შენის მეტმა აქ რუსული არა ვინ იცოდა, და აგრე თავის დანებება, ერთი მითხარ, რასა ჭვავს? მადლობა ღმერთსა, ისეთი ემაწვილი ალარა ხარ, რო უკან დევნა გინდოდეს თვალ ყურის საჭერად, და აბა საქაურია, რასაც შენ სჩადიხარ? . . .

—შენ მზეს ვფიცავ, ბიძა ჩემო, მიუგო ბოსტრელმა ლიმილით: რო ჩემი ბრალი არ არი; რამტენ ნაირათ არ დავაპირე გამოპარვა, მაგრამ რა გინდა ქნა, იმ წყეულებმა ქუდი დამიმალეს ჯ უქუდოთ ხო . . . . . .

—აბა მეც მაგასა ვჩივი, ჩემო დისწულო და, რო სიემაწვილის

ქარებს მაინც თავს არ ანებებ; ერთი შენ გაზდას, რაღა დროს შენი იმათი აყოლაა; კაცს გასათხოვარი ქალი შინ გიზის და კაი კაცი შვილები თავს გადგანან. ის დრო წავიდა, როცა უმაწვილი იყავ. ეხლა, ჩემო დისწულო, სუ სხვა დროა; ეხლა ყველას თვიქრი და ზრუნვა გვმართებს; ასე არ არი, ჩემო სტუმარო ?

—გუსინინმა გაიგონა მათი ლაპარაკი, ღიმილით თავი დაუქნია ამირინდოს ზედ დატანებით, რასაკვირველია რუსულად: დიახ, ბატონო, დიახ, მართალსა ბძანებთ.

—აბა გრიგოლ ერთი ჭკითხე ჩვენ სტუმარს, დიდიხანია, რაც საქართველოში ბძანდები თქო ?

—მეცხრე წელიწადი გახლავსთო, ბიძა ჩემო.

—აი დიდება შენდა ღმერთო, ძალიან გაუძლია შენმა მზემ; გეტყობათ, რო ძალიან შეგყვარებიათ თქო საქართველო ?

—რა ბძანებაა, ბიძა ჩემო, განა აქ მყოფს რუსს შეუძლიან და რუსეთში გაძღებაო; ეს ისეთი დალოცვილი ქვეყანაა, რო აქ ნამყოფი აგრე რიგათ რუსეთში ვერარ გასძღებსო, და ან კიდეც რო გაისაძღისოსო მაინც კიდევ დღე და ღამ თავადი საქართველოსკენ ექნებაო.

—მითომ, კაკო და, მე გამიგონია, რო რუსებს ძალიანა სძულთო ჩვენი საქართველო.

—ეგ რა ვიცი, ბატონო, ვისგან მოგხსენებიათო, მაგრამ მე კი ამას მოგახსენებთო, რო ეხლა განგებ რო რუსეთისაკენ გამაგზავნონო, ისევ სამსახურიდამ გამოსვლას ვირჩევო და იქ კი არ წავალო, თუმცა ყმა და მამულიც მოუვლელობით მიოხრდებაო ერთის მოურავის ამარაო.

ამ დროს შემოვიდნენ ქალები, რომლებთაც თვიცხლავ წამოუდგა უ. გუსინინი თვეზედ და დაუკრა მძიმეთ თავი.

ქალებმა გადუხადეს მადლი თავისაკე დაკვრით, ამირონდომ უ. გუსინინს გაცნო ისე როგორც პირობა ჭქონდათ. ქალები გადავიდნენ ტახტზე და დასხდენ ამირინდოს შორი ახლო.

—გრიგოლ, უთხრა ამირინდომ ბოსორეულს ღიმილით: აბა

ერთი კიდევ ჩვეთხე ჩვენ პატივცემულ სტუმარს, კაი ქვეყანაა თქვენი ქვეყანა თქო, იქაც ესე ამოდის და ჩადის მზე თქო, როგორც ჩვენ საქართველოშია თქო?..

—მზეო ბატონო, უპასუხა ბოსორელმა, თუ გნებავთო, რო მართალი მოგახსენეთო ასტრონომიის კანონებითაო, არც აქ ამოდის და არც ჩვენშიაო, რადგანაც იმას მოძრაობა სულ არა აქვსო და ერთს ალაგსა სდგასო.

—როგორაო გრიგოლ, ჩვეთხა ამირინდომ ბოსორელს განცვიერებით, არ დადისო?

—დიახ, ბიძა ჩემო, გიმნაზიაში, რო გახლდი, მეც ეგრე მასწავლიდენ, ვითომც ვიღაცა გალილეი ყოფილიყვეს და იმას გამექეკლიოს, რო მზე დგას და დედა მიწა კი დადისო.

—მართალს ამბობს უფალო? მოუბრუნდა ამირინდო გუსინანს.

—დიახო თქვენმა მზემ, ისეთს მართალსაო, როგორც ორი და ორი ოთხია.

—აი! დიდება შენდა ღმერთო, ეს რა გავიგონე, დაიწყო ამირინდომ განკვირვებით, როგორ გრიგოლ, ვინ იყო ისა?

—გალილეი, ბატონო, გალილეი.

—გალეული, ჩო; გარგი ახლა და, იქ ავიდა ის ვიღაც გალეული იყო და გაშინჯა თქო, თუ როგორ არი თქო?...

—ბატონო, ეგ რას გიკვირსთო, სტუმარი მოგახსენებსთ, გაცია ისეთს განათლების სიმაღლეზედა ჩსდგასო ამ ჟამადაო, რო გონებით მზეს კი არა და მთელ ცას და დედა მიწას სუ გარს უვლისო, რო ხუთი წამის განმავლობაში, ერთი ერთმანეთს შვიდ ასვერსზედ ელაპარაკებიანო, უცხენოთ და უხაროთ ხმელეთად რემებით დადიანო, ჩაერში დათრინავენო, როგორათაც თრინველებიო, წყალში დაცურავენო, როგორათაც თევზებიო, მეხი რო მოდიოდეს სახლზე დასაცემათაო, უკანვე აბრუნებენო, ძალები უბიათოცეგქებში და იმითი დაქანაობენო და ვინ იცის რამტანი კიდევ ამისთანა სხვა რამ არიო.

—არა მაგა ნუ წაგიწყენდებათ თქო, ერთი მაახსენე, მართლა ძალლებიც უბიათ თქო ცოგებში?

—დიახ კამჩატკის მხარეს სუ იმითი დაადგთო ფოჩტა და თიოთონაც . . .

—აი დიდება შენთვის ღმერთო, გრიგოლ ეს რა თქვა ამ კაცმა; ვაჟო და, თუ კი ეს სუ მართალია, მაშ ჩვენ რაღა ხალხნი ვუოფილვართ?

—ბიძა ჩემო, დრონი მეფობენო, ხო მოგეხსენებათ, როცა ჩვენ გვცოდნია რამე, ესენი მაშინ ტყის ნადირები ყოფილან, და როცა ახლა ამათ ისწავლეს და, ახლა ჩვენ გავხდით ისე; რა გეეწყობა, ქვეყანა ჩარხია და ტრიალებს საწუთროს ქარით, რომლისაგან მოცა წინანი უკან მოჭყვებიან ხოლმე და უკანანი წინა.

—აი დიდება შენდა ღმერთო, ეს რა გავიგონე, ტყეილათ კი არ არი ნათქვამი, რო კაცს ტანაკის ოდენი ყურები ექნებოდაო, თუ რომ უცნაური ამბავი არ აპატარაებდესო; აი დიდება შენდა ღმერთო, აიხედა ჯერში პირჯვრის წერით.

ამ დროს ბიჭმა შამოიტანა თოდნოსით ჩაი, რომელიც თავდა პირველ მიართვა ამირინდოს.

—მიართვი, შე მხეცო, სტუმარს, გაუწერა ამირინდო ბიჭს, მარტო მე მიცნობ თუ; მიირთვი, ჩემო ბატონო, ჭსთხოვა უ. გუსინინს.

—Нѣтъ, нѣтъ, прежде имъ, მიიშვირა თავაზით ქალებისაგენ ხელი.

—მიირთვით შენ გაზდას, გამოელაპარაკა გნეინა მაგრინე გუსინინს, ჩვენც მოვესწრობით.

—არაო, ძალუა ჩემო, ზდილობის მეტი კი არა გვჭირსრაო ეგრეპიელებს.

—ახლა მაინც ინებეთ, ჭსთხოვა კვალად მაგრინემ, როდესაც აილო სტაქანი.

—არაო ძალო, თქვენ შემდექო პირველი ადგილი უჭირავსო ჩვენში კნიაყნა სოფიკოსაო.

—აიდე, ქალო, უბძანა მაგრიანემ, ჩვენი სტუმარი ისეთი თავგაზიანი ბძანებულა, რო არ შეიძლება არა ვცეთ პასუხი.

—ახლაკი სწორეთ ჩემზედ მოდგა რიგი, მაგრამ კარგი რამ გაუჩენია ბიძა ჩემო, იმ დალოცვილს ღმერთს ჩაიო, ნანეტნავად, თუ კაცი ან შეციებულია და ან დალალულია.

—არა თქვენმა მზემა თქო, სუ მიქარგა არი თქო. ბატონო, ჩვენი მამა და პაპა რო ჩაის არა სვამდენ თქო, მითომ რა უჭირდით თქო; მე მოგახსენებთ ვარდიკით ვერა ჭყვარდენ თქო. სუ მიქარგაა თქვენმა მზემა თქო; ბატონო რა სჯობდა დუდგულის ყვავილს და ანისულსა თქო, თუ პატარა ბლომათაც დაჭერამდით თავიდს თქო; თქვენმა მზემ უკეთესი არა გაუჩენია რა თქო ღმერთსა; ბატონო, ოთელი გნებავდათ მოგგვრიდა თქო, მუცლის ტკივილს—უკაცრავოდ არ ვიყო—მოგიჭრიდა თქო,სისხლს დაგიწმენდდა თქო და აბა სად შეუძლიან ესეები ახლანდელ თქვენ ჩაისა თქო ?...

—ბიძა ჩემო, წელან არ მოგახსენეთ, რო სუ დრომ იცის მეთქი. მაშინ ის დრო იყო, რო ისა სჯობდა, ახლა ის დრო შეიქნა, რო ესა სჯობია; შემდეგისათვისაც ვინ იცის რა იქნება; იქნება რო ორ ას წელიწადს უკან ესეც ისე გახდეს, როგორც ანისული და დუდგულის ყვავილი და სხვა რამ უკეთესი და ან უცუდესი მოიგონონ. სუ დრონს მესდევს, ბიძა ჩემო, ხალხი და მის მიმართულებას.

ჩაის შემდეგ ბიჭმა ჩამოურიგა თუნჯი, რომელიც პირველდებულათვე უთავაზეს გუსინინს.

—ბატონო, თქვენ მიირთვით, ეს როგორ იქნება, რო სუ მე მგერძამთ და თქვენ კი არას ინებებთ.

—ინებეთ შენ გაზდას, უპასუხა ბოსორელმა: ჩვენც მოგესწრებით.

—მართლა, ძალოჯან, მიუბრუნდა ბოსორელი მაგრიანეს, მე თქვენთან დიდი დამნაშაგე ვარ, რო დღეს თქვენს სამსახურს დავკლდი, მაგრამ რო საკულავოთაც არ მოხდეს ამ გვარი უზდელობა ჩემას მხრით და თქვენ ყოველთვის გახლდეს მე თუ სხვა რუ-

სულის მტოდნე, მე მინდა განსაკუთრებითად მოვაქცინო თქვენი ყურადღება ამ ჩემს გულითად მეგობარზედ, ანიშნა ხელით გუსინინი, რომელსაც ძალიან კარგად შეუძლიან ჩემ შინ არ მყოფობაში, ადასრულოს ჩემი თანამდებობა.

—დიდი ბედნიერება იქნება შენმა გაზდამ, ჩვენი ოჯახისათვის მაგათი დაახლოება, მერე მაგ გვარ განათლებულის გვამისა.

—შენა სოფიკო? შენ რალას იტყვი?

—ეიმ! აიწია მხრები და შეხედა განცვიფრებით მაკრინეს, რომლითაც გამოსახა, რო მიგვირს რო მაგას მეუბნებიო, როდესაც დედ მამა თავს მადგასო.

—ბიძა ჩემო, თქვენ რალას მიბძანებთ ამ ჩემს მოხსენებაზედ.

—როგორ? ჭკითხა წარბების შეჭმუხვნით ამირინდომ.

ამ კითხვაზედ გუსინინს, რომელიც ბაშინათვე მიხვდა აზრით, რო იმის დამოყვრებაზედ ლაპარაკობდენ, გული გაუსქდა, მწყერივით, რა ნახა რო ამირინდომ შეიხმუტა წარბები და დაასხა უხვად მწუხარების ოფლმა, უფრო იმ მიზეზით, რო ვაი თუ სქემე ჩამეფუშოსო, რომლისაგამოც გადმოხედა იმან მწუხარების თვალით ბოსორელს; ხოლო ამ უკანასკნელმან რა შეატყო მწუხარება, დაუქნია ოდნიგ თვალი იმ მნიშვნელობით, რო ნუ გეფიქრება სქემე კარგა მიდისო.—

—მე მოგახსენეთ, ბიძა ჩემო, რო ერთი კარგი საქმედამო მეგობარი რო უშოვო ჩვენს სახლს, კარგი გახლდებათ მეოქი თუ არა?

—მითომ რატომაო? შენმა გაზდამ კი მეგობარი დიდი რამ ნუგეშია კაცისათვის, მაგრამ სადაა ჩემო დისწულო ამ დროში კეთილი მეგობრობა, უპასუხა მწუხარებით ამირინდომ; ცუკიასაგან გამიგონია, რო კარგი მეგობარი ძნელათ იშოვება ქვეყანაზედაო, რადგან ორი კვერცხიც თანასწორნი არ არიან ერთმანეთთანაო.

—რო გიშოვოთ ისეთი, რო თანასწორი იყოს?

—მაშინ ვიტყვი, რო შენ ცუკიაზედ მეტი ყოფილ ხარ, მაგრამ ვაი შენ მტერს, გაიქნიკა თავი.

—მაშ ნებას მაძლევთ?

—დიახაც, მაგრამ . . . . .

—მობძანდით აქა, მოსწიდა ხელი ბოსტონელმა გუსინინს და შიიყვანა ამირინდოსთან.

—აი ის კეთილი მეგობარი და სამუდამო სახლის შვილი, რომელზედაც მოგახსენებდით: დაგარწმუნებთა ბიძა ჩემო, რო თქვენ ნაწილესაც და იმის თავადობასაც სუ დაგავიწყებთ ძალიან მოგლეს ხანში.

—ეხლა, ბიძა ჩემო, ის დრო ალარ არი, როცა თქვენ და თქვენი მოძმე თავადიშვილები საწყალ აზნაურშვილს და კეთილშობილ კაცს კაცად არ აგდებდით, რადგანაც თქვენის აზრით ისინი ვითომც კაცუნები იყვნენ და კა ცებიკი მხოლოდ თქვენ; ხო გაიგეთ წელანდელის საუბრიდამ, თუ რა ხარისხზედ ასულა კაცის გონება. კარგად უნდა იცოდეთ ბიძა ჩემო, რო საცა და რომელ ხალხშიაც გონება მაღლდება, იქ თანასწორობა და ერთობაც ჩრდილოეთ უკანა ზდეკს გონებას, მართალია, თუმცა ნანიაძე თავადიშვილია და მის თვიქრით ვითომც მაღლა იდგეს კეთილ შობილ კაცზედ, მაგრამ მერწმუნეთ ბიძა ჩემო, რო ეგ სუ უსათუოდ ვლოა, რადგანაც . . . . და ამიტომაც, მოგახსენებთ ბიძა ჩემო, რო ამ ჩემი მეგობრის ერთ თჩხილსაც არ გაკცვლი ნანიაძეში. ბატონო, სად ამათი მაღალი განათლება, ამათი სირბილე ხასიათებისა და სად ის თქვენი თავადი ნანიაძე. დამიჯერეთ ბიძა ჩემო, რო ჯერ ჩემი წინათ მხედველობა არ სად გაცუდებულა, და მგონი რო არც ახლა დარჩეს უსაყოთოდ; რო ლირსება ამ ჩემი გულითადის მეგობრისა ჯერ ისევ დახურულია, რაგორათაც ხუთ ქვეშ, და დრო იქნება, რო მოჭვენს კეთილ სულნელებას მთელს სოფელს და კაცობრიობასაც.

—ეგ ყველა კარგი, ჩემო დისწულო, მაგრამ ნანიაძე ჩემი თანასწორი, ჩემის სიასლის კაცი, შემძლებელი, და ქართველი, ეს ესი კი, თქვენ კი ნუ გეწყინებათ მიუბრუნდა გუსინინს, რუსი ბძანდებიან: აბა რო თავს არ მოვა. ჩვენი მხურვალე ბუნება და მაგა-

თი გაყინული, რო ერთმანეთ არ მიუდგებიან; უთუოთ ან ერთი გაქრება და ან მეორე დადნება. მე თითქმის ეხლაც ისევ ყურებში მიბჟუკის ცუკიას სიტყვა, რო თუ ბუნება ბუნებას არ შეეთანხმა, უთუოთ ალრეულობას დაბადებენო; თქვენთან კი ბოდიშს ვიხდი, მოუბრუნდა კვალად გუსინინს, რო ცოტა ქართველური მომიკიდა, მაგრამ რა გაყწყობა სიტყვამ სიტყვა მოიტანა.

ამ დროს კვალად შეხედა გუსინინმა მწუხარების თვალით, რა იგრძნო რო ამირინდო ელაპარაკებოდა იმას თვით მაზედ. —

—ნეტა რას ჩაციკდი მაგ შენ ცუკიას, უპასუხა გულმოსულობით ბოსორელმა, დალოცვილო სოკრატ ბლატონები ალარა კის ახსოვან და რა გახდა ის თქვენი ცუკია; დალოცვილო, თუ კი ეგეთი სწავლის მოყვარული ბძანდებით სახარების მოძღვრება დაიმარხოთ, ის არა ჭსჯობია, მაგ თქვენ ცუკიას თვილოსოფურ, მერე ისიც დამყაკებულს მოძღვრებას.

—არა ჩემო დისწულო, ვერ ვიტყვი, რო შენც მართალი არ იყო, მაგრამ ნანიაძე . . . . . ,

—ახა ღმერთო ჩემო, დაანებე მეთქი თავი მაგ შენ ნანიაძეს, რით ვერ გაიგე შე დალოცვილო, რო ის შენი ნანიაძე სოფიკოს კი არ ეძებს, შენ სიმდიდრეს და ოქრას კომლ კაცს ეძებს და ვინ ახ წინ რო ნათესრები გაქვს იმას; ასე არ არი ჩემო რძალო? მოუბრუნდა მაკრინეს.

—არ ვიცი შენმა გაზდამ, სცა ბიძა თქვენი ბძანდება, მე იქ რა ეთვლება მაქვს ხმის ამოღებისა.

—ბატონო ვნიაზო, დაიწყო ახლა გუსინინმა, რა რომ მიხვდა ხშირად ნანიაძეს ხსენებით, რო იმას ამჯობინებდენ მას; რასაკვირველია, რო რაკი თავადი შვილი ბძანდებით, ვერა ვინ დაგძრახამთ, რო თავადი არ მოძებნოთ, რადგანაც თქმულია, რო მსგავსმა მსგავსისათანა უნდა განისვენოსო, მაგრამ ესეც კი უნდა იქონიოთ მხედველობაში, რო თუმცა თავადი არა ვარ, მაგრამ არც თუ ნაკლები ვარ, რადგანაც პირველად ძირეული რუსეთის ტახტის აზნაური გახლავართ, მეორედ ყმისა და მამულის პატრონი, მესამედ ორიოდე

გრიშის პატრონი, მეოთხედ, ცოტა რისამე მცოდნე, მეხუთედ, ხემწიფის ათვიცარი და მეექვსედ თანამდებობაში მყოფი. მგონი რა ესენი ცოტად მაინც უნდა ეთანასწორებოდენ ნანიაძეს თავადიშვილობას.

—რა გრიგოლ? ჰკითხა ამირინდომ ბოსორელს.

—აკი მოგახსენეთ ბიძა ჩემო, რა კაცნუ აწყეინებთ მეთქი, ამათაც ეხლა ის მოგახსენეს, რასაც აქამდინ მე მოგახსენებდით.

—ოხ! ჩემო დისწულო, გაიქნია დაღრეკილით თავი ამირინდომ, ერთ ჯირში არა ვარ შენგან, და ორში; აბა ერთი ითქვიქრე, რაღა ბირით შეგხედო ნანიაძეს; არ მეტყვის, რა თუ მაგ შენ წვერ ულვაშსაო, ეგ არი შენი თავადიშვილობაო, რა სიტყვის სიმტკიცეც არა გქონიაო, აბა ახლა რა წყალში ჩავარდე, დაუშვა თავი ძირს მწუხარებით.

—თქვიქრი არ არი ბიძა ჩემო, სუ მე დამდევით ბრალი, იმანა ქნა თქო, სუ იმისი ბრალია თქო, და მე ვიცი და იმან, მაინც მესისხლეები ვართ დიდის ხნიდამ მე და ის უთვალი ნანიაძე და ბარემ შემთხვევაც მექმნება, რა ერთი კიდევ უელვო ხმალი ხმალს. განა არ მოგეხსენება ბიძა ჩემო, რა გეთიღი მეგობარი ის არიო, ვინც თავის თავს გასწირავს მეგობრისათვისო; ჯანი გავარდეს ერთი კიდევ დავეჯახები გემიკით და სცა წვრილი იყოს იქ გაწყდეს.

—რა ვქნა ჩემო დისწულო, მამა ჩემი არ წამიწყდება მემძიმება სიტყვის გატეხა, როგორც სიკვდილი, მაგრამ რა უყო შენ ნათესავობას, მეტი ღონე არ არი, ისევ უნდა დაგეთანხმო, მაგრამ, თუ ქალის ნებაც არ იქნება და დედისა, მე ხო ძალას ვერ დავატან.

—აა! შემოჭკრა ტაში ტაშს მხიარულებით ბოსორელმა, ეგ მინდოდა, რა გებძანებინა, თორე ახლა მე ვიცი.

—აბა სოთიკო ჯან, შენ რაღას იტყვი, აი! შენი დანიშნული, თანახმა ხარ, თუ არა?

ქალმა ამ კითხვაზედ თვიცხლაკ მიითვარა თვალებზედ თეთრი ხელცახოცი და ჩეეკრა მაკრინეს გულში.

—რა გაკვირვებს შვილო, უთხრა მაკრინემ, თუ კი ბატონ მამასა ჭსურს, ჩვენ რა ძალა შეგვიძლიან.

—აა! მამილოცამ, მამილოცამ, აგოცა სიხარულით და გულზე მიეკრდნობით გუსინინს, ბოსორელმა, რომელიც მიიყვანა მაშინათვე ამირინდოსთან და დაუჩოქა ცალ მუხლზე. ამ დროს საშოვნების ყრუანტელმა დაურბინა თავით თვეხამდე გუსინინს, რომელიც ჩაიკრა რა გულში, მაინც კიდევ წარბებ შეკრულმა ამირინდომ, აკურთხა, როგორათაც ისაკმა იაკოთი და ჩაუთვალა ხელში სოთიკო, რომელიც ვიოომც მორცხობით იბუზებოდა დასამული ვარიასავით.

რასაკვირველია, რო ამ გვარ კურთხევას, დაჭრთო თავისი კურთხევა რებეკასავით, კნეინა მაკრინემაც და აგოცა სიძესა და ქალს, რომელსაც მაშინათვე გაუკეთა გუსინინმა მაჯაზედ განგებ ჯიბით მოტანილი ოქროს ბრასლეტი და შემოაცო თითზედ ბრილიანტის ბეჭედიც.

—აგოცე, ნიკოტ მაკარიბ, აგოცე, ნუ გეფიქრება, შენია ახლა; იცოდე რო ველარც ნანიაძე და ველარც იმის პაპა ველარ წაგართმევენ, დაუძახა ბოსორელმა, რომელმაც მასთანავე აიხედა ჭერში ლმობიერების სახით და დაიწყო: ოჭ! ღმერთო, შენ შაბერე ესენი ერთმანეთს სიკვდილამდე.

ამისა შემდეგ, რალა თქმა უნდოდა რო ალელებულმა გუსინინმა ველარ მოითმინა და მეეხვია თავის სტრეზო დანიშნულს გრძნობით, ტ[illegible] დაჭოცნა რამტენჯერმე.

—ბიჭო, გიგოლა, ბიჭო, შამეანსკი, ჩქარა, ყვიროდა ძალზე ბოსორელი სიამოვნებით, ხილიც, ჭა! მალე.

—ეხლავ ბატონო, მიუგო იქვე მდგომმა მოსამსახურემ და გაირბინა ცუხცუხით სამზვარეულოში

ბატარა ხანს უკან ლომბორნი სტოლს, რომელსაც ეფარა თეთრი სუფრა და იდგა მაზედ სხვა და სხვა ნაირი ხმელი ხილი, სიამოვნებით ეხვევნენ გარშემო ვნიაზი ამირინდო, გრიგოლ ბოსორელი, კნეინა მაკრინე და უ. გუსინინი თავის—სტრეზო სოფეს-

ფოთი, რომლისაც მარცხენა ხელი ეჭირა მის მაგრა და ხშირად დაცქერდებოდა ხოლმე თვალებში.

—ბედნიერი იყოს თქვენი დანიშვნა ნიკიტ მაკარიჩ! უთხრა ბოსორკლმა სიამოვნებით: ღმერთმა თქვენი ქორწილი და ვაჟი შვილიც მალე მიჩვენოს! ალაკვერდი, ბიძა ჩემო! და მიაწოდა სავსე ბაკალი, რომელიც მანამდე გამოშუშა მან ერთ ყლუპათ.

—ღმერთმა გაკურთხოთ, შვილებო, დაიწყო ახლა ამირინდოამ, რომელსაც მაინც კიდევ ჩამოსტიროდა თავ პირი და გადუსვა რა შამპანსკი მსგავსად ბოსორკლისა, დაჭიდა ისევე თავი ძირს კითოამ მწუხარებით.

—რა ღვთის რისხვაა, ბიძა ჩემო, შეუძახა ბოსორკლმა, გამოიღე თავიდამ ის დაწყევლილი ნანიაძე. აი თუ არ დაგიშლია თქვენი ნანიაძეც და სახლის შვილიც მხოლოთ ეს არის, მიუშვირა გუსინინზედ ხელი.

—ღმერთმა აკურთხოს, რა ვქნა, შვილო, უპასუხა ამირინდოამ მწუხარებით, სინიდისი, ნანიაძე, ოხ, ღმერთო! შენ დამიფარე . . .

—ჩემო სიძეკ, შენც ჩემო სოფიკო, დაიწყო, ახლა მაგრინემ: ღმერთმა ერთმანეთ შეგაბერეთ; ღმერთსა ვთხოვ, შვილებო, იმ მალალ ღმერთსა, რო თქვენის ხელით მალირსოს მიწის მოყრა.

—გმადლობ, ჩემო სიმამრო, თქვენცა, ჩემო სიდედრო, თქვენცა, ძმაო გრიგოლ, რო ჩემს ბედნიერებას ისურვებთ, მაგრამ, თუ ღმერთი არ მამკლამს უდროოთ, მკოანი რო მალე დაგვიწყებინოთ ის ვილაცა ნანიაძეა, და აკოცა რა კვალად თავის სატრფოს, გადუსვა ერთ ულუპად, როგორათაც ბოსორკლმა.

—რაგორაა გრიგოლ?

—მადლობას მოგახსენებთ ბიძა ჩემო, და გპირდებათ, რო მალე დაგვიწყებინებთ ნანიაძესო.

—ღმერთმა ინებოს, აიხედა მალა მწუხარების სახით ამირინდომ და ამოიოხრა.

ამისა შემდეგ მოუხშირა ბოსორკლმა სადღეგძელოებს, რომელმაც მართლა რა რიგზედ გადაკვრა ინა უ. გუსინინს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
Тифлисский филиал
Библиотека

არ იყო რო უ. გუსინინს, როგორათაც ეშხით, ეგრეთვე შამ-შანსკის ძლიერებით მიეცა მომეტებული გამბედაობა, რომელსაც ბოსორელმა აჩვენა რა თვალით თავ დაკიდებული და წარბებ შეკრუ-ჯი ამირინდო, წასჩურჩულა რაღაც რამ ყურში.

—Аа! чортъ побери, დაიძახა გუსინინმა: чуть было не забылъ. მოიტანეთ სათამაშო ქაღალდი, თუ ეხლავ არ გავამხიარულებ ჩემ სიმამრს, მაშ რაღა კაცი ვიყნები.

—ბიძა ჩემო, გაიგონეთ სიძემ რა ბძანა, თავი შეეიქციოთო ლობიოებზე, ხო არ ინებებთ?

—როგორ? ჰკითხა ამირინდომ მწუხარების ხმით?

—თავი შეეიქციოთო ქაღალდით?

—თავიო, ჰო! თავისი ნებაა, დღეიდამ მე სახლის უფალი ვ მამულის მმართველი ალარა ვარ, როგორც ენებოთ ისე განაგონ სახლიც და მამულიც. მე ეს ეს არი, ჩემო დისწულო, მოგხუცდი ვ სათვლაგში ვიცქირები, და ამიტომაც ვფიქრობ, რო ეგეთ მერმისი-სათვის, თუ ღმერთი მშვიდობით დამასწრებს, დავეუფლო ერთ ერთ გამოქვაბულში შიიმღვიმის მონასტრისაკენ.

—აა რა დროს სიბერეა, ბიძა ჩემო, ჯერ კიდევ გვარიანათ მოსძღებთ; ბიჭო, სტოლი დადგი, მალე. რაგორ იქნება, თავს ვინ დაგანებებსთ. ვენაცვალე ბიძა ჩემს თეთრ ულვაშებში. უმი ლო-ბიოც ბიჭო, მალე შე მა . . . . . ძალო. ვიცოდი ბიძა ჩემო, რო არ შემარცხვენდი და კიდეც ისე მოხდა; ვენაცვალე ბიძა ჩემს ანყარატოში . . .

—ძალუა ჩემო, განაგძო მანვე თქვენ კი არ შეიქცევთ თავსა?

—კი! ქა, რა ვიცი მე თქვენი თამაშობისა.

—არა ჩსჯობია ნიკიტ მაკარიჩ, რო ცალ სტოლზე ზაკუსკა გაშალონ? მოუბრუნდა ახლა გუსინინს.

—უცხო რამ იქნება.

—აბა, ბიჭო, მიშველე, მალე.

ამისა შემდეგ არ გაუგლია ერთ საათს, რა რო სრულებით გა-მოუბერტყეს ძალზე გაჭედილი ბაჯაღლოებით აბრაშუმის ქისა უ

გუსინინს, რომელმაც მეტის სიცხარით დაადგა ზედ თავის ოქრის საათი და ბეჭდებიც.

ბატარა ხანს უკან წელ მოწყვეტილი გუსინინი წამოდგა ნელწყევ გამშრალი სათამაშოს სტოლიდამ და წავიდა საჭმელებისაკენ ლ გაჭყენენ თან იქ მყოფნიც.

—საკვირველი ქალაღლის მოუსვლელობა იყო თქვენმა მზემ, უთხრა ბოსორელმა გუსინინს, კითომც გულმტკივნეულობით, მაგრამ დაატანა ზედვე სწრაფად: მაინც შორს არ სად წასულა; თქვენ გქონ დესთ,თუ თქვენ სიმამრს, მგონი რო თქვენთვის სუ ერთი უნდა იყოს.

—კინ რას მოგახსენებსთ, უპასუხა ღიმილით გუსინინმა, თუმცა კი მწარეთ უშრებოდა ძარღვებში სისხლი, რომელმაც ამ მიზეზით დაატანა უფრო ძალა ღვინოს.რასაკვირველია,რო ამ სასიქადულო საქმეში ძალიან უმართამდა ხელს ბოსორელიც, რომლის შემწეობითაც უ. გუსინინმა ბოლოს მიაწია იმ ხარისხამდე, რო დაიწყო პირველდებულადვე ტირილი თავის გადაცვალებულებზედ და შემდეგ ღონე მოკლებული და ცნობა დაკარგული მიეშვა ტახტზედ ჩულიკით. მაშინ ამოაცალეს ჯიბიდამ რაც კი რამ ჭქონდა.

თავი მეშვიდმეტე

XVII.

—ათიც ზედ, სამი და წყვილი, ოთხი ასი, მოვიგე, იძახდა ნაწყვეტ ნაწყვეტად გუსინინი ძილში, რომელსაც ეკრიჭა მასთანაგე კბილები დამსრჩვალი თხასაკით.

—ბატონო, ბატონო, ანძრევდა ხელით ნელ ნელა ტრანფეიმა, ჩაი გაგიცივდათ, ათი სრულდება, სამსახურში გიგვიანდებათ.

—სოფიკო ჯან შენა, ოხ! სულიკო, მოჭმია ხელები თვალებ დახუჭილმა გუსინინმა ტრანფეიმას და ეწეოდა თავისაკენ.

—Вотъ те на! не съ ума ли онъ спригнулъ, ჩაი გაგიცივდათ, ბატონო.

—ჭაა! რას ამბობ? გაჯეიტა ცოტ ცოტათ თვალები.

—ჩაი გაგიცივდათ.

—რაგორ კნიაზი აბძანდა, ან ხოთეიკო გარეთ ხო არ გაბ-ძანებულა?

—ვინ ხოთეიკო ბატონო? აქ კნიაზ რა უნდა.

—რაგორ თუ რა უნდა, რას მიჭქარავ? ადგა თვეხზედ.

—რა ვქნა ბატონო, აქ კნიაზი არა ვინა გხლებიათ, და ტუჯ-ალს ხო ვერ მოგახენებთ, უბსალუხა ტრაფეიმაკ მოწიწებით.

—რაგორ თუ რა ვქნა, მაშ რა იქნენ, შეუტია გუსინინმა თვ-ხების ბრაგუნით.

—ბატონო; ვინ კნიაზსა ბძანებთ? ჴორუჩიკ მელაძეს ხო არა?

—Какой Меладзе, дуралей, კნიაზ კვრინჩხაძე, ამირინდო.

—რა ვქნა ბატონო, აგერ ეს მეცხრე წელიწადია, რაც ჩვენ თეფილისში გახლავართ, და მაგ გვარის თავადიშვილი ერთხელაც არ გამიგონია, და არ ვიცი თქვენ რომელსა ბძანებთ.

—მაშ სადა ვარ ეხლა შე დურაკო, შეუტია კვალად თვეხების ბრაგუნით.

—შინა ბძანდებით.

—რაგორ თუ შინა, აგი კნიაკუნა ხოთეიკოსთან ვიწექ; მაშ რა ექნა ვინ მოიტაცა, მითხარ ჩქარა? . . .

აქ გვარ არეულ კითხვაზედ, არ იცოდ, რა ტრაფეიმა შეკრთა ლ მოერია ცრემლები თვალებში.

—რას ეტირგლები, კიდევ მოგაგონდა განა ბრასკოვია? მით-ხარი მალე, სად წავიდა კნიაზი ამირინდო, ჭაა! ჩქარა, შეუმალა გასარტყემელათ ხელი.

—ეხლავ მოგახსენებთ ბატონო, ბატარა მომითმინეთ, მოახ-სენა ტრაფეიმაკ და გამოაწია სამზვარეულოსკენ,

—А! вотъ видишь! такъ скорѣй же, скорѣй, მოაძახა გუსი-ნინმა ტრაფეიმას და ჩამოჯდა გრატზედ.

განგებ გამოსული საწოლიდან ტრაფეიმა იმ განზრახვით, რა მიჭსცეს დრო ბატონს ძალიან გამორკვევისა, ბოლოს შეკვიდა ისევ

ბატონთან პირსახლითი და ტაშტით.

—მოიტა მალე, მაიტა შემოსძახა ნიკიტ მაკარიჩმა, რა დაინახა წყალი და ტაშტი, რომელიც იმ ჟამად, თუმცა სრულებით გამორკვეული იყო ძილიდამ, მაგრამ მაინც კიდევ ელანდებოდნენ თვალებში კნიაზეს სოფიკო, კნიაზ ამირანდო, გრიგოლ ბოსორკელი და სხვანი.

შეუშვირა რა უ. გუსინინმა ხელები წყალს, შეიშნა, რო მისი დიდი ჯერეთ ისევ ამოუბრელი პრტყელ თავა ოქროს ბეჭედი მის განსაცვიფრებლად, ალარა ჭქონდა თითზედ.

ამის გამო შემოხედა რა ტრანფიმას თვალების დაჭყეტით და პირ დაღებით, ანიშნა თითით, რო სად არიო?

—რა მოგახსენო ბატონო, უპასუხა ტრანფიმამ, წუხელ სალამოს თქვენ და ის ვილაც სტუმარი რო წაბძანდით, სუ ზედ გქონდათ ბეჭდებიც და ოქროს საათიც და იქიდამ რო მობძანდით კი....

— როგორ თუ არ მახლდა, მაშ რა ეშმაკებმა ჩაყლაპეს?

—რა მოგახსენოთ ბატონო, შუალამე გადასული იყო, როდესაც დროშკით მობძანდით ერთათ ერთი უცხო ბიჭის ამარა და იქნება . . . .

—ღმერთო შენ შემიწყალე, ეს რა ამბავია ჩემ თავს, წამოიძახა თრთოლით გუსინინმა, ანა ერთი შალვრის ჯიბეები და სერთუკის უბე გაშინჯე, იქნება იქ ჩავაწყე და ალარ მახსოვდეს.

—არა გახლავთ რა ბატონო, უპასუხა ტრანფიმამ, აი ეს კი აქა გხლებიათ, უჩვენა ამ დროს ამოღებული შალვრის ჯიბიდამ ცარიელი ანრაშუმის ქისა.

მეხი, რო დაჭსტეხოდა თავს, იქნება, რო ისე არ შეეძრწუნებინა, როგორაც ერთმა მხოლოდ ცარიელმა ქისის დანახვამ დაჭსცა თავზარი გუსინინს, რომელიც გაშეშდა ხესავით.

სწორეთ შესაბრალისი იყო მაშინდელის მდგომარეობით უ. გუსინინი.

წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა. ის იდგა უძრავად, როგორათაც სტატუია; ის იყო გაშტერებული, როგორათაც გონება

დაკარგული კაცი; იმას დეელო სალოდავად პირი, როგორათაც უკან დარჩენილ კოჭლ ცხვარს, რომელიც უბლავის წინ წასულთ მოძმეთ; იმას ჩამოტვიენოდენ საპნიანი ხელები ძირს, როგორათაც წვეთ დაცემულ კაცს . . . .

ბოლოს მოვიდა რა საწყალობელი გუსინინი ცნობაზე, ითხლიშ რაც ძალი და ლონე ჭქონდა შუბლში საპნიანი ხელი და დაიწყო გულ მტკივნეულად:

—ოხ! ღმერთო ჩემო, ეს რა მიქარვაა, რა მე ჩავიდინე. ამტანი წლის ნაწვავ ნადაგი. Охъ! Боже мой, Боже мой! Кажется, что съ ума сойду. კარგი თუ მალე მოხდა ჯვარის წერა, და ვინიცობაა რა დაგვიანდეს, ხო დავიღუპე . . . . . .

—Охъ! Боже мой, Боже мой, что мнѣ дѣлать? მაიტა მალე, ჩქარა და ამ სიტუვასთან მიჭყო ხელი პირის ბანას თვალ თუცით, რომელმაც მაშინათვე ჩაიცო ტანთ და გამოქანდა კარებისაკენ.

პატარა ხანს უკან უ. გუსინინი, მორთული წინანდებულათვე სადღესასწაულოს ტანისამოსიი, მიისწრავიდა ვანქის უბნისაკენ, სადაც მიიზიდავდა, როგორათაც კნიაუნა სოფიკო, ეგრეთვე მომატებულად მისი ბაჯაღლო ოქროები.

ირა რა კარგა ხანს აქეთ იქით, ბოლოს დიდის ცდით და წვალებით მიაგნო როგორც იყო ცნობილ სახლს, რომლისა ეზოს კარები დახვდა იმ ჟამად ღია.

შერაცხა რა ამ გვარი შემთხვევა ბედნიერებად, თვიცხლავ შევლო ეზოს კარები და წავიდა გულ და გულ სახლისაკენ.

დიდათ უკვირდა გუსინინს, რო პირველდებულად არ მეეგება ეზოს კარებშივე ბიჭი, მეტადრე ახალ მოუკარეს, მაგრამ როგორც ეტუობოდა, მაინც კიდევ არ იტეხდა ჯერ ხანობით აბრუს და მიდიოდა გულ და გულ სახლისაკენ.

მიაწია რა კარებთან, დიდათ უამა, რო დახვდა ისიც ურდულს მოშორებული, გულის კანკალით და თვესაკრეფვით შეიხედა კარების ჯუჯუტანიდამ იმ განზრახვით, რო უცებ ჩემ სიმამრს, როგო-

რათაც ტოლშვილიან კაცს თავს არ წაკვდეს უწესოთა და არ შეკრცხვეო, მაგრამ მისდა საუბედურად სუფევდა იმ დროს სახლში ძალიან ღრმა სიჩუმე.

ამისათვის ჯ რო შეეტყო, თუ რა მომხდარა სახლში, უცებ გამოჭსწია სამზვარეულოსაკენ, მაგრამ იქაც შეიბურა არა ნაგლეჯმა განცვიფრებამ, რა ნახა, რო იგი იყო სრულიად ცარიელი და დაუწმედელი.

კარგა ხანს ფიქრობდა, თუ რა შემთხვევია ჩემს სიმამრსა, რო ხმაურობა ალარ საიდამ ალარ ისმისო, მაგრამ რა რო ვერა გამოიგვლიკარა, ბოლოს წავიდა ისევ სახლის კარებისაკენ დაფიქრებულის სახით.

მოჭკიდა რა ხელი კარების რაზას, თავდა პირველ ჩაახველა განგებ ბოხის ხმით, რო ეგებ გაიგონ და გამოიხედოს ვინმეო, მაგრამ თითქო საფლავად ქცეულაო ის სახლი, ჭსწორეთ ისე იყო ერთისა და იმავე მდგომარეობაში.

ბოლოს რა გაუწყდა ოლაჯი, და ვერა შეიტყო რა სახლის კარემოებისა, გულმოსულობით მოიშვლიპა ქუდი, ჩაახველა ერთი კიდევ მაგრა და შეაღო კარები ფეხების ფართა ფურთიით; მაგრამ ჭო! უბედურებავ, ნაცვლად გნიაყნა სოფიკოსი და სხვათა, მას დახვდა მხოლოდ ცარიელი კედლები და აქა იქ ნაყარი თუ ყურ მოტეხილი ლიტრა ჯ გატეხილი სტაქნები და ნალბაქები.

ფიცხლავ წამოუდგა იმას თვალ წინ, თუ სად იდგა ტახტი, სად თამაშობდენ ქალალდს, სად ისამხარეს წანალამეს და საიდამ გამოვიდნენ ქალები, მაგრამ მაინც კიდევ ვერ მოსულიყო გულის ხმას, თუ რამ აიძულა ასე უეცრად გასვლა იმ სახლიდამ ნიაზ კვრინჩხაძეს.

ალარ იცოდა, თუ რა ეფიქრა საბრალო გუსინინს.

ბოლოს დარწმუნდა რა, რო იქ ყოფნით ვერას უშველიდა თავის თავს, წამოვიდა გულმოწყლული კარებისაკენ, სადაც უცებ შეეფეთა წინ დაბალი ტანის ჯმუხი და ულვაშებ გაკრეჭილი სომეხი.

—Квартиръ хочишъ баринъ? ჭკითხა სომეხმა, Эй Богъ хороши, дошово отдамъ.

—Пропади ты съ своею квартирою, შეუტეხ გუსინინმ, ты лучше скажи мнѣ, куда сошелъ князь Квричхадзе?

—ეი! გუქნეს ხოშეხმ ხელები, какой Квричхадзе? Тутъ, любезный, ни какой Квричхадзе Мричхвадзе нѣту.

—Не Мричхвадзе; дуракъ ты этакой, а Квричхадзе, князь Амирандо.

—ვ! ვეო! Тутъ чохъ мохъ нѣту.

—Ты мнѣ скажи, ослѣпая ты голова, кто былъ вчера здѣсь?

Аа! эта хочишъ, здѣсь, баринъ, дурной женщинъ жилъ, да ушолъ другой мѣсто.

—Какъ! здѣсь онѣ жили. Охъ! Грузо проклятое, ფაველ სიკვნესით თმებში ხელი გბილების ძაგვძუგით და გამოვარდა თავშიშველა გარეთ, როშელიც დეეშვა სირბილით მუხრანიანთ ხიდისკენ.

—Квартиръ баринъ, дошво отдамъ, მიაძახა გუსინინს ძალის ხმით ხოშეხმ და გამოვიდა ბურნუთის წევით გარეთ. . . .

. . . . . .

თავი მეთოვრამეტე.

XVIII.

ვაი ხოთველო რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა.
ყოველიმცა შენი მონდობილი, ნიადაგმცა ჩემებრ ჭსტირსა
სად წაიყვან საღაურსა, სად აუფხვრი საღით ძირსა

. . . . . .

რუსთაველი.

რამდენიმე თვეს უკან ორი ეკიპაჟი დასდგა ნავთლუხის გოშპიტლებ ახლო ერთ ატაჟიან თეიცრის სახლის წინ, რომელიც იყო გალესილი გარედამ თეთრად.

—მობძანდით გენაცვალეთ! იპატიჟებდა სახლში ეკიპაჟებიდან გადმოსულთ პირთ, რუსულათ მორთული ქალი, რომელიც ფიცხლავ გამოეგება იმათ გარეთ.

—გწყალობდეთ წმინდა ბარბარე, ელისაბედ ჯან, გადაეხვიასხლის პატრონს კნეინა ნატალია და აკოცა. მას შემდეგ მიესალმა მასვე კნეინა მაშიკოც და ბოლოს შევიდნენ ისინი სახლში, სადაც შეჭუვნენ მელაძე და ტიტიკოც.

—შენმა სიცოცხლემ ტიტიკო, უთხრა სახლის პატრონმა ქალმა ტიტიკოს, დიდათ მიხარიან, რო აგრე ერთათ შეერილებს გხედავთ შენ და მაშიკოს. ღმერთმა ხო იცის, რო დიდათ ვჭსწუხდი ის რაღაც ხმები რო დამხვდა, როცა ქუთაისიდამ გადმოვედით აქ მე და ჩემი პაკელ აბრამიჩი, მაგრამ ვმადლობ ჩემს იესო ქრისტეს, მაინც კიდევ არ მოგაკლოთ თავისი მოწყალება და მიგწიათ გულის მურაზს.

—მე არ მოვსწრებოდი ჩემი ნათლიდედ, წამოიტრაბახა მელაძემ, რომელმაც ზაქათალიდამ ნიშნობის დღეს მოასწრო: მაშინ ნახავდით ამის გულის მურაზს, მაგრამ ახლა კი ნათლი დედ, ახლა, ალარც კი ვისმე ახსომს ჩემი . . . . . ასე გაშინჯეთ, რო ამათი გულისათვის, თითქმის ცოლიც კი მოვიმდურე სამუდამოთ, რომელიც ამისაგამო არამც თუ სოფელში არ წამოგვეკა, საიდამაც სუ ერთი კვირა არ იქნება, რაც ჩამოვედით და სადაც გადაკწერეთ ჯვარიც, არამედ წმიდა ბარბარეშიაც.—

—მაგას რათა ბძანებთ ბიძა ჩემო, უპასუხა ღიმილით ტიტიკომ, მე და ჩემი კნეინა, მანამ ბორში სული გვიდგა, მანამ თქვენს და დედიდა ნატალიას ამაგს ვერ დავიიწყებთ, არა მაშიკო ჯან?..

—ამ კითხვაზედ მძიმედ დაუკრა თავი მელაძეს წამოწითლებულმა ყაყაჩოსავით მაშიკომ და მეეხვია კნეინა ნატალიას.

—კარგია გენაცვალე კარგი, პაკელ აბრამიჩმა არ შემოგვასწრო, წასხურხული კნეინა ნატალიამ მაშიკოს და გასწორდა კრესლაში.

ამ დროს უეცრივ გეელო კარები და შემოვიდა მათთან სახლის პატრონიც, რომელიც იყო ნაკოთლუხის გოშპიტლის ექიმი.—ის მიესალმა რიგ-რიგით იქ მყოფთ და,—ბოლოს შეიქნა მათში საზოგადო ხშირი ლაპარაკი სხვა და სხვა საგანზედ, მინამ ჩაი მეესწრებოდათ.

—კაი! საწყალი, რა უპატრონო ყოფილა, წასჩურჩულა სიბრალულის ხმით ტიტიკოს ცოლმა, როდესაც იმან შეასწრო თვანჯრიდამ თვალი, რო ოთხმა სალდათმა დიდის გაჭირვებით ძლივ გამოასვენეს გოშპიტლიდამ ერთი მიცვალებული უბრალოს კუბოთი და წაიღეს სასაფლაოსკენ, რომელსაც მიუძღოდა მხოლოდ ერთი ღვდელი შემოსილი შავის ოლრით და თილონით და გალობდა ხანგძლივ წმიდაო ღმერთოს. მიცვალებულს მიჰყვდეკდა მხოლოდ ერთათ ერთი მოხუცებული კაცი, რომელსაც ორივე ხელით დეებლუჯა თოვლიკით თეთრი თმა და ტიროდა მოთქმით:

—ჩემო კარგო ბატონო, ჩემო სიცოცხლეკ, ბატონო! აკი მოგახსენებდი, რო ბოროდაკკაში წავიდეთ მეთქი; აბა რატო არ დამიჯერეთ? აბა ახლა რალა მეშველება. განა იმისათვის გატარეთ მხრით, რო ბოლოს ასე უმოწყალოდ დაგეობლებინეთ? კაი! ჩემს თავს, კაი.—კაი, შენს ბედს ტრაფიმ, რო ბატონი ალარა გყავს მფარველად; კაი, შენ დაბადების დღეს ტრაფიმ, რო ღრმათ მოხუცებულს თვალების დამხუჭავიც ალარა კინა გყავს ამ უცხო ქვეყანაში. ბრასკოვია, ოჰ! ბრასკოვიავ წამიყვანე მეც შენთან; აბა აქ ვის ანაბარათა მტოვებ, თქვენ მაინც ბატონებო, ჩემო კარგო ბატონებო: ანასტასია ივანოვნა, კეთილშობილო დიდო ბატონო, თქვენ მაინც წამიყვანეთ; მაგრამ თქვენ რა? ჩემი ბრასკოვია რო გყავთ, მე მანდა აბა რალათ გენდომებით. კაი ჩემი ბრალი, კაი! რომ ამ ტრიალ ქვეყანაზედ მარტო დავრჩი. აბა აქ ვის უნდა შევეკედლო? ბატონო, ჩემ მხრებზედ გაზდილო ბატონო, აბა ერთი კიდეკ გამომეც ხმა შენ ტრაფიმას. კაი, ჩემ სიცოცხლეს, კაი!

მაგრამ შენ, ეროსკოვის მაინც ნახამ, და მე რაკქნა, მე ?! ოჰ! ეროსკოვი, შემოიკრა უცებ ცნობილმა მკითხველთადმი ტრაფეიმამ თავში და დეეცა უსულოდ ზედ გუსინინის საფლავს წინ. . .

. . . . . .

ი. ბერძიძე.

დასასრული.

1863 წელსა აპრილის 15 დღესა.

ქ. ტფილისი.

30

(ანდრე შენიედან).

ზღვათა მეფლობელის ვენეციის ზღუდეთა თანა
ლამის ციმციმში უდარდელი გონდოლიერი (*)
ნავსა აბრეშუმებს კიდის ვირ ვირ ლაჟვარდ წყალთანა
რინალდოს, ტანკრედს. ერმინიას (**) მღერს ბედნიერი.
თვისი სიმღერა იმას უყვარს, უყვასოდ მღერის,
ზრუნვას და შიშსა განკიცხვისას იგი არა ჭცნობს,
არცა დიდებას, არცა სახელს იგი არ ელის
და დამღუპველთა ზვირთთა ზედა მღერით გზას იტკბობს.
მეც მისებრ ვმღერი უანგარო, შეუშინებლად,
და ხმანი ჩემგან მოგონილნი მხვედრს მიტკბილებენ
ცხოვრებას ზღვაზედ, სად გრიგალნი შეუბრალებლად
მშთოთვარე ზვირთთა ზედა ჩემს ნავს ატრიალებენ.

* * *

სიხარული.

სიხარული ჭვავს გზის ვირას გაზდილს,
გზაზედ მოწყვეტილს სუნნელსა ყვავილს,
რომელიც ხელში დიდ ხანს არ გრჩება,
მცირეს ხანს გატკბობს და მერე ჭკნება.

* * *

(*) ვენეციაში მრავალი ერთ გვარი საქირაო ნავებია, რომელსაც გონდოლა ჰქვიან; ამ ნავის მმართველს გონდოლიერს ეძახიან.

(**) ტორკვატო-ტასოს პოემიდან არის ეს სიმღერები ამოღებული.

მტკვრის ვირას.

(ლ. მაღალაშვილს.)

კვლავ ჩემ წინ მტკვარი მორბის ქუხილით,
ამ ქუხილში ვგრძნობ მშობლიურს გრგვინვას,
კვლავ ჩემი გული იმავ წუხილით
შეჭვენეს მღვრიე ზვირთთ მღერითა დენას;
კვლავ განიღვიძეს ჩვეულთა თვიქრთა
და ალმეშალა დიდი ხნის წყლული . . .
შეეჭვენეს, შეესტირი მე ამა ზვირთთა,
თითქო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული.
წაგშლიან კვალნი, დრო ნეტარო!
მტკვრად ალუგვიხარ საუკუნესა,
მისმინე ავა, მისმინე, მტკვარო,
იმ დროთ გარდაეც ეს ჩემი კვნესა!

* * *

ბელინსკის აზრი შვილების აღზდაზედ.

ეი რას ამბობს ბელინსკი შვილების აღრდზაზე:

ზოგიერთი, თვალად მცირე საგანი, ხშირად შეიქმნება ხოლმე, თავისის ჭვაზრით, თვით უაღრესად და უპირველესად. ყველანი ლაპარაკობენ, რომ იმ ჟამადაც როდესაც იმეოფება წეკრად, აღზრდას დიდი ზედ მოქმედება აქვსო კაცის სიცოცხლეზედ, ეოფაქცევაზედ სადაც უნდა იეოს, ყველგან. მაგრამ ბევრს კი ესმის ისა, რასაც თვითონვე ლაპარაკობს? სიტყვა ჯერ არ არის საქმე; ეოველი ჯეშმარიტება, რაც უნდა უეჭველი იეოს, თუ არ განმართლდა მათის მოქმედებით და ეოფაქცევით, ვინც იმ ჯეშმარიტებაზე ლაპარაკობს—არის მხოლოდ სიტყვა, ცარიელი ხმა,—ისრეკის ტეუილი. გაშინჯეთ კარგად მშობლებისა და შვილების ერთმანერთში მიქცევ-მოქცევა; ერთის სიტყვით გაშინჯეთ კარგად აღზრდა შვილებისა—და გული შეგიღონდებათ. ბავშვი სჯამს რაც შეხვდება და რამდენიც უნდა; რა უჭირს! ამბობენ ნაზი მშობლები; ბავშვია ჯერა! ბავშვი აწვალებს ძაღლსა, ანა სცემს სახლში მოსამსახურე ვაცარა ბიჭსა; რა უჭირს! იძახის მზრუნველი დედ-მამა: ბავშვია ჯერა! ბავშვები ჩხუბობენ, ყლიეილ-კიეილი აქვსთ ერთმანეთში, და მათი ეეირილი, ჩხუბი და ტირილი თუ არ უშლის

სტუმრებთან ლაპარაკსა ან დედოფლისა ან მამიდოს დაძინებასა სადილთ-
უკან,—რა უჭირთ—ჯერ ბავშვები არიან, დეეხსენ თავისთვის იჩ-
ხუბონ და იღრიალონ: დიდები დაიზრდებიან, აღარ იჩხუბებენ და
აღარც იღრიალებენ! ბავშვები დალანძღვენ, და ზოგ ჯერ დალახვენ
ერთმანეთსა და მიგლენ დედასთან ან მამასთან ერთმანეთზედ სა-
ჩივლელათ — ეჰ, რა საჭიროა ბავშვების საჩივარის განრჩევა!
თუ თქვენ სასტიკათ ექცევით შვილებსა, ჩკარით თვითონ წკიპართი
ყველს სათითოთ, ან გარეზგეთ ყველანი ერთათ, რომ არავის
გულს არ დაკლდეს; თუ კეთილად ექცევით ბავშვებსა, ანუ ზრდით
კეთილ შობილურად, — მიეცით იმათ სათამაშოები ანუ ტკბილი
საჭმელები და დაჩკოცნეთ ყველანი და მოიშორეთ თავიდგანა, რომ
ისინი წავიდნენ კიდევ საჩხუბრად და ერთმანეთის სალანძღავათ.
ბავშვს არა საურს სწავლა, სრულიად არ უგდებს ყურსა, რომ წიგ-
ნი ხელში აიღოს: რა უჭირს, ჯერ ემარწვილია—გაიზრდება, დაჭ-
კვიანდება და სწავლასაც დაიწყებს! ბავშვი ხელსა სტაცებს, რომე-
ლი წიგნიც მოხვდება, თუ გინდ ანატომია იყვეს საურათებიანი,—
რა უჭირს, ჯერ ემაწვილია! კარგია რომა წიგნის ხალისი აქვს,—
დაეხსენით დაეჩვიოს კითხვასა, ცელქობას ეგ ურჩევნიაო! ოსტატი
ეუბნება მამასა, რომა გრამმატიკა, რომელიც შვილისათვის უყიდ-
ნია არ კარგაო ან ძრიელ დაძველებულია, ან სულელურათ არის და-
წერილი, უაზროთაო, და თვითონ იმ გრამმატიკის დამწერმაც არ ი-
ცის ენის კანონები და ხასიათიო: ეს რაღა ახალი ამბავია! შეჭკივ-
ლებს კეთილ გონიერი და გამოცდილი მამა: ეგ ხომ ჯერ ემარწ-
ვილია,—მაგისათვის ოთველი წიგნი კარგია, მაგაში მე ფული მიკე-
ცი, მაშასადამე კარგი უნდა იყვეს!.. მაგრამ, აბა ახლა ჩკითხეთ რა-
მე საყვარელ დედ-მამასა შვილებზე და მათის აღზრდაზე, და მაშინ
ნახეთ: რამდენს სხვა და სხვა ნაირს საჩივარს გეტყვიან, რამდენს
სხვისაგანაც გაგონილ თვალებს წარმოგიდგენენ, რამდენს იწუწუნებენ,
«ოჰ! შვილები! დიახ! რა ძნელია შვილის ყოლა! რამდენი ზრუნვა უნდა!
უნდა გავზარდოთ და ვასწავლოთ კიდეცა! ჩვენ არათვერი გვშურს
შვილების აღზრდისათვისა! უკანასკნელ ღონის ძიებას არ დავიშუ-

რებთ ხოლმე! მე მიგეცი ჩემი შვილები სასწავლებელში, ვუიდუოლობ ეშისათვის წიგნებსა, რამდენი ხარჯი მამდის! და ჩვენ ძლივს ვიშოვნეთ მადამ, რომ ჩვენმა შვილებმა ფრანციზული და ფორტოპიანოს დაკვრა ისწავლონ!» ღმერთმა მშვიდობა მოგცეს თ სასურველო მშობლებო! . . . . .

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარე არის შვილების აღზრდისა, ანუ იმისი რასაც ისრე ტყუილათ ეძახიან აღზრდასა, ეს ის აღზრდა არის, რომელსაც თითქმის ყოველთვის ეძახიან ღვთის ანაბარად, და მართლა კი შემთხვევის ანაბარად იზრდებიან,—ეს აღზრდა არის ბუნებითი ე. ი. გამოკვება არის და არა აღზრდა. ეგ აღზრდა დაბალი ხალხის მზგავსია. არის კიდევ აღზრდა პატიოსნური, თავაზიანი, ნარნარი, სასტიკი, კეთილშობილური. აქ ყოველისფერზე ყური აქვს მიგდებული, ა ცა ერთი მხარე არ არის დაკოვებული. ამ ნაირს შვილების აღზრდაში ბავშვი სჯამს ავის დროზე და ზომიერადცა; სადილს წინად დაჭყავს სასეირნოთ ან გუვერნიორსა (მამა-მძუძეს) ან გუვერნანტასა (დედა-მძუძეს), ცოტას ცელქობს, ვარჯიშობს გიმნასტიკის ლამაზ თოკებზე, ბოძებზე და გასაყრებზე, სასწავლებლად აქვს დანიშნული საათი, დაწესებულ დროს დაწვება დასაძინებლად და ადგება. ერთს დროს ეძლევა სიმრთელეც, სიმაგრეცა, გონებაც ეხსნება და სწავლობს კიდეცა. და თორმა—ოჭ, ეს თვით უმშვენიერესია! სისუფთავე, სიმარტივე, გამოუსაჯვრებლობა, ამასთანავე კეთილ შობილება, ღირსებით ქცევა, კარგი გემო და კარგი კილო (тонъ). ესენი ეტყობათ ყოველისფერში: საცმელშიაცა და ყოფაქცევაშიაცა. მხოლოდ ერთი ის როგორა ღირს, რომ ბავშვმა იცის თავისი გრძნობის დამალვა, არ წაეტანება სიხარბით იმასა, რაც ძრიელ უნდა, არ გამოიჩენს გაკვირვებასა და სიხარულსა იმ საგანში, რომელიცა აღძრავს ბავშვის გუნებაში გაკვირვებასა და სიხარულსა; ერთის სიტყვით შესაბამობისა და მალულ კილოზე ქცევას უმსხვერპლის ყოველს თავის გრძნობასა, ისრე გაშინჯე, თვით უწმინდესსა და ადამიანურს გრძნობასაცა! . . . მოკლედ მოგახსენებთ: ისრე გაშინჯეთ ჩინეთის მანდარინები, ეს უმალლე-

ხი მაგალითები დამახინჯებული და მკვდარი ბუნებისანი, თვით ჩინეთის მანდარინები ვერ შეედრებიან ამ უმაწვილ ხალხსა, ამ კეთილ აღზრდილ უმაწვილებსა . . . . თუ ადამიანის სიცოცხლე არის თეატრის სცენა ანუ სალოცი (სასტუმრო ოთახი) და თუ მხოლოდ «ჩვენება» არის საგანი ადამიანის სიცოცხლისა, მაშინ ამ გვარი შვილების აღზრდა იქმნება სამაგალითო. მართლაც, რა იქმნება უკეთესი და სასურველი, მაგალითებრ, გაზრდილ გასათხოვარ ქალზე ?—ის უეგრო ჩქარა ათას ჯერ თავს გასწირავს სასიკეთოდ, ვიდრე თანახმა შეიქმნებოდეს, რომ თავის სიცოცხლეში ერთხელ საქვეყნოთ სასაცილოდ გამოჩნდეს, ე. ი. ატანებით გაეხარდეს ხელოვნებითი ქმნილების ნახვა, ანუ ბუნებისაგან რისამე გამოჩენებისაგან, ან უმაღლეს გამარჯვებაზე ლაპარაკის სმენისაგან, რისაგანაც ისრე სტირიან ანუ მხიარულებენ ცუდის კილოს (тона) ხალხი. ის გასათხოვარი ქალი ისრე თამამი და თავისუფლად მქცევია, როგორათაც კეკელა-ქალი; იმას არც არათერი გაუკვირდება, არც არაფერისა შეეშინდება და არც შეკრთება. ის არის ყოველთვის მშვიდი, ერთ კილოზე მყოფი, ყოველისფერში ზომიერად და შესაფერად მქცეველი . . . და რამდენი ნიჭის მქონებელია ისა, რომელსაც არ იცნს საზოგადოდ, ისრე როგორათაც ქალაქის გარეშე მცხოვრებელი (провинціалки) . . . . და ამ ყოველისფერთან რა ნაირი უმარკო სული აქვს, წრფელი გული! ის გასათხოვარი ქალია; მაგრამ ჯერ არათერი არა წაუკითხავს რა ბულიისა და ბერგენის მეტი . . . . და როდესაც დაუწყებთ თქვენა შექსპირზე ლაპარაკსა ის ისრეთის ჩინებული გულ გართობით ჩამოაგდებს ლაპარაკსა დარზე ანუ დასასრულ ბალზე. ვიკტორ ჰიუგოსა და პოლდე-კოკს ის წაიკითხამს გათხოვების შემდგომ და მისამდინ ბულიისა ბერგენის თხზულება ეყოფა. არა კარგიც არის: შილერი, გიოტე, ბაირონი, გოეთეს, ვალტერ—სკოტტი, პუშკინი — სამშარნი არიან უმარწვილი ქალის გულისათვის: ვინ იცის იქმნება გული აუღელვონ რაღაც გასაოცარი სურვილით, გამოურკვეველი ოცნებით, მისცენ შიგნეული პოეტიური სიცოცხლე, — და ეს ხუმ-

რობაკი არ არის!—გასათხოვარი ქალი შეხვდება ვისმე თავის გულის სათვისტომო სულსა,—რომელსაც გრძელი არ უცდია ჯიბეში,—

И жизнь могучая даетъ
И пышный цвѣтъ и сладкій плодъ,—
(სიცოცხლე ძლიერი გამოიტანს
უხვს ყვავილსაცა, ტკბილს ნაყოფსაცა,)

რაგორცა სთქვა პუშკინმა . . . . რომ შეკიდეს ოცნებაში,—მიეცეს კაცობრივს გულის-ენებასა, მაშინ რას იტყვის ქვეყანა? . . . არა, სრულიად ემისთანა არ არის კეთილად აღზრდილი ქალი მალალის კილოსი (высшаго тону): იმას შეუძლიან ხალხში გამოიჩინოს სილამაზე, თუ ღმერთს მიუცია იმისათვის, ჩაცმა-დახურვა, თუ იმისი მაჰა მდიდარია სხვებზე, მაგრამ ის რაგორ გამოიჩენს სულსა, გულსა, და სხვა და სხვა მდაბალი ხალხის გასასტერებელს ქცევას. ის გათხოვდება;—ასრე გაშინჯეთ, თუ გინდ სხვებმაც არ იზრუნონ იმის გათხოვებისათვის, თვითონ მოახერხებს ყოველისთვერსა; მაგრამ ეს გათხოვება იქმნება დიდად ჩინებული, შესაშურველი, და არა ხალხის სალაპარაკო. აი, რასა შვრება ჭეშმარიტი აღზრდა გასათხოვარი ქალისა? და ყმაწვილი ხალხნი?—ოჰ, იმათზე კიდეც მეშინიან ვილაპარაკო: ისინი ჭკუიანებიც არიან და სულელებიცა, მსწავლულებიცა და უზრდელნიცა—ისინი ყველანი ისრეთის ფილოსოფიური გულ-გრილობით უყურებენ ამ ქვეყნის ცხოვრებასა, რომელშიაცა იმათთვის არცარა საიდუმლოა, არც საკვირველი, არც მიუწდომელი; ისინი ისრე გაბედვით და ურცხვად შამოგხედვენ თავისი ლარნეტითა . . . , ჩინებული ყმაწვილი ხალხნი არიან! . . . და რა ნაირ თავისუფლად, რა ნაირ დაუდეგნელათ ლაპარაკობენ ფრანციზულსა — თითქო თავის დედაენა არისო, დედას ენაზედ კი ორი ფრაზის, მიგერება ვერ მოუხერხებიათ ან ორის სტრიქონისა დაწერა შეუცთომელად—ბედანტიზმურს კარასფერს იპოვნით მათში წამლად! . . . (*)

(*) ეს, ჩვენდა საბედნიეროდ, ბევრს ქართველებსაც შეეხებათ.

მთარგმ.

ჩვენ წარმოვადგინეთ თავი და ბოლო (უმაღლესი და უმდაბლესი მხარე), არის კიდევ მათს საშუალოდ მყოფი, რომელიცა, როგორათაც თითქმის ყოველი საშუალი, ხშირად არის ხოლმე პირველზედაც და უკანასკნელზედაც ცუდი. ჩვენ ვამბობთ იმ საზოგადოების ხარისხის აღზრდაზედ, რომელიცა მდაბიურს უყურებს კეთილშობილურის შეურაცხებით და თავისა თავის ლირსების გრძნობითა,—და უმაღლეს საზოგადოებას—მოწიწებით და პატივის ცემით. ეს საშუალოთ მყოფი საზოგადოება ყოველის ძალითა და ღონით სცდილობს, რომ მიემგვანოს უმაღლეს ხარისხისასა და იყოს იმის ნამდვილი პირი (კოპია); მაგრამ თავისდა საუბედუროთ რჩება რაღაც საშუალ წყვრთა შორის მყოფი, რომელიცა ალარც თავის თავსს ემგვანება და ალარც სხვასა, არის უხასიათო, არ მიემგვანება ნამდვილსა—ეი მაგასა ჰქვიან გლეხობა აზნაურობაში. უნდა რო თავისუფლად და სასიამოვნო ურცხობით და კარგ კილოზე მოიქცეს, მაგრამ გამოდის პრასტვა, გრეხა და მაიმუნობა. სასაცილო და შესაწუხებელი სანახავია

К къ негодяй оффиціантъ
Ламаетъ барина въ передней!

მაგრამ ეს იქით იყვეს: საქმე ის არის, რომა ამ საშუალო საზოგადოებაში შვილის აღზრდად ის მიაჩნიათ, რომა მოუკლან ბავშვსა ყოველი სიცოცხლე და სიცქვიტე, რომ შეჰქმნან ისინი თუთიყუში და სასიამოვნო თოჯა, რომლებზედაც ყველამა ჰსთქვან: ოჰ, რა კარგათა ზრდიანო!...

შვილების აღზრდა ყველგან არის საითაც მიიხედამთ, და არსად არ არის საითაც უნდა მიიხედოთ. რასაკვირველია, შეგიძლიანთ ნახოთ შვილების აღზრდა ყოველ ხარისხის საზოგადოებაში, უმაღლესიდგან უმდაბლესამდისინ, მაგრამ როგორათაც იშვიათი რამე, როგორათაც სხოლიო საზოგადო კანონიდგან, როგორც ათასში ერთი, რათ არის ეს ასრე? ამისათვის რომა ქვეყანაზე მრავლისაგან უმრავლესნი არიან შეშობლები, მრავალნი არიან მამოლოები და

დედოფლები, მაგრამ ცოტანი არიან მამანი და დედანი. «ეს ჩინებულია!»—იტყვით თქვენა: «რა განსხვავება არისო მშობელთა, მამათ და დედათ შორის?—როგორ თუ რა განრჩევა არის?—შეხედეთ ზათვხულში ბუზებსა: რამდენი მრავლისაგან უმრავლესი მშობლები არიან მათში, მაგრამ სად არიან დედ-მამანი? გრიბოედოვმა დიდი ხანია სთქვა—

Чтобъ имѣть дѣтей,

Кому, ума не доставало?

(შვილის ყოლას ბევრი ჯვა არ უნდა)

დაბადების განწესება აძლევს მშობლებს ნაგურთხს უფლებას, რომ ეწოდებოდეთ იმათ გურთხეული სახელი მამა და დედა,—ამის წინააღმდეგი არავინ არ არის; მაგრამ საქმე ამითი არა თავდება ჯერ: შვილის ყოლა ადამიანს არა ხდის ჯერ კიდევ ცხოველზე უმაღლესად; უმაღლესი უფლება—მშობლური სიყვარული არის, მაგრამ—მეტყვით თქვენ—: რომელ მამასა და რომელ დედას არ უყვარს თავისი შვილები?» აგრე გახლავსთ, მაგრამ გვიბოძეთ ნება გკითხოთ, რას ეძახით სიყვარულსა? როგორ გესმით სიყვარული?—ხომ ცხვარსაც უყვარს თავისი ბატკანი: ის აწოვებს თავისს რძესა და ლოკავს ენითა, მაგრამა როცა ბატკანი რძესა მინდვრის ბალახზედ შეიცვლის—მათი დედაშვილობა გათავდება. უ. ბრასტაკოვის ცოლსაც უყვარდა თავისი მიტროფანუშკა: ის შეუბრალებლად შემოუწკეპამდა ხოლმე ლოყებსა თავის მოხუცებულ გამდელ ერემეევნასა იმისთვისაცა, თუ მიტრაფანუშკას ცოტას აჭმევდა და იმისთვისაც, რომა—ბევრს აჭმევდა. იმას ისრე უყვარდა თავისი შვილი, რომა, რომ დაეწყო დედისათვის თავ-პირში ცემა, დედა მწარედ მოჰყვებოდა ტირილსა, რომ მისი კარგი და მშვენიერი მიტრაფანუშკა ხელებს იტკენს დედის ცხვირ პირზე. განა ცხვრის გრძნობა, რომელიცა თავის ბატკანს აწოვებს ძუძუსა, და გრძნობა უ. ბრასტაკოვის ცოლისა, რომელიცა იყო ცხვარიცა და ძროხაცა და გამზადებულიც იყო, რომ ცხენათაც გადაქცეულიყო ჯ ეტარებინა თავისი ოცი წლის მიტრაფანუშკა კალიასკითა,—განა ეს

ოჯველივე სიყვარული არ არის?—დიახ, სიყვარულია, მაგრამ როგორი? ეს არის გრძნობის სიყვარული, პირუტყვული, რომელიც ცხვარს, როგორათაც პირუტყვსა, შეშვენის და რომელსაც ცხვარში თავისი ჯეშმარიტი, გონიერული, ჩინებული და სასიხარულო მხარე აქვს; მაგრამ ე. ბრასტაკოვის, ცოლისათვის იგივე სიყვარული, — უაზრო, მახინჯი და საძაგელია, რადგანაც ეს ადამიანია და არა ცხვარი. შემდგომ: პაველ ათანასიევიჩს თავმოსოვსაც უყვარდა თავისი ქალი, სოფია პავლოვნა: უყურეთ, ის როგორ სცდილობს, რომ რაც შეიძლება მოგებით მოიშოროს თავიდგანა, ძვირად გაჰყიდოს . . . . გაჰყიდოს? — რა საშინელი სიტყვა! . . . მამა ჰყიდის თავის ქალსა, ვაჭრობს, რასაკვირველია საწვრიმალოსავით კი არა, მაგრამ ერთხელ და საშარადისოდ, ერთის კაცის გულისათვის, რომელიც იქმნება იმისი ქმარი! . . . მაგრამ ამას ხომ თავის თავისათვის არ სჩადის, თავისი ქალისათვის უნდა ხომა,— იტყვიან ბევრნი. დიახ ჩინებულია! მაშ ამის შემდგომ ავაზაკიცა, რომელიც ქალის მზითვისათვის ქორწილს წინათ დახოცავს რამდენსამე კაცსა, არ იქნება გასამტყუნარი, ამისათვის რომა ამას მოიქმედებს თავისი ქალის სიყვარულით? ამის შემდგომ, ზოგიერთი დედაც, რომელსაც არ უნდა, რომა თავის საკრთველო ქალი ჰყავდეს სიღარიბეში, ქალს დაატანს თავის ქალსა, რომ მშვენიერება გამოსარჩენად მოიხმაროს,—აგრეთვე არ იქმნება გასამტყუნარი, ამისათვის რომა ამასა თავის ქალის სიყვარულით შვრება? განა ეს არ მოხდება ხოლმე მართლაცა? განა რომელიმე დაბერებული მოსამსახურე კაცსა, დაჩვეულს მოქრთამეს და ხაზინის მპარავს, არ უსწავლებია თავისი საზიზღი ხელობა თავის ნაზად საყვარელი შვილისათვისა?—ჩვენ კიდევ თანახმა ვიქმნებით, რომა იმისი მიზეზი სიყვარულია, მაგრამ რა ნაირი სიყვარულია, ეს არის საქმე! საიდგან გამოიდინარეობს ეს სიყვარული, საით იძვრის, ვის მიუბრუნდება? ნადირნი რისთვის ჰგლეჯენ და ღუპვენ ერთმანეთსა, ბ შიმშილში შეშჯამენ თავის საგუთარ შვილებსაცა?—ამისათვის, რომა მათ უყვართ თავისი თავი; თავისი თავის სიყვარული კიდევ თვისებაა

ყოველის სულიერისა რომელზედაც დამოკიდებულია ყოველი სულიერის ყოფნა, სათუძველი და კანონი სიცოცხლისა. ძალები რისთვის ერინაკენ, როცა ძალ გადუგდებო?—ისევ იმისათვისა, რომა უყვართ თავისი თავი. და ჩვენ არ გვეწყინება ხოლმე ესა, რადესაც მაგ ყოფაში ვხედავთ პირუტყვთა; ჩვენ მაინც და მაინც არ ვამტყუნებთ ამისთანა ქცევაში და არცა ვრაცხთ ბოროტებად და ავაზაკობად, ამისათვის რომა ისინი სცხოვრებენ და მოქმედებენ პირუტყვთ მიდრეკილების ზედ-მოქმედებითა, რადგანაც ისინი იმ მიდრეკილების მონები არიან და თავის თავის—დაცვისა და გაძღომის შეტი არათერი მოვალეობა არა აქვსთ რა. ადამიანიც, ცხოველის მ'ხვავსად, მიუხვედრელად მისდევს ბუნებისაგან მი ემულ თავის-დაცვის (сам сохраненіе) მიდრეკილებასა და თავის მდგომარეობისა საუკეთესოდ მოყვანასა; მაგრამ დავიჯერო, რო ადამიანში ყოველისთვი ამითი უნდა გათავდეს?—არა, განსხვავება ადამიანსა და ცხოველთა შორის სწორეთ ის არის, რომა ადამიანობა დაიწყობა მაშინ, როდესაც ცხოველობა გათავდება. თავის თავის მოვალეობას გარდა, ადამიანს აქვს კიდევ მოვალეობა მოყვასისა; ცხოველის მიდრეკილებას გარდა, ადამიანს აქვს, კიდევ გრძნობა, ჭკუა და განსჯა, რომელიცა არა აქვს ცხოველსა. ადამიანი არის არსება, სხეულის აგებულების გარდა, ის არის სული — ნაშერწკალი და სახე ღვთისა. მაშასადამე, იმისი სიყვარული უნდა იყვეს უმაღლესი იმ სიყვარულზე. რომელსაცა ვხედავთ გარეშე ბუნებაში.—

ადამიანი დაიბადება ქვეყანაზე ცხოველად, რომელიც ყვირის, სძინავს, სჭამს და მიდრეკილებით ხელს აცანს ძუძუსა, და მიდრეკილებისაგე გამო ჯაგრობს, როდესაც იმას ძუძუს გამოართმევენ. მაგრამ იმ წამს შემდგომ, როდესაც მისი ენა, განურჩეველი შორის-დებულიდგან (междометіе) დაიწყობს ნელ-ნელა გარდასვლას წევრთ განმოფენელ ხმებთანა (членораздѣльными звуками) ⁄ დაიწყობს პირველი სიტყვის ციტინსა,—მაშინ იმაში გათავდება ცხოველური სიცოცხლე და დაიწყობა ადამიანური მთელი სიცოცხლე რომელისაცა სრულ ადამიანობამდი-

სინ, არის გაუწყვეტელი შეწყობა (формированіе), ქმნა, შედგენა სრულ ადამიანად, სრულის სიამოვნებისათვის და თავის სულის ძალის დასამორჩილებლად, რომელიცა შეარგენს ლონის-ძიებას მისი გონიერული ბედნიერებისასა. ჯერ ბავშვია, მაგრამ მიკვარდება სიყვარულის წყაროსა—დედის ძუძუსა, და დაიცქერდება ნათელ გონებითა, თუმცა ჯერეო შეუგნებელითა, და არა ეტყვის ცხოველის უგუნური ყურებითა; ის უცინის თავის დედასა,—და მის ლიმილში გამოკაშკაშებს სინათლე ღვთიურის ჭვრეტისა. ყოველს მისს სიყვარულის გამოცხადებაში ნათლად სჩანს თუმცა მცირედი, მიდრეკილებითი, მაგრამ ჭვრეტანი და გონიერული გრძნობა: ჯერ ი-მისი თვესები ულონოა, იმას არ შეუძლიან გადადგას ნაბიჯი, რომ შეკიდეს ცხოვრებაში, მაგრამ მაშინაც მისი სიყვარული უმაღლესია ცხოველის სიყვარულზე. მაშ დავიჯერო, რომ ამის შემდგომ, სიყვარული დედ-მამისა — სრული ადამიანებისა უნდა დარჩეს ბირველსავე ს ცხოველურს მდგომარეობაში? არა ყოველი ადამიანური სიყვარული უნდა იყვეს გრძნობა, განათლებული გონიერულის ჭვრეტით, გრძნობა განსულიერებული, მაშ რა არის სიყვარული? ის არის სიცოცხლე, ის არის სული, შუქის სინათლეა; ეიმისოთ, სუ ყოველისთვერი არის სიკვდილი, თვით მაშინაც, როცა სიცოცხლეა, სუყოველისთვერი არის ნიკოთიერება, თვით მაშინაც, როცა ლორძინებაში არის, ყოველისთვერი ბნელია, მაშინაც, როცა თვალი ახილებული გაქვს. სიყვარული არის უმაღლესი და მხოლოობითი ჭეშმარიტება, რომელის გარეშე ყოველისთვერი არის მოჩვენება, თვალის მამატყუებელი უსაგნო ყალიბი, სიცარიელე, თუნდაც რომ ყველათვერი რათმეც ჩანდეს. როგორათაც ცეცხლი არის ერთის და იგივე დროს სინათლეცა და სითბოცა,—ესრედ სიყვარულიც არის გაერსებული ნათელი, ჩინებული გონება; გაერსებული, ნათელი ჭეშმარიტება ი-მაზედ არის დამყარებული, და თვით ქვეყანაც იმისი გამოცხადება არის. ბუნებაში ის არის განგრცელებული ელექტროსებრ: სულში აღმოჩნდება გონიერულის ჭვრეტით, რომელსაც თავისშივე აქვს ძალი გეთიღის საქმით თვისის გამოცხადებისა, და ამისათვის გაცა საგსეა სიყვარულითა, და ამით უძლიერესია სამყაროზე. . . სიყვა-

რული იქამდისინ ძლიერია, რომ იქმს მიუწთომელს, დასძლევს მარადის გამოუვლელ სიგრცესა და დროების ბირობასა, ბაშვს ა-ძლევს ლომის ძალასა. თვით ღმერთი არის სიყვარული, და წყარო სიყვარულისა, რომელიდგანაც ყოველისფერი მოგვერთმევა და რო-მელსაც სუყოველისფერი უკანვე მიერთმევა ხოლმე. «საყვარელნო! გვიყვარდესთ ერთმანერთი; რამეთუ სიყვარული არის ღვთისაგან, და ყველა, ვისაც უყვარს, შობილია ღვთისაგან და იცნობს ღმერთ-სა. ვისაც არ უყვარს, მას არ უცნია ღმერთი; ამისათვის, რომ ღმერთი არს სიყვარული.—ღმერთი არს სიყვარული, და მყოფი სიყვარულში ღმერთთან არის და ღმერთი მასშია», ამბობს წმინდა მოციქული იოანე. და ამისათვის, ყოველი უფლება და ყოველი ძალა არის მხოლოდ სიყვარულში. ამისათვისაც სიტყვა სიყვარუ-ლის ძალით შემოსილი, ანთია დაუმარცხებელი დარწმუნების ცეცხ-ლით და დაათბობს ლმობიერების სითბოთი გამგონის გულსა, ⁄ მისცემს იმას მშვიდობას და ბედნიერებას; მაგრამ სიტყვა სიყვა-რულის არა მქონებელი, წმინდა ჭეშმარიტებასაც შეიქმს ცივად ⁄ მკვდარ ზნეობით—სწავლად, და ამისათვის ულონოდ მოქმედებს ჭკუაზე და გულზე.

ჭეშმარიტება უმაღლესია ადამიანზე, როგორათაც მხოლო-ბით პირზედ: მისთვის, რომ შეაქმნეს ღირსი კაცის სახელის წო-დებისა, კაცი უნდა გახდეს ჭურჭელი ჭეშმარიტებისა, მაგრამ ჭეშ-მარიტებას ადამიანი ვერ მიიტვისებს მსწრათველად, როგორათაც თა-ვის კანონიერ საკუთრებას: უნდა მისწვდეს იმას ჯავთით, ბრძოლით, სხვერპლით და ტანჯვით,—მრთელი მისი სიცოცხლე უნდა იყვეს ჭეშმარიტების დეკნა. ადამიანი თვითონ არის კერძოობითი და შეი-წროებული. მხოლოდ ჭეშმარიტება შეიქმს იმას საზოგადო ჭკვრის მქონებელად და დაუსრულებელად ამისათვის, პირველი პირობა ⁄ საუკეთესო ჭეშმარიტების მისწოთომელად-არის თავის თვისის უარ ყოფა ჭეშმარიტებისათვის. აქედგან დაიბადებიან თავის ნებითი მო-გლება, ბრძოლა სურვილისა და გულის ვნებისა. შეუბრალებლად სას-ტიკად მოქცევა თავის თავის-სიყვარულთან; მზათ ყოფა განტეუ-

ნება ჭეშმარიტების წინაშე, თავის თავის გამტეხ ნებისათვის, თავის თვისის უარეყოფა და განწირვა: ვისაც არა სტოდნია და არ გამოუცდია თავის სიცოცხლეში ესენი,—მას არ უცხოვრნია ჭეშმარიტებითა, არ უცხოვრნია სიყვარულითა.

ახლა გავშინჯოთ ამის და კვალად მშობლების სიყვარული.

დედასა და მამას უყვართ თავისი შვილი, ამისათვის რომა ის არის მათი ნაშობი. სისხლის ნათესაობა არის ბირკვული, და იმავე დროს, ნაკურთხი საფუძველი სიყვარულისა, ეს არის მისი მწერტილი საიდგანაც იწყობა და რომელზედაც არის დამოკიდებული მოძრაობა მისის განვრცელებისა. ამის წინააღმდეგი იქმნებიან მხოლოდ ანუ განყენებული ჭკუის პატრონნი, უგუნურად მსჯელი ხალხი, რომელთაც არა აქვსთ ნიჭი, რომ განსჭვრიტონ ცოცხალი, გამოცხადებული ჭეშმარიტება ანუ ცივი, ხმელი, მკვდარი გულის მქონენ ბელნი, თუ არ ცოდვილნი და გარყვნილნი. მაგრამ, განვიმეორებთ რომა სიყვარული, მხოლოდ ერთს სისხლის ნათესაობაზე დამოკიდებული, სრულიად ვერ შეარდგენს იმას, რაც უნდა იყოს ადამიანის სიყვარული. სისხლისა და ხორცის ნათესაობიდაგან უნდა გავრცელდეს სულიერი სიყვარული, მხოლოდ ეს არის მკვიდრი, მაგარი, მხოლოდ ეს არის ჭეშმარიტი და ნამდვილი, მხოლოდ ეს არის უმაღლესი და კეთილშობილი ადამიანის ბუნებისა ღირსი. ნახეთ: რამდენნი არიან ქვეყანაზე ცუდი შვილები, რომელთაც დაკარგული აქვსთ დედ-მამის სიყვარული, მაგრამ ალსრულებენ მხოლოდ გარეგანს, კანონიერს პატივის ცემასა. რამდენი მამხდარა ქვეყანაზე საშინელი უბედურების მაგალითი შვილებისაგან, რომ მშობლებს არც გარეგანად სცემენ პატივსა, რომელსაც მოითხოვს საზოგადოების რიგი,—ჰ რამდენნი არიან ისრეთი შვილებიცა, რომელნიც აწყევინებენ ხოლმე თავის თავსა დედ-მამას, თუ მათ არ მიმართეს სამოქალაქო კანონსა . . . . . საშინელი, გულის ალმაშფოთებელი სანახავია! საწყალი მშობელნი, უბედური შვილები! დიახ, უბედურნი,—და თქვენ დედ-მამის შემბრალებელნო, ნუ დასწყევლით შვილებსა. მარტო ეს გამოიგვლიეთ, რომა ბუნება დაჭბადებს ხოლმე ქვეყანაზე საძაგელ ხალხსა, თუ აღზრდა და ცხოვრება შეჭქმნის ხოლ-

მე იმათ ისრე? ჩვენ არა ვართ ამის წინააღმდეგი, რომა ბუნება არ დაბადებდეს ხოლმე ადამიანსა ბოროტის მიდრეკილებით, მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ კარგად დარწმუნებულნი ვართ, რომა ამისთანა ამბავი შეიძლება იშვიათად მოხდეს (როგორათაც სხოლიო საზოგადო კანონიდგან) და არც არის ისრეთი ცუდი ადამიანი, რომელსაც კარგმა აღზრდამ არ მოუტეხინოს ცუდი თვისება. ვაი ცუდს შვილებს! რის მიზეზითაც უნდა შექმნილიყვნენ ესრეთნი—გინდ ცუდის აღზრდისაგან, დედ მამის დანაშაულით, თუ გინდ სხვა შეძთხვევის გარემოებით,—მაგრამ უბედურნი არიან ისინი, ამისათვის რომა არ იციან შვილურის სიყვარულის ბედნიერება და არც ექმნებათ იმედი მშობლურის სიყვარულის გემო გაიღონ, მაგრამ მაინც უნდა გავშინჯოთ მიზეზი მათის ზნის გაოუჯებისა, თუ მათ გასამართლებლად არ, ჯეშმარიტების გასამართლებლად მაინცა, რომელიც უმაღლესია ყველაზე, ისრე გაშინჯე მშობლებზედაც ჯ სასწავლებელი მაგალითიც, არის ამისთანაგულის აღმაშფოთებელი სანახავის აღშფოთებულთა. ჩვენა გვთქვით, რომა მამას უყვარს შვილი ამისათვის რომა ის არის მისი ნაშობი; მაგრამა ამას გარდა იმას უნდა უყვარდეს თავისი შვილი კიდევ ისრე როგორათაც მომავალი კაცი, რომელიც ღმერთს მიახსია თავის შვილად, და რომელის დასახსნელადაც ჯვარს ეცვა. შვილი მამამ უნდა აღზარდოს სულით ჯ ჯეშმარიტებით,—და ეს აღზრდა არ უნდა იყვეს ცოცხალს სინამდვილეზედ მოშორებული, არა, მრთელი იმისი სიცოცხლე და ყოველი მოქმედება მისი უნდა იყვეს გამოხატვა ცოცხალი და მხურვალე სიყვარული ჯეშმარიტებისა, რომელშიაც აღმოჩენილია ღმერთი. მხოლოთ ამისთანა სიყვარული შვილებისა არის ჯეშმარიტი და ღირსი სიყვარულის წოდებისა; ყოველი სიყვარული ამას გარდა არის ეგოიზმი, ციური თაყვის მოყვარება. მთელი ცხოვრება დედ-მამისა, ყოველი მათი ყოფა-ქცევა უნდა იყვეს მაგალითი შვილებისათვის, და საფუძველი ერთი ერთმანეთის მიქცევ-მოქცევისა. შვილისა და მშობლებს შორის უნდა იყვეს სიყვარული ჯეშმარიტებისა, ჯ არა თავის თავისა. არიან ისრეთი მამები, რომელთაც უყვართ შვილი თავისათვის,—და ამ სიყვარულ-

ში არის თავისი ჭეშმარიტი და გონიერული მხარე; არიან ისეთი მამები, რომელთაც შვილები უყვართ, შვილებისათვისვე,—და ეს სიყვარული არის უმაღლესი, უფრო ჭეშმარიტი, უფრო გონიერული; მაგრამ ამ ორ გვარ სიყვარულთანვე არის კიდევ უმაღლესი, უჭეშმარიტესი და უუგონიერესი სიყვარული შვილებისა—სიყვარული ჭეშმარიტებისათვის, ღვთისათვის. განა იმ მამას უყვარს თავისი შვილი, რომელიცა აყურებინებს პატივის-ცემით თავისს ცუდსა და გარეგნილ ყოფაქცევასა ისე, როგორათაც ერთ რასმეს კეთილ შობილურსა და გონიერულსა? განა სულ ერთი არ არის, რომა ბავშვს მოსთხოვო, რომ თავის მხედველობის წინაღმდეგად შავს დაუქახოს თეთრი და თეთრს შავი? აქ არ არის სიყვარული, აქ არის მხოლოდ თავის-მოყვარება, სადაც თავის თავი ჭეშმარიტებაზედ უმაღლესად მიაჩნია. ბავშვს ყოველთვის ექმნება იმ ენი გონება რომ, როცა ნახავს იმის დედა სცემს თავპირში მოახლოებესა, ან იმისი მამა დათვრება და დაუწყებს დედას ჩხუბსა, გაარჩიოს, რომ ეს ცუდია. რასაკვირველია, თუ დაეჩვია ამისთანა სცენები' ყურებასა პატარობიდგანვე და თუ უქე ეს კარგია; შეიძლება სრულიად დაარწმუნო ბავშვი, რომა ეი სწორეთ ეს არის ჭეშმარიტი სიცოცხლე; და ეს იქმნება გარეგნა, დაღუპვა იმისი: სად არის აქ სიყვარული? — აქ არის მხოლოდ თავის თავისმოყვარება, რომელსაც ურდა, რომა თაკისშვილებში დაინახოს თავისი მახინჯი სურათი, რომ ისინი არ შეიქმნენ მისი სასტიკი, თუმცა ხმის ამოუღებელნი, მსაჯულები. ბუნებისა და სულის კანონის წინააღმდეგად, ადამიანის გონების გახსნის წინააღმდეგად, მამას უნდა რომა მისმა შვილებმა უყურონ ქვეყანას მამის თვალებითა (*): მისდევს და უქრობს ყოველს ჭეშმარიტებასა, ყოველს ნების დაუმოკიდებლობასა, როგორათაც შვილურის პატივის-ცემის დარღვევასა და როგორათაც მამის უფლების წინააღმდეგობასა, — საწყალ შვილებს არ შეუძლიანთ იმასთან ხმა ამოი-

(*) ე, ი. მამამ თეთრი რომ აჩვენოს და უთხრას ეს შავია; იმათაც უნდა დაიჯერონ, რომა ის შავია და არა თეთრი; თორემ ეს იქმნება მამის ნების წინააღმდეგი.

ლან, იმათში მოკლულია ენერგია, ნება, ხასიათი. სიცოცხლე, ოსნი შეიქმნებიან მართებული ხისგან გამოჩორკნილი კაცები, მითვისებენ მონის ბოროტებასა—მტბიერობას, მზაკვრებას, გულდახურულობას, ტყუილის თქმასა, მოტყუებასა, თავის დაძვრენასა.... ჩინეთის ხალხს ბატარა ფეხები ქალისა სიმშვენიერეთ მიახნიათ, ამისათვის შეუხვევენ ბატარა ქალს ფეხებსა ხარის ტყავში და მოხსნიან მაშინ, როდესაც შეიქმნებიან გასათხოვრად; და მართლაც ერთი ბეწვა ფეხები აქვსთ, მხოლოდ ბრუნდეები, დამახინჯებული ასე, რომ ქალს შეუძლიან სიარული მხოლოდ ოთახში, ისიც კედელ-კედელ თუ გაჭყვება ან მებელს მოჭიდებს ხელსა. ამისთანა არის დაბოლოვება, როცა დაუყენებთ ბუნების თავისუფალ ზრდასა! სწორედ ეგრეა მაშინაც, როცა ბუნებით და თვით-მყოფი სულის ზრდას დაუყენებენ ხოლმე. აბა რა ვსთქვა იმ მშობლებზე, რომელთაც აქვსთ უბედური რწმენება, რომ თავის შვილების სასარგებლოთ და ბედნიერებისათვის ისინი ვალდებულნი არიან უფლებდნენ მათს მიდრეკილებაზე, მერე იმისთანაზედ, რომელზედაც დამოკიდებულია ადამიანის მთელი სიცოცხლის ბედნიერება და უბედურება? ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მშვენიერი ყმაწვილი ქალი, ღრმა სულისა, მოყვარული გულის მქონებელი, და რომელისამე შემთხვევით კარგად აღზრდილი, თავის და საუბედურად, რომელსაც შეუძლიან გაამშვენიეროს, ძვირფასად მართას, გაბედნიეროს სიცოცხლე თავისის ამორჩეულისა, რომელმაც შეიძლო მისი ცნობა,—მითხოვებენ ხოლმე ვისმე ადამიანის სახის მქონებელსა მოუხეშავს ცხოველსა დედ-მამის უფლების ძალით, და ესრედ იღუპება საწყალი ხმის ამოუღებელად. ვერვისგან მიუხვედრელისა და გულში ჩამარხულის ტანჯვითა . . . . საწყალს არც კი შეუძლიან იჩივლოს ვისზედმეის დაღუპეს მისისავე სიყვარულისა გამო, მისთვისვე ბედნიერებისა და სიკეთის სურვილის გამო . . . . ვაი იმ ადამიანის ბრალი, რომლის ბედიც ბოროტი კაცის ხელთ არის, ვაი იმისივე ბრალი თუ მისი ბედი, კეთილი, მაგრამ უგუნურისა და უზრდელის კაცის ხელთ არის! . . . საწყალი ქალები, ყველაზე მოამატებულად

გამოსცდიან ხოლმე ამ უკეთეულ მწარე ჭეშმარიტებასა . . . . უმა-
რწვილი კაცი, რომელსაც სხვის ძალ-დატანებით იმისთანა ცხოვ-
რების გზასა აირჩევს, რომელიც არა ყოფილა მისთვის დანიშნუ-
ლი, ადრე თუ გვიან, თუნდა სულის ძალა გამ-აკლებული ჰქონ-
დეს, თუმცა შეგვეცილი ფრთებითაც იყოს, მაგრამ მაინც კიდევ
გამოვა თვისს მოწადინებულს თავის უფალ გზაზე, და ქალები კი!...
აბა, რა ვსთქვათ იმ მშობლებზე, რომელნიცა თავისი შვილების ბე-
დითა ვაჭრობენ, ვაჭრობენ სიმდიდრისთვის, დიდ-კაცობისთვის,
და ამასთანავე ამას მოქმედებენ მათთვის ვითომ სვინიდისიანად და
თვისის წმინდა მშობლიურის ვალდებულებითა? . . . არა, დავსტოვოთ
ეს საშინელი საგანი, რომლისაგანაც აღშფოთდება და თრთის ადა-
მიანის ბუნება, თითქო გველაშაპი ანუ გესლიანი გველი დაინახოო.

გონიერული სიყვარული უნდა იყვეს საფუძველი მშობელთა ჭ
შვილებთა შორის. სიყვარულისაგან გამოდის ერთი ერთმანეთის
ნდობა, — და მამა უნდა იყვეს რამდენადაც მშობლად, იმდენადაც
თავისი შვილის ამხანაგად. პირველი იმისი ზრუნვა უნდა იყვეს ისა,
რომ შვილმა იმას არ დაუმალოს არც იოტის ოდენი თავისი სუ-
ლის მოძრაობა, პირველთ ამასთან უნდა მიეიდეს თავისი მხიარუ-
ლებისა და მწუხარების ამბის სათქმელათა, პირველად იმას უნდა
შეატყობინოს თავისი დანაშაული, ცუდი აზრი, ცუდი სურვილი;
და სთხოვოს იმასა რჩევა, მონაწილეობის მიღება, თანა-გრძნობა,
და ნუგეშის-ცემა. საშინელ შეცდომაში არიან ბევრნი, ასრე გა-
შინჯე ზოგიერთი ჩინებულ მამებთაგანიცა, რომელნიცა რაცხვენ მი-
უცილებელ საჭიროებად შვილების მოქცევას სასტიკად, პირ-ქუშად
და მიუკარებელი ამაყობით და ქცევითა. იმათა ჰგონიათ, რომა ა-
მითი შვილები მომატებულად პატივის მცემელნი იქნებიან; მართა-
ლია, შვილი პატივსა ჰსცემს ,მაგრამ ის პატივის-ცემა ცივია, მოგრ-
ძალჯულია, საშიში და მთრთოლვარეა; ამით ამ-ულებენ თავსა და უ-
ნებელად შეარჩევენ ხოლმე შვილებს მალვასა და ტრუობასა. მშობე-
ლნი პატივ-ცემულნი უნდა იყვნენ შვილებისაგანა, მაგრამ ეს პატი-
ვის-ცემა უნდა გამომდინარეობდეს სიყვარულისაგანა, მასზედ უნდა

ფოს დამოკიდებული, როგორათაც თავისუფალი ხარჯი, უთხოვნელად მისაღები. არათერი ისრე საშინლად არა მოქმედებს რა ყმაწვილ გულზე, როგორც გულ-გრილობა და ამაყობა, რომელითაც მიიღება ხოლმე მისი მსურვალე გრძნობის გამოცხადება; არათერი არა დაასხამს რა იმისთანა მომაკვდინებელ სიცივესა, როგორათაც კეთილ გონიერული დარიგება და რჩევა იქა, სადაც ის მოელის თანა გრძნობასა. ერთხელ და ორ ჯელ ამ გვარად მოტყუებულს ყმაწვილს გული დაეხურება, მიხვდება თავის მარტოკაობასა, თავის ცალკე ყოფნასა ⁄ განსხვავებულებასა ყოველისთერისაგან, რომელიც იმ ცოტას ხნის განმავლობაში ისეთის სიყვარულით ⁄ სიხარულით ეხვიენენ გარეშემო, და გაუჩნდება სულში თავის თავის მოყვარება (эгоизмъ), ის შეეჩვევა თვიქრსა, რომა სიცოცხლე არის ბრძოლა თავის-თვისის მოყვარეთა შორის, შმაგი თამაშობა, რომელშიაც ყოველთვის გამარჯვებული მცბიერი და შეუბრალებელი და დაღუპვილია მოუხერხებელი და მარცხვი. ღია გული ბავშვისა ანუ ჭაბუკისა არის წმინდა წყარო, რომელშიაც სჩანს მოწმენდილი, და მოკაშკაშებული ცა; გულ დახურვილი კი არის ბნელი უფსკრული, სადაც დაბუდებული არიან ღამურაები და ღობოსთაშოები....თუ ეს არა, შეიძლება მოხდეს მეორე: ადამიანს, თავისი ბუნებისა გამო, არ უყვარს მარტოკაობა და განშორება, სურს ყოველთვის თანა-მგრძნობელობა და მინდობა თავისი მზგავსისა (ადამიანისა), — ამისგამო ბავშვები მეგობრდებიან ერთმანეთში, შეარგდენენ საზოგადოებას, რომელსაც აქვს თავისი საიდუმლოები, რომელსაც საზოგადო და შეერთებული ღონით მალვენ, რომელიცა არას დრო არ არის საკეთილო. ეს უფრო საშიშია, მაშინ როდესაც გაუამხანაგდებიან უცხოებსა, მით უმეტესად, თუ ამორჩეული ამხანაგი არის უფროსი ამამრჩეველზე: ის აჯობებს უმცროსსა, მიიღებს ავტორიტეტობასა მასზედ, და ჩაგონებს ყოველს თავისს მიდრეკილებასა და ჩვეულებასა,—რა იქმნება მაშინ, თუ მისი მიდრეკილება და ჩვეულება არის ცუდი და ბოროტი? . . . არა! ჭირველი საქმე ნშობელის სიყვარულისა ის არის, რომ შვილი სრულად ენდობოდეს მშობელსა, და ბედნიერნი არიან ის შვილები,

როდესაც მათთვის განმაზდებულია მშობლის მკერდი და ხვევნა, როდესაც იციან რომ მშობლის კალთა განმზადებულია მართლისაცა ჯ მტუანისა მისადებათა, როდესაც იცა,ნ რომ შეუძლიანთ უშიშრად და უეჭვოდ გული დაიმშვიდონ მშობლის გულზედა.

ემარწვილი სული, რომელსაც ჯერ არ განმოუცდია გარდევნა ჯ ეჭვი, სულ ღია არის, არის გარეთა; იმან არ იცის სიყვარული ზომიერი, ის მიეცემა თავის საყვარელ საგანსა (უალთქმოდ), უარგარეთ და უზომოდ, ხედამს მასში სულ მას, რაც კი შეუძლიან გონებამ წარმოუდგინოს, სწამს ისა ყოველის ბანსტიკური სიმხურვალით. ჯ ახლა ითქვეთ რა უნდა იყოს ეს სიყვარული მშობლებისაკენ მიმართულთუ ო, ამისთანა შვილებისათვის უმაღლესი ბედნიერება ის არის, რომ რაც შეიძლება ხშირათ იყვნენ დედ-მამასთანა, დასტკბენ მათის ლაპარაკითა, წაჰყვენ სასეირნოთ, ჰყვანდნენ ისინი თავისი თამაშობისა და ცელქობის მოწმებად. ჰკითხონ იმათ თუ რამე საეჭვო ექმნებათ, გამოირჩიონ მსაჯულად თავის ბაშკურს ჩხუბში ჯ უსიამოვნობაში! საჭიროა ღა დავამტკიცოთ, რომ ამისთანა აღზრდაში, მშობლებს მხოლოდ ერთის აღერსით შეუძლიანთ თავის შვილებს სულ, რაც კი სურთ ის აქმნევინონ; მათთვის სულ ადვილია თავისი შვილები ერთნაირსა და რიგიანსა ჯათვასა შეაჩვევონ (ეს არის უპირველესი მხარე აღზრდისა: ურომლისოთაც ბევრი რამ ილუპება ადამიანში)? საჭიროა ვილაპარაკოთ მაზედ, რომ ამისთანა მშობლებთათვის ძრიელ შესაძლებელია ჯათვა თავის შვილებსა, ჩვეულებად გაუხადონ და დანარჩენი თავისუფალი დროება, ჯათვის შემდგომ,—უმაღლეს ბედნიერებად და ნეტარებად? ამაზედ ნაკლები დამტკიცება ღა უნდა იმას, რომ ამისთანა აღზრდაში სრულიად უსარგებლო არის ყოველ გვარი დასჯა, რომელიც ადამიანების ლირსებას ამცირებს, ბავშვის კეთილშობილურის სულის თავისუფლებასა გაწრთობს. სასტიკი შეხედულობა, ცივი ზრდილობა მოქცევა, კილოკავად საყვედურის გაგონება, თავგზიანი შენიშვნა და თუ ესეც არა, ბევრი-ბევრი, სასეირნოთ არ წაიყვანო თანა, ან უარი უყო და არ აგდებინო ყური, როცა მოთხრობასა და ზღა-

ვარს ამბობს თუ კითხულობს დედა ან მამა, ანუ ოთახში დატუ-
სადება, — აი სასჯელი, რომელიცა, თუ იხმარება ზომიერად დანაშაუ-
ლის მიხედვით, საკმაოა შემაგნებელად რომ ბავშვმა შეიგნოს, მოინა
�ა,მოიქცეს ! ა ტირდეს კიდეცა. ნაზსულს ყოველისფერი ადებეჭ-
დება, რაც უნდა იყოს: იმას აქვს მახვილი მიდრეკილება, რომლითაც
თვითონვე მიხვდება თავის ცუდს მდგომარეობაში ყოფნასა, თუ
მოახდინა რამ ცუდი; მოუხეშავი სული კი დაჩვეული სასტიკ დას-
ჯასა, გამაგრდება, გახმება, დაიბეგვება, შეიქმნება უსირცხვილო—
ურამუსო, — და იგი სრულიად ალარაფრად შეიმჩნევს არც ერთს
სასჯელსა. საჭიროა ვილაპარაკოთ მასზედ, რომ ამისთანა ალ-
ზრდა ადვილიც არის და შესაძლებელიცა, მაგრამ მოითხოვს სრულ
ადამიანსა, მთელს მის ყურის-გდებასა, და მთელს მისს სიყვარულ-
სა. მშობლები, რომელთაც შვილებისათვის უმსხვერპლიათ, მთელი
თავისი სიცოცხლე განუწყლადებიათ, იშვიათნი არიან: მაგრამ კი-
დეც ამათთვის ვამბობთ ჩვენა, და ჩვენს სიტყვას იმათ ვუგზავნით.
ღმერთმა ქმნას, რომ იმათ მიიღონ ჩვენი სიტყვა ისრეთის სი-
ყვარულითა და გულ-მხურვალებითა, როგორათაც ჩვენ იმათ უგ-
ზავნით! იმათ კი, ვინც ესრეთნი არ არიან, შეუძლიანთ ჩვენ არ დაგ-
ვიჯერონ და დაგვცინონ კიდეცა თუ ნებავსთ . . . ღმერთმა მშვი-
დობა მისცეთ ! . . .

დიდი საქმეა ალზრდა: აქამდინ იმაზედ არის დამოკიდებული
ადამიანის ბედი. ყმაწვილი ხალხი არის სტუმარი აწმყო დროები-
სა, და პატრონი მომავლისა, რომელიც არის მათი აწმყო, რო-
მელსაც მიიღებენ ხოლმე იხინი, როგორათაც მემკვიდრეობასა თა-
ვის ძველებთაგან. როგორათაც ჩასახული მომავალი დროებისათვის
რომელიც უნდა შეიქმნეს აწმყოდ, თვითო მათგანი არის ახალი
ნაზრი, გამზადებული ძველი ნაზრის შესაცვლელად. კიდეც ეს არის
პირობა წინ წადგომისა და უკეთესობაში მ ასვლისა ადამიანთა შთა-
მამავლობისა. «არ ჩაასხმენ ახალ ღვინოს ძველ ტიკში, ბძანა იესო
ქრისტემ, და მანვე სთქვა მასთან საგულისხმიერად მოყვანილ ბავშ-
ვებზე: «მათთვის არს სასუფეველი ღვთისა» მაგრამ ახალი, განა-

ნამდვილებლად, უნდა ისტორიულად განვრცელდეს ძველიდგან, — ეს ამ კანონში არის უალრესობა აღზრდისა, და მითიგე მტკიცდება უალრესობა იმ ხალხისა, რომელნიც კისრულობენ ბავშვების აღზრდის წმინდა მოვალეობასა.

მთავრობა, დაუდუმებლად მოწადინე ჩვენის სიკეთისათვის, არასთვერს არა ზოგავს საზოგადო განათლების დასაწესებლად მკვიდრ საფუძველზე. თუმცა ამ ჟამად არიან მრავალი საწესებლები, მაინც კიდევ აწესებს ახალს და ახალს საუკეთესო საფუძვლით, ძველსა სცვლის და აუკეთესებს ისრე, როგორც ითხოვს დროება; ხარჯავს მისთვის მრავალ თულსა, ვაკანციის გახსნის დროს ამწესებს უმარწვილ ხალხსა, ძველებზე უმეტესად ნიჭის მქონებლებსა, რომელთაც შეეძლოთ ახლანდელი დროების საჭიროების აღსრულება, — და ვისაც მიუგდია ყური ამ მმართებლობის ნაწილისათვის, მას არ შეეძლო გაკვირვებულიყო მასში საუკეთესოდ შეცვლილებისაგან, ჩინებული დაბოლოებისაგან. მაგრამ საზოგადო განათლება, რომელსაც უპირველეს მნიშვნელობად აქვს გონების ნიჭის გახსნა და გამდიდრება მისი სწავლით, სრულიად არ არის ისა, რაც შინაური აღზდა: ერთიც და მეორეც მიუცილებლად საჭიროანი არიან; და ერთი მეორეთი არ შეიცვლება.

ისრეა! მშობლები, მხოლოდ მშობლები არიან მოვალენი, რომ აღზარდონ თავისი შვილები ადამიანად; მოვალეობა შკოლებისა ან რის, რომ გამოიყვანონ ისინი მსწავლულებად და ხელმწიფის მოსამსახურედ ყოველს მისს ხარისხზედ; მაგრამ ვინც ყველაზე უწინარ შექმნილა ადამიანად, ის ვერათვერი მოუკასი იქნება სხვისათვის და მოსამსახურე ხელმწიფისა. აქედგანა სჩანს რა უწარჩინებულესია, დიდი და კურთხეული ლირსება აღმზრდელისა: იმის ხელშია ადამიანის სვე მთელ სიცოცხლეში. პირველი აღბეჭდილება შემძლებელად მოქმედებენ ყმარწვილ სულზე: მთელი დაწარჩენი განვრცელება იმისი დამოკიდებულია მის ზედ-მოქმედებაზე. ყოველი კაცს, რომელიც ჯერ არ დაბადებულა ქვეყანაზე, თავის თვისში აქვს შემძლებელობა (возможность) იმ ფორმისა, როგორიც

მისთვის საჭიროა. ეს შემძლებელობა არის იმის აქებულებაში. რომელზედაც არის დამოკიდებული მისი ხასიათიცა, მისი გონების ლონეცა, მისი მიდრეკილებაცა ჭ ერთისა თუ მეორე მოქმედებისა, ერთისა თუ მეორე როლის ნიჭი საზოგადო დრამაში,— ერთის სიტყვით, მოელი მისი ადამიანობა. თავისის ბუნებით, არავინ არ არის უმაღლესი და უმდაბლესი თავის თავზე: ნაპოლეონად და შექსპირად უნდა დაიბადოს ადამიანი, მაგრამ არ შეიძლება გახდეს; კარგი ათეცერი ხშირად შეიქმნება ხოლმე ცუდ გენერალად, და კარგი კადეკილისტი ცუდ ტრაგიკად. ეს არის ბედის-წერა, რომელთანაც უღონოა ადამიანის ნებაცა და თვით უბედნიერესი გარემოებაცა. მნიშვნელობა ადამიანისა არის განვრცელება მისს ბუნებაში იმ მარცვლისა, რომელიცა სძევს სულის ღონის ძიებად, შეიქმნეს თავის თვისის თანასწორი; მაგრამ იმის ნება არ არის, და ძალა არა აქვს, რომ შეიძინოს ჯათვით და ძალდატანებით მომატებული იმაზე, რაც მისთვის ბუნებას მიუნიჭებია, და შეიქმნას თავის თავზე უმაღლესი, და აგრეთვე არ შეუძლია არ იყოს იმათ, რაც წინათვე დაჩიშნულია აქვს, მაგალითებრ, თუ დაბადებულია ხელოვანად (художникомъ) არ შეუძლიან შეიქმნას მსჯელად (мыслителемъ) ჭ სხვანი. და აი აქ აღზრდას აქვს თავისი ჭეშმარიტი და უმაღლესი მნიშვნელობა. ცხოველი დაბადებული ღომისაგან, შეიქმნება ღომი, იმისათვის საჭიროა არ არის ცდა და ძალ-დატანება თავის მხრით, არც ბედნიერი გარემოება; მაგრამ ადამიანი, დაბადებული არამც— თუ ღომად და თოცხვერად, თუ არის დაბადებული კაცად მთელის ამა სიტყვის ჭაზრით, შეიქმნება გახდეს მგელიცა ჭ დათვიცა, ერთის სიტყვით რაც გინდათ. ხშირად ადამიანი, დიდი ღონის-ძიების მქონებელი დიდის საქმისათვის, გამოიჩენს მხეცურ ღონეს, რომელსაც ხმარობს ყოველი მის გარეშე მყოფის დასაღუპავად ჭ სარე გაშინჯე თავის თავის დასაღუპავადაც, და სხვა არათერისათვის. და თუ არიან ხოლმე ისრეთი მდიდარი და ძალოვანი ბუნების მქონებელნი, რომელნიცა თავისი სიმრავლით და ძალით დაიხსნიან ხოლმე თავის თავს დაღუპვისაგან და დამახინჯებისაგან ცრუ გონე-

ბის გახსნისა და ცუდი აღზრდის გამო,—იმითი არ შეიძლება საეჭვო იყვეს მაინცა ისა, რომა ისრეკ იმ ბუნების მქონებელნი, მაგრამ კანონიერად გონება გახსნილნი და გონიგრულად აღზრდილნი პირდაპირ მიგიდოდნენ თავის საგანთან, მოულოლვის და მოუკლებელის ძალის მქონებელნი, მძიმე და უნამყოფო ბრძოლაში შემთხვეულ წინააღმდეგობისაგან. გონიგრული აღზრდა ბუნებით ბოროტად დაბადებულსაც ან მოაკლებს ბოროტებასა და ზოგჯერ შეიქმს კეთილად, ახსნის რომელსამე ხარისხამდინ თვით უნიჭო გონებასა და შეძლების და გვარად გაადამიანებს თვით შემოკლებულსა და ^ქრალ ბუნებასა: ასრეთვე ტყის მცენარეს, როცა გადარგვენ ბაღში, მოუვლის მებაღე, შეიქმნება თვერითაც მდიდარი და ნამყოფითაც გემრიელი. ყველანი არ დაიბადებიან ვაჟ-კაცად, ხელოვანად (художниками), მეცნიერად; გენიოსი არის საუკუნოების მოვლინება, ეშვიათი ძლიერი ნიჭის მქონებელნიც შეარდგენენ სხოლიოს საზოგადო კანონიდგან,—და ამ შემთხვევაში კაცობრიობა (человѣчество) არის ჯარი, რომელშიაც შეიძლება თითქმის მილიონი სალდათი, მაგრამ მხოლოდ ერთი ფელდმარშალი, და თვითო პოლკში მხოლოდ თითო პოლკოვნიკი, და ეს სალდათზე თვითო ოფიცერი. ამ გვარიკე პრაპორტია არის უმრავლეს ხალხთა და იმ ადამიანთა შორის, რომელნიც არიან ღრმა და დაუსრულებელი ბუნების მქონებელნი, რომელთა მნიშვნელობაც არის ყოველისთვრის გაგება, ყოველის თვრის თანა-გრძნობა და ყოველის თვრის გაკეთილშობილება და გაბედნიერება თავის ზედ-მოქმედებით ^ ან გამოჩინება რომელსამე ერთ მხრის მოქმედებით, რომელიც შეარდგენს გენიის შოწოდებასა ^ ნიჭსა. ბუნება არის მზოგველი და ანა ძუნწი თავის საჩუქრით,—და როგორათაც გამოჩინება სამარადისო მეცნიერებისა, ის სასტიკად იცავს თავისს იერარხიულ წესსა, (табель о рангахъ). მაგრამ ბუნებაში ყოველის თვრს აქვს თავისი შესათვერი მნიშვნელობა, კაცობრიობაში და სამოქალაქო საზოგადოებაში,—რომელის მიზეზითაც ყოველი კაცი, რა ნაირი ნიჭიც უნდა ჰქონდეს, პოულობს თავის ადგილსა ან ერთში ან მეორე-

ში. ადგილი კი არ ამცირებს კაცსა, — ადამიანები ადგილს ამცირებენ. თვით უპირველესი შესაფერი ადგილი კაცისათვის არის ისა, რომელისათვისაც მოწოდებულია, და მოწმობა მოწოდებისა არის მისი ნიჭი, ნიჭის ხარისხი, მიდრეკილება (наклонность) და მიდევნა (стремленіе). ვინც მოწოდებულია დიდის საქმისათვის კეტობრიობაში, ალსრულოს ისა: მას ეკუთვნის პატივი და დიდება, გენიის ჯილა, ვისთვისაც დანიშნულია წყნარი და არ გამოუჩენელი ბედი—შეიძლოს იმაში ბედნიერების პოვნა, შეიძლ სარგოიანად მოქმედება მცირეს ასპარეზზედაც, შეიძლ იყო ლირსი, პატიოსანი მცირე საქმეშიაც. ყოველი სურვილი ვერ შესაძლებელისა—არის ტყუილი სურვილი; ყოველი წადილი თავის თავზე უმაღლესად და თავის ლონის-ძიების უმაღლესად ყოფნისა, არ არის ეთილშობილური გრძნობა. საგანი ჩვენის წადილსა არის დაკმაყოფილება, და ყოველი ადამიანი დაკმაყოფილდება არც მეტით და არც ნაკლებით მხოლოდ ისითი, რაც იმისთვის საჭირო; ⁄ ვინც ეშოვნა თავის კმაყოფილება მცირე ასპარეზზედ ის ბედნიერია იმაზე, რომელსაც აქვს სულისა მრავალი ლონის-ძიება, და ვერა პოულობს თავის კმაყოფილებასა. პატიოსანი, და თავის კვალად ჭკუიანი ხარაზი, რომელმაც სრულიად კარგად იცის თავისი ხელობა და ილებს იქიდგან ყოველისფერს, რაც იმას უნდა საცხოვრებელად, უმაღლესია ცუდ გენერალზე, თუ გინდ ის გენერალი იყვეს თვითონ მელასი, უმაღლესია მეცნიერ-პედანტზე, უმაღლესია ცუდ ლექსთ მთხზველზე. უპირველესი საგანი კაცისა ის არის რომ ყოველს მოქმედებაში, ყოველ საზოგადო იერარხიის კიბის საფეხურზე. იყვეს—ადამიანი. თუმცა ბუნება მოგვიგლინებს ზომიერად დიდი გენიის მქონებელსა ამ სულიერთ ქვეყანაში, მაგრამ უხვად დაუსრულებელად დაბადებს ხოლმე სულისა, ნიჭის და გულის-ყურის მქონებელ ხალხსა, ერთის სიტყვით ყოველის ფერით საკვესს რაც კი საჭირო კაცისათვის, რომ მიიღოს უმაღლესი ლირსება ადამიანობის სახელწოდებისა. ხალხი უგულის-ყურო, უნიჭო გონება დაბნელებული ისრეთი იშვიათია, როგორათაც მახინჯები სხეულითა, და ისრე ცოტანი

არიან, როგორც მახინჯები. ისინი მრავლდებიან ორის მიზეზისაგან, რომელშიაც ბუნებას სრულიად არა აქვს დანაშაული: ცუდის აღზრდისაგანა და საზოგადოდ ცრუდ გონების გახსნისაგანა. ჯ კიდევ იმისაგანა, რომა იშვიათად ნახამთ კაცსა თავის გზაზე და თავის ადგილასა, რისთვის არის კაცი მოწოდებული, ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კაცსა ამ ქვეყანაში, ეს ძნელი მისახვედრი საქმეა, და ხშირად თუ არ მიაგდე სხვა ცხოვრების გზაზე, ის თვითონ დაჰკარგამს გზასა შეუგნებელობის და პრეტენზიის ხელთ-მძღვანებითა. მაგრამ, რომ შესაძლებელი იყოს ყველასათვის ერთ ნაირი კანონიერი აღზრდა, მაშინ ბუნებისაგან დაჩაგრულების რიცხვი დაცოტავდებოდა იქამდისინ, რომა მართლა ბუნებისაგან დაჩაგრულებს პირდაპირ მიიღებოდნენ კუნსთკამერში სპირთ ესხმულებმინებში. ჯ ამისათვის, აღზრდა, ხალხის სიმრავლის შეთვარდებით, შეიძინებს კიდევ მომატებულ უაღრესობასა: ის არის სუყოველისთვერი—სიცოცხლეცა, სიკვდილიც, დახსნაცა და დაღუპვაცა. მაგრამ მისთვის, რომა აღზრდა შეიქმნეს სიცოცხლედ და არა სიკვდილად, დახსნად და არა დაღუპვად, უნდა ხელი აიღოს თავის ნებითი და მოგონილი (искуственной) თვის მოქმედების პრეტენზიისაგან. აღზრდა უნდა იყვეს თანა შემწე ბუნებისა—მეტი არათვერი. თითქმის ყოველთვის ჩგონიათ, რომა ბავშვის სული არის თეთრი თვიცარი, რომელზედაც შეიძლება დასწერო რაც გინდა, და ისკი ალარ ახსოვსთ, რომა ყოველი კაცი არის სრულიად განსხვავებული, რომელიც შეიძლება კიდეც გაფუჭდეს და კიდეც გაკეთდეს—მხოლოდ თავის და გვარად. აღზრდას შეუძლიან მხოლოდ ადამიანის გაფუჭება, დამახინჯება იმის ბუნებისა; უკეთესად ის ვერ შეჰქმნის, და მხოლოდ შვილის ქმნასა. თუ კი მართლა ბავშვის სული არის თეთრი თვიცარი, მაშასადამე თვისება და ჭაზრი იმ ასოებისა, რომელსაც იმაზედა სწერს ცხოვრება, არის დამოკიდებული არამც თუ დამწერზე და სწერ იარაღზე, თვითონ იმ თვიცრის თვისებაზედაცა, რომელზედაც სწერს. ადამიანს არ შეუძლიან არათვერი შეიტეოს, რაც უნდა იყვეს კაცში, ამისათვის რომა ყოველი ჯეშმარიტება მისწოთომელი მისი გონებისათვის არის

გაარსებული კანონი მისივე სუბუთარი მეხსიერებისა, და სხვა არა ფერი. და კიდეც ამისათვის არის თან დაყოლილი ჭვაზრები (идеи) რომელნიც არიან განუშორებელი თავჭვრეტა (созерцаніе) ჭეშმარიტებისა, ადამიანის აგებულების საიდუმლოში ჩაყოლილი. ბავშვს ვერ დააჯერებ, რომა ორჯელ ორი არის ხუთი, ან არა ოთხი. მაგრამ არიან ამაზედ უმაღლესი ჭეშმარიტებანი, რომლებისა თესლი არის კაცის სულში, რომელსაც სულ არ უფიქრნია მათზე! . .

არა, ბავშვის სული ხის თესლია, რომლისაგანაც შეიძლება შეიქმნას ადამიანი და არა თეთრი ფიცარი! თუმცა ძრიელ დაძველებული ჭვაზრია ადამზრდელისა და მებაღის დადარება, მაგრამ ძალიან—მართალია, და ჩვენ არ გვეძნელება მოვიხმართ ესა. დიახ, უსოვარი—ბავშვი არის ნორჩი, მომწვანო კლერტო, ახლად გამოსული, თავის მარტვლისაგან, და ადამზრდელი არის მებაღე, რომელიც უკლის იმ ნაზ ამოსულ მცენარეს. დამუნით ტყის ვაშლსაც, შეიძლება, მოასხმევინო წვრილი მაცვე ვაშლის მაგიერად, ბაღის ვაშლი, გემრიელი და სხვილი; მაგრამ ამა იქმნებოდა ყოველი შრომა ხელობისა ცდილიყო, რომა მუხისათვის მოესხმევინებია ვაშლი და ვაშლისათვის—რკო. და სწორედ ამაში არის ხოლმე, შეცდომა ადზრდისა: დაივიწყებენ ხოლმე ბუნებასა, რომელიც აძლევს ბავშვსა მიდრეკილებასა და ნიჭსა, და რომელიც წინათვე დაუნიშნამს ადამიანს ცხოვრებასა, და ჭგონიათ რომა ოღონდ ხე კი იყოს, თორემა შეიძლება მოასხმევინონ რაც უნდათ, თუ გინდ კაკლის მაგიერად ასზამთრო.

მებაღისათვის არის კანონი დადებული, რომელსაცა მიუცილებლად ხმარობს ხეების მოვლაში. ის იქცევა თანახმად არამც თუ თვითო მცენარის ბუნებისა შესაფერად ცალ-ცალკე, ის ასზრავს წლის დროებასაცა, დარსაცა და მიწის თვისებასაცა. ყოველ მცენარეს აქვს მებაღისათვის თავისი დროება ადზრდისა, რომლის და გვალადაც დააწყოს თავის მოქმედებასა: ის არ დამუნის ჯერ კარგად გაუმაგრებელ ხის შტოზე, არც ბებერ ხეზე, რომელიც გახმობაზეა მიმდგარი. ადამიანს აქვს თავისი ზრდის დროება, რომელ-

საც თუ არ განსაზრავ შეიძლება, რომ გაუქრო ყოველი გულისყურის განსნა.

აღზრდის ირაღი და საშუალი უნდა იყვეს სიყვარული, და საგანი—ადამიანობა (человѣчность). ჩვენ ამ ჭაზრით, ვამბობთ პირველ აღზრდაზე, რომელიცა ულრესია ყველაზე. ყოველ კერძოობითს ანუ განსაკუთრებითს მიმართვებას, რომელსაც აქვს წინათ განზრახული საგანი რომელისამე საზოგადოების მხარესადმი, აქვს ადგილი მხოლოდ შემდგომს, დასასრულს სწავლაში. ბავშვის პირველ აღზდაზე უნდა ჭქონდეთ მხედველობაში, რომ იმას ამზადებთ არა ჩინოვნიკად, არა პოეტად, არა ხელოსნად, არა, ის უნდა მზადდებოდეს მისთვის, რომ შეიქმნას ადამიანი, რომელსაც ბოლოს დროს შეეძლოს ჩინოვნიკადაც ყოფნა, პოეტადაც და სხვათა, და იმავე დროს ისრეკ ადამიანი იყვეს. კაცობრიობას (человѣчность) ვეძახით ჩვენა აქა ერთს ადამიანში ცოცხლად შეერთებულს იმ სულის საზოგადო ელემენტია რომელიც ერთ ნაირად მიუცილებლად საჭირო ყოველი ადამიანისათვის, რომელ მილეთსაც (націи) უნდა ეკუთვნოდეს, რომელი წოდებისაც უნდა იყვეს, რომელს სიცოცხლის ხანში და რა გარემოებაშიაც უნდა იყვეს,—იმ საზოგადო ელემენტისასა, რომელიცა უნდა შეარდგენდეს მისს შიგნით სიცოცხლესა, მისს უძვირფასეს საუნჯესა, ⸗ რომლის უქონლობითაც ის არ არის ადამიანი. ამ სულის საზოგადო ელემენტებს, უწოდებთ ჩვენა — მიწოთომს ყოველ კაცობრიების გრძნობისასა, ყოველის კაცობრიების ჭაზრისასა, ბუნების ძალისა ⸗ განათლების ხარისხის და გვარად ყოველი ადამიანისა ადამიანი არის გონიერულ-შემგნებელი არსება (сущность) ⸗ ორგანი ყოველი დაარსებულისა.—და აქედგან მიიღებს თავის ღრმა ⸗ უმაღლესს მნიშვნელობას თქმული «Я человѣкъ—и ничего человѣческаго не считаю чуждымъ мнѣ», ე. ი. «მე ვარ ადამიანი—⸗ არაფერი ადამიანური არ მეუცხოება». რამდენათაც უმეტესად ღრმაა და მახვილი ბუნება ადამიანისა, მით მომატებულად არის ის ადამიანი ⸗ მით მომატებულად ადვილი მისახვედრელია მისთვის ადამიანური. ის მიხვდება ბავშვის

სიხარულით ჭეშმარიტსა შეგრიხვლის გათვრენის დანახვაზე, ჭაბუკის ცეცხლებრ აღგზნებულ გულის სასტიკ აღელვებულს გულის-ვნებასაცა, ვაჟ-კაცის მშვიდობიანს თავის-შეოკებასაცა, მოხუცებულის გარინდებულ შთაჭვრეტასაცა, დამდაგველს თვის-განწირულებასაცა, ვეღურს მხიარულებასაცა, გამოუთქმელ ტანჯვასაცა, მდუმარე მწუხარებასაცა, ბედნიერი სიყვარულის სიხარულით აღტაცებასაცა, განშორების მწუხარებასაცა, აღმოფხვრილ გრძნობის ცრემლსაცა, თვალის გამოუთქმელ ვედრებასაცა, თვის უარ-ყოფის უაღრესობასაცა, ლოცვის სიტკბოსაცა, და ყოველის ფერს, რაც არის სიცოცხლეში და რაშიაც არის სიცოცხლე. გამოცდა და გამოცდილება არ არის მიუცილებელი საჭიროება ამისთანა ყოველისფერის მიმხვედრისათვის: ბავშვისა, ჭაბუკისა, ვაჟ-კაცისა, მოხუცებულისა და ქალის საცინობლად მისთვის საჭირო არ არის რომ იყვეს ერთი ან მეორე! ან მეხამე; იმისთვის არც ის არის საჭირო, რომ იყვეს იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ისინი არიან: ოღონც კი წარმოუდგეს გამოჩინება (явленіе), მაშინ იმისი გრძნობა მიუხვედრელადაც გამოეხმაურება და მიხვდება იმასა. ყოველისფერისათვის ექმნება იმასა ალერსიცა, ბასუხიცა, მონაწილეობის მიღებაცა, ნუგეშის ცემაცა, წმინდა მხიარულება მოყვარის ბედნიერებაზე, გულის შეტკივნება მის მწუხარებაში, ღიმილიცა მის სრული ნეტარების შეხედულობაზე, ცრემლიც მისს მწარე ცრემლზე! იმან იცის, ხომ არამც თუ შესაძლებელია სისუსტე ჯ შეცთომა ადამიანისა, იმან იცის თვით შეცოდებაცა და დანაშაულიცა: იმას ეჯავრება შეცოდებაცა და დანაშაულიცა, მაგრამ გული შესტკივა შემცოდველისათვისაც და დანაშაულის მომქმედისთვისაცა. მისი გული თანასწორად მიიღებს მეგობრის გულითად საიდუმლოსაცა, უმარწვილი, ტანჯული სულის აღსარების თქმასაცა, ნეტარებით მოქანცულ სულის თქმასაცა, ტანჯვით დამზრალ გულსაცა, გოდებით შემნანიებელსაცა და თვით უსაშინელეს გულის ვნებისა და შეცოდების მოთხრობასაცა. ის პატივის-ცემით მიიღებს მეგობრის გრძნობასაცა და მტრისასაც; იმისთვის წმინდა არის მწუხარება და მხიარულება ნაცნობისა და უცნობისა. იმასთან ისე თბილა და შვება

შიეცემა თავისას და სხვისასაც; ის ყველას აგრძნობინებს მირდობისა და გულის სურვილის გასხილებასა. იმის სულში იმდენია სითბო და სიწრფოება მისს ლაპარაკში ისრეთი თაკ დაბლობაა და დაფიქრება, მისს მიხრა-მოხრაში იმდენი სიობილე და თავაზიანობაა. რა შვება მიეცემა ადამიანსა, როცა ნახავს მოხეცებულსა, რომელსაც არ მიუღია განათლება და არა ყოფილა ალზრდილი, რომელსაც გაუტარებია თავისი მთელი სიცოცხლე საქმის კეთებაში, არ იცის არა ფერი გონების მოსასაზრავი, ოცნებითი და პოეტიკური,—რა სასიამოვნოა შეხვედრა თბილი გრძნობისა, რომელიც არ არის შეკიწროებული წლოვანობის ტკირთით და ცხოვრების მძიმე ზრუნველობით, საყვარულისა და დათმობისა ყმაწვილი ხალხის ქარიანობით შექცევისა, მისს ამბოხიერ მხიარულებისა, მისს ოცნებასა საშუხარობასაც, ნათელსაც, გულითადსაც და ამპარტაკნულსაცა! რა სასიამოვნოა, როცა ნახავ მის სახეზე მშვიდობიან ღიმილსა სიმღერისა, ლექსებისა და მოთხრობის გაგონების სიამოვნებით მოყვანილსა, ან წმინდა ცრემლს ლმობიერებისასა! . . ო, დაიხოქეთ ამისთანა მოხეცებულის წინ, ბედნიერებად და პატივის ცემათ შერაცხეთ მისი აღერსიო მოკითხვა, მის მეგობრული ხელის ჩამორთმევა: იმას აქვს ადამიანობა (человѣчность)! ის მილიონ ჯერ უკეთესია იმ ეჭვიან და გულასუქებულ ყმაწვილ კაცებზე, რომელნიც დამჭკნარები არიან უდროოთ,—იმ პატიოსან მეღოტებზე და ჭაღარიანებზე, რომელთაც სიძველით უნდათ შესცვალონ ჭეუა და ნიჭი, ტიკი უბინაო ლაპარაკით თბილი გრძნობა, გარეგანის და ნათხოვარი ჩინებულების, ბრწყინვალებით თავიანთი შიგნითი ფუღობა და შეურაცხება (სიგნინე), და დიდებული და სასტიკი განმსჯელობით ზნეობაზე—თავიანთი ხის გუნებამ სიხმელეთ და მოკვდინებით.

მაქსიმ ღოლანიძე.

კირაკოზი განძაკეცი

მწერალი XIII საუკუნისა (*)

1858 წლის დასასრულს მოსკოვში გამოვიდა სომხურს ენაზედ კირაკოზი განძაკეცისაგან დაწერილი მოსკოლების ისტორია. ჯერ კიდევ ხელნაწერი იყო იგი ისტორია, რომ მეცნიერთა ყურადღება მიიქცია. ავტორი იყო თანამედროვე იმ საქმეებისა, რომელსაც გვიამბობს და, რადგანაც მოსკოლებში ტყვეობაც ყოფილა, იმათს აზბავსა ისე ვრცლად მოგვითხრობს, და ისეთის სისწორითა, რომ ისტორია მისი გამოსადეგია რუსული ისტორიისათვისა მოსკოლების პერიოდში და უფრო ხამეტნავად აზიაში იმათი დაპყრობის ისტორიისათვისა. კირაკოზი განძაკეცი თავის ისტორიას იმ დროდამ იწყობს, რაცა სომხებს მიუღიათ ქრისტიანობა და 1270 წლამდე მოჰყავს. იმისი წერილი ორ ნაწილად განიყოფეს: პირველში მოგვითხრობს იმ საქმეებზედ, რომელიც სხვა სომხური ისტორიკოზებიდამ ამოუკრეფია; მეორეში მარტო იმას გვიამბობს რის დამსწრეც თითონ ყოფილა, ან კიდევ სხვისაგან ისევ დამსწრესაგან გაუგია. ვისგანაც გაუგია, იმათი სახელებიც აქვე მოჰყავს. თუმცა პერიოდი, რომელიც თათრებს ჰპყრიათ, გძელი არ არი (სულ ორ საუკუნეზედ მეტი არ იქნება), მაგრამ იმათი დაპყრობანი ისეთი დიდნი იყვნენ, იმათი უფლება ისე გავრცელებული იყო და

(*) Р. Сл. 1862.

ისეთი გავლენა ექონდათ მთელს აზიაზედ და ევროპის ზოგიერთ საწილებზედაც. რომ ძალიად თუ რომელსამე სხვა ხალხს მაგისთანა მოგლე ხანში მაგოდენა საქმე მოუხდენიათ რამ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ისტორიისათვის მაგოდენი თვალები მიუცია. თუმცა მონგოლების ისტორია წყაროებით მდიდარია, რომელთაც ხმარობდნენ მეცნიერნი—კომეარი, დაჯზონი, კორტმერი, მაგრამ ამ მეცნიერთა ყური არ უოხოვებიათ სომხური ისტორიკოსებისათვის, რომელნიც დიდს მასალას გვაძლევენ აზიის ისტორიისათვის და გეოგრაფიისათვის, საძეტნავად ჩინგის-ხანიდგან ლანგთემურამდე შიგ ჩართვით.

სომხეთში, იბერიაში და ალბანიაში თათრების შემოსვლის ისტორია ივანნე ვანაკანისა ჩვენდა სანანურად დაკარგულია; მაგრამ XI და XII საუკუნეში სომხურმა ლიტერატურამ ახალის ძალით გაიღვიძა და არცა ჭკვებია მაშინ იმისთანა კაცნი, რომელთაც სურვებიათ წარსული დროთა კეთილ სვინიდისიანის აღწერით სახელის შოგნა. ამისთანანი იყვნენ ვანაკანის თანა მედროვენი და მოწაფენი—კირაკოზი, ბერ-მოანაზონი მაღაქია და ვარდანი (*), რომელნიც ხშირად იხსენიებენ თავიანთ მეგობრის დამასწავლებელს (ივანნე ვანაკანის) თხზულებანსა.

კირაკოზი XIII დასაწყისში დაიბადა, იმიტომ რომ 690 წელსა სომხურის ქრონიკონით, ანუ 1212 წ. ქრის. შემდეგ, «ორმოცის წლისა ანუ ცოტა მეტ-ნაკლებისა ვიყავიო»—ითქვენ ამბობს 63 გვერდზედ. ჩანს იგი დაბადებულა ან 1201 ან 1202 წელსა. 1270 წ. იგი თავის წერილსა უეცრად ჩაწყვეტს, ამის გამოუნდა ვიფიქროთ, რომ სიკვდილმა ზედ ამ შრომაზედ მოასწრო, რომლითაც თავის სახსოვრის დაგდება სდომებია. წინა-სიტყვაობაში იგი ამბობს: «ოჯაელსი მწერალსი ჩემზედ უწინარეს მეოთხნი აღებდნენ სიგნად ერთის რასმეს დიდებულს და იმაზედ ჩაწერდნენ: ან რომელიმე მეფის მოქმედებას აგვიწერდნენ, ან რომელიმე გა-

(*) ვარდანმა დაჭაწერა საზოგადო ისტორია, ანუ უკეთ იმ ხალხების ისტორია, რომელთაცა იგი იცნობდა.

მოჩენილი გვარის ისტორიას გვიამბობდნენ, მაგრამ ჩვენ ყოველსავე ამას მოკლებულნი ვართ ჩვენი სამეფო არშაკიდების ტ ბაგრატიდების (*) გვარში ამოწყდა და ალარ სად არიან მეფლობელნი არტანისა (საკუთრად დიდს სომხეთში) . . . . მხოლოდ ჩვენ კი—უმატებს იგი მერე—შრომას ხელს მოვკიდებთ და დავიწყებთ წმ. გრიგორის მემკვიდრეებიდამ პატრიარქის ტახტზედა და მოგლეთ მოვიყვანთ ამბავსა ეხლანდელ დროებამდე, — რომ ნაშრომი ჩვენი იყოს არა მგვლარი, არამედ ცოცხალი სათვალავის ძეგლი—და დარჩეს მასში სახელი გირაგოზისა.» ზოგი ერთის სომხის ისტორიკოსების ჩვეულებისამებრ იგი თავის თხზულების თავში იხსენიებს მთელს სომხის ისტორიკოსებს, რომელზედაც კი გაუგია რამ და რომლებთან შორისაც ზოგიერთის თხზულებამ ჩვენამდე მოაღწია და სხვანი კი ან გადამწერისაგან არიან შეშლილნი, ან კიდევ სრულიად დაკარგულან.

გირაგოზი თავის ისტორიას სომხების გაქრისტიანებიდამ იწყებს—როგორც ზემოთ ვსთქვით და მოკლე სიტყვით უკანასკნელი არშაკიდების (**) დროს აგვიწერს და სპარსეთში სასსანიდის დინასტიის გამეფებასა. მერე ამბობს სომხური ანბანის მოგონებაზედ ვრამშაპუხის მეფობის დროს (312—414), სომხურ ენაზედ დაბადების გადათარგმნაზედა, მეხუთე საუკუნის სომხურ მწერლებზედა, რომელთაც შეუქმნეს «ოქროს დრო» სომხურის ლიტერატურისა. არშაკიდების მეფობის დაცემაზედ ცოტას ამბობს. რელიგიურ უთანხმოებას, რომელიც მაშინ ყოფილა სომხებ და ბერძნებ შორის, იგი მართალია იხსენიებს, მაგრამ ისე ხშირად არა როგორც მისი თანამედროვე მწერალნი.

სომხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ სპარსებმა სომხეთის მა-

(*) ავტორი ჭსცხოვრებდა რუპენიდების მართებლობის დროსა, რომელთაც კილიკიაში სომხეთის მეფეების მეოთხე დინასტია დაეფუძნეს.

(**) არშაკიდების დინასტიის პერიოდი იყო: 150 წ. ქრის. წინად 428 ქრისტეს შემდეგ.

რთველად მარზპანები (*) დაუყენეს, რომელთაც სათითოდ ჩამოგვითვლის თითონ კირაკოზი ბაგრატიდების გამეფებამდე. მერე იგი გვიამბობს მაჭმადის რჯულის დაფუძნებასა და სპარსეთის დაცემასა. ამ წიგნში კირაკოზს მარტო ის ეკუთვნის, რომ რა ბერიოდზედაც წერს, იმის ლიტერატურას, ლიტერატურის წარმომადგენლებს იხსენიებს და იმასაც მოგვითხრობს რა საგანზედაც თვითეულს მათგანს უწერია. სომხეთის ძველი ისტორიოსების რიცხვში ერთიც არ გვეგულება, რომ ლიტერატურაზედ ეთქვას რამე კირაკოზის მეტი, რომელიც ამით უკრო პატივ საცემია. შემდეგ სელჯუკების შემოსევაზედ და ბაგრატიდების სამეფოს დაცემაზედ ლაპარაკობს და ათავებს პირველს წიგნს 1185 წლითა. აქამდინ (ე. ი. მესამე თავამდე) ნაშრომი მისი—რომელიც თვითონ ამბობს — შედგენილია სხვა სომხის მწერალთაგან, მაგრამ ის კი რაზედაც ამას იქით ვილაპარაკებო, ჩემი ნახულია, ან სხვისაგან, რომელსაც თვითონ უნახავს, იმისაგან გამიგია.

რამდენიმე თავის თარგმანს კირაკოზის ისტორიისას ჩვენ წარმოუდგენთ მკითხველსა და ვეცდებით კი რომ თარგმანი ზედ მიწყვნილი და ახლო იყოს დედანთანა. საკუთარს სახელებს ისე ვიხმარებთ, რაგორც თითონ ხმარობს. ეი რაგორ აღწერს იგი ძონგოლების ეკრობაში პირველად გამოჩენას:

თავი XI.

მასზედ თუ რაგორ გამოვიდნენ თათრები და უკუ აქცევს საქართველოს მეფე.

წელსა 669 (1121) მაშინ, რადესაც თაჯიკზედ (მაჰმადიანებთ) გამარჯვებით თავი გაიზვიადეს ქართველებმა და წაართვეს მათ რამდენიმე ოლქა სომხეთისა, უეცრად აუარებელი რიცხვი ჯარისა და-

(*) მარზ—საზღვარი; პან — მცველი; ძალიანა ჰგავს ნემეცურს სიტყვას: Marcgraf (მარგრაფ), რომელიც სიტყვა-სიტყვით ამასვე ნიშნავს.

�ა აგვარიასა (ალბანია) დარუბანდის კარებში გამოიარეს და მიიქ-ცნენ საქართველოზედ და სომხეთზედ. რაც კი რამ შეხვდათ მათ გზაში, ყველას ხოცდნენ—კაცსა, საქონელსა, თითქმის ძაღლებსაც, ისინი არავერს არ ინდობდნენ ცხენების მეტსა. იგინი სწრაფად მივიდნენ ტფილისის ქალაქამდე, ისევ მალე დაბრუნდნენ აგვანიაში, შაგონის (*) ქალაქის სამზღვრებისაკენ.

ყველგან იმათზედ წინ ცრუ ამბავი მიდიოდა, რომ ისინი მაგების და ქრისტიანის რჯულისა არიან და სასწაულსაც მოქმედობენ; რომ ისინი მოვიდნენ თავიგების დასასჯელად, რადგანაც მათ-გან ქრისტიანები შეწუხებულნი იყვნენ. ამბობდნენ კიდევ რომ ი-მათ ურდოში აქვსთო საყდარი და სასწაულ მომქმედი ჯვარი; რომ იმათ სამლთოდ ჯვრისათვის ცხრა კოდი ქერი მიაქვთ ხოლმეო ჯ-ვითომც მთელი ჯარი იმ შეწირულს ქერს აჭმევსო თავის ცხენებს და ცხრა კოდს თავის დღეში არ აკლდებაო. ამასვე ამბობდნენ ხალ-ხის სურსათზედ. ამისთანა ტყუილი ამბებით ავსო ჩვენი ქვეყა-ნა და ხალხი ჩვენი გამაგრებას არა თვიქრობდა. ერთი ღვდელი კი-დეც გამოეგება მთელის თავის ერითა და ხორუგვებითა. ისინი კი მიჭსტვივდნენ და სულ ერთიანად ამოყლიტეს. რაკი ხედავდნენ ამის-თანა უზრუნველს ხალხსა, ისინი ყველგან ჭხოცდნენ საცა კი შეხვდე-ბოდნენ ჯ, რა მოიტაცებდნენ დავლასა, მიჭქონდათ ბორტავის ქა-ლაქის (ბერდა) და ბელუგანის (**) შორის ტყეში და ნაგუბარ ა-ლაგებში მალამდნენ და ამ ალაგებსაც ამაგრებდნენ. აქედგან ისინი დაეცემოდნენ მახლობელს მაზრებსა. მაშინ საქართველოს მეფე და-შამა (***) და მისმა დიდმა სარდალმა ივანემ მოაგროვეს ჯარი და მიესივნენ. რაკი ხუნანის ველში შეკვიდნენ მტერიც იქ დახვდათ. შეიქმნა ბრძოლა. ჯერ პირველად თათრები გაიქცნენ, მაგრამ რად-განაც ჩასათვრებული ჯარიც ჭეოლოდათ, ის ჩასათვრებული უკან მო-ექცნენ ქართველებსა და შემოუტიეს. მაშინ გაქცეული ჯარიც შედ-

(*) უთუოდ შანქორია.

(**) ბელაქანი ხომ არ არის.

(***) გიორგი IV.

გა და შემოეხვივნენ რა ქრისტიანებს, დაჭცეს მათ იმ დღეს საშინელი თავზარი. მეფეცა და მისი დიდებულნიც გაიქცნენ. მტერმა გაცარცვა მკვდრები და წაიღო თავის ურდოში.

საქართველოს მეფემ ხელახლად შეკრიბა ჯარი და მტერზედ წამოვიდა, მაგრამ მტერი თავის ცოლით შვილით და სურსათით თვიქრობდა წასულიყო თავის ქვეყანაში ისევ დარუბანდის გარითა. თავიგის ჯარმა, რომელიც დარუბანდში იყო, შეუკრა გასაკვლი ჯარ მიუშვა. მაშინ იმათ კავკასის მთა გადაარეს უგზო უკვლოდ, ხევებს და ნაპრალებს ამოავსებდნენ ქვითა, ხითა, საქონლითა, ცხენებითა და სამარ ირაღითა, რომ როგორმე გადეარნათ. ამ რიგად თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ. იმათი თავი იყო ვილაცა საბატონო»

თითქმის ჯერ კიდევ ეს ჯარი შინ არ მისულიყო და არ ეამბნათ რაც ნახეს და იპოვეს იმის ამბავი, რომ მეორე ჯარი შემოესივა სომხეთისა და ამ დროდამ სამი ქვეყნის—აგვანისა, საქართველოსი და სომხეთისა ბედი გადაწყვეტილი იყო: მონგოლებმა ამ ქვეყნებში თვეხი მაგრად მოიკიდეს.

აი კირაკოზი ამ მეორე ლაშქრის შემოსვლის ამბავს როგორ გვიამბობს.

ქართველების დამარცხება განძაკის ქალაქის მახლობლად.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამის მერედ, სხვა ურდო (орда). წოდებული ხუჩახად (ყიპჩაკი) გამოკიდნენ გუნნების მხრით და მოახწიეს საქართველომდი. ჭსოთხოვეს ლაშას და მის სარდალს ივანეს ადგილები დასახლებისათვისა, რომლის მაგიერათაც აუოქვეს ერთგული სამსახური; მაგრამ იმათ უარი უოხრეს. მაშინ მიმართეს განძაკის (*) ქალაქის მცხოვრებლებს: ამათ სიხარულით მიიღეს ი სინი, იმიტომ რომ შეწუხებულები იყვნენ ქართველებისაგან, რომელნიც უოხრებდნენ ქვეყანას და იტაცებდნენ ტყვეთ გაცსა ჯ სა-

(*) განჯა.

ქოხელსა. ამათ მიჭსცეს ქალაქის გარეშემოებში ადგილები, აძლევდნენ საჯმელს და სასმელს, რომ იმათაც ეშველათ საქართველოს შეეგეზედა. როცა გუნნების ურდო გამრავლდა იმ მხარეზედა, ივანე თავის ჯარით ამაყად წამოვიდა იმათზედ. ის იკვეხიდა რომ ამოჭსწყვეტს მონგოლებსაც და ქალაქის მცხოვ ებლებსაცა; მაგრამ იგი უეცრო თავის ჯარის რიცხვის იმედით იყო გიდრე ღვთისა, რომელიც ვისაც ნებავს გამარჯვებას იმას აძლევს. როცა საქმემ ბრძოლამდინ მიახწია, ბარბაროზები გამოცვივდნენ თავის მიწურებიდგან და დასტრიალეს ხმალი დაღლუდ და დაქანცულ ქართველების ჯარში. მრავალი ტყვეთ დაიჭირეს, დანარჩენი გაქცეს. დიდი დამარცხება მიეცა საქრისტიანო ჯარსა და ღმერთმაც ისე აიღო ხელი, რომ უბრალო ბარბაროზი წინ მიერეკებოდა, როგორც მწყემსი ცხვარსა, მრავალ ვაჟკაცებს და ომში ნასახელებსა. არ მიჭსცა უფალმა შემწეობა თვისი და არ მიიღო იგინი ბრძოლის დროს. თითრებს გამოჭყვანდათ ის პატიოსანი ხალხი და ჭყიდნენ ტანისამოსის ნაჭრებზედ და საჯმელზედ. სპარსნი იყვნენ მსყიდველნი, რომელნიც საშინელს ტანჯვებს მიაყენებდნენ ხოლმე ნასყიდებსა და დასასხნელად იმოდენა ოქრო და ვერცხლსა ჭსთხოვდნენ, რომ ბევრი მათგანი შეუძლებლობისა გამო ტყვეობაში იხოცებოდნენ. სხვათა შორის იყვნენ: გრიგოლი, ახბაკის შვილი, მაშაცი ვასაკის ძმა, და ამ ვასაკის შვილიც—პაპაკი. ვასაკს ჭყვანდა სამი შვილი: პაპაკი, მკტები და ჭასასანი, რომელსაც მეტი სახელი პრომეი ერქო,—ეს სამივე მეტადამამაცნი და გამოჩენილნი იყვნენ ასე, რომ თავიგები (*) ამათგანა თრთოდენ. პაპაკი ომში მოკლეს; გრიგოლი კი ტყვეთ წამოყვანილი მიჭსცეს საშინელს წამებას, რომ ქრისტის რჯულიდამ გადაეყენათ, მაგრამ იგი არაფრაც თუ შეურყეველი იყო, არამედ ჭკიცხავდა იმათს რჯულის მდებელს მაჭმადსა და მის კანონებსა გაცოფებულებმა ურჯულოებმა შიშკელი მიწაზედ ათრიეს, ხორცი ეკლის ცემითა ჭღლიჯეს. იქამდინ სტანჯეს იგი, რომ იმ

(*) ორაბები.

ტყეში განუტევა მან სული და შიიღო ქრისტესგან წამებული გვირგვინი. მის მეობრები ხაჩენის ძაზრიდამ იყვნენ, გამოჩენილის გვარისანი, რკულით მართმადიდებელნი ქრისტიანენი და შთამომავლობით სომეხნი.

ურჯულო სპარსელებმა სხვა და სხვა ნაირი წვალება არ დაუგლეს სხვა ტანჯვებსაცა. ხან შიმშილით, ხან წყურვილით. ხან სიტიტვლით სტანჯავდნენ. ქრისტიანენი, რომელნიც განძაგში ჭსცხოვრებდნენ, ბევრს ეწევოდნენ უბედურთ თანა-მორწმუნეთა, — ზოგს თვალით ისხნიდნენ და ანთავისუფლებდნენ, ზოგს აკმევდნენ და აცმევდნენ და მიცვალებულთ მიწას აბარებდნენ. ამ რიგად გამოიჩინეს იმათ კეთილ მოქმედება. რამდენიმე დღის შემდეგ დიდი სარდალი ივანე ახალიხ ჯარით წამოვიდა რომ გადაახდევინოს იმათ, ვინც იმისი მეობრები ამოყლიტა. უეცრად დაეცა იგი ბარბაროზებს, ამოხოცა და წაასხა ტყვეთ თავის ქვეყანაში იმათი შვილები და დაეკლაც წაიღო.»

მონგოლები რაკი რომ თავის ქვეყნის სამზღვრებიდამ გამოვიდნენ, არც ერთი ხალხი, რომელიც კი გზაზედ შეხვედრიათ, დაუმორჩილებიათ. პირველი სხვერპლი იმათის დამპყრობელის გუნებისა შეიქმნა ხორაზმიის სულთანი—ჯალალადინი. რაკი რომ სამინლად დამარცხდა, სულთანმა თავი დანება თავის ქვეყანასა და მრავალ რაცხვი ცხენოსანის ჯარითა ეცა მესამზღვრე ქვეყნებსა, რომ ანალი სამეფო დაიჭირონ სადმე. ყველამ იცის იმისი დამღუპველი მოსწილეობა იერუსალიმის სამეფოში.«ზ,ემოხსენებული ჩრდილოთ — აღმოსავლეთის ხალხმა, ოთრებად წოდებულმა ხორასანის სულთანი ჯალალადინი უკანასკნელ გაწირვამდე მიიყვანა,დაუმარცხა ჯარი ლ ა უოხ რა ქვეყანა. რადგანაც იძულებულ იქმნა აგვანიაში გასაქცევად, სულთანი განძაგში მოვიდა, დაიპყრო იგი და ურიცხვი ჯარი შეაგროვა— სპარსთა, თაჯიკთა და ოსმალთაგანა. იგი სომხეთში გადვიდა. ივანემ შეიტყო ეს ამბავი თუ არა, აცნობა საქართველოს მეფეს ლ შეჰვრიბა ძლიერი ჯარი, რომ სულთანს გაუმაგრდეს. ივანე და ლაშა ზვიადობდნენ და ალთქვეს—თუ გამარჯვება ამათ დარჩებათ—მოე-

ლი სომხები, რომელიც უფლების ქვეშ ეყოლებოდათ, ქართველ რჯულზედ მოაქციონ და ვინც არ მოიქცევა—სიკვდილს მიეცეს. ამათ ეს მოიწადინეს უღვთის გასაგებად, იმათ მოეძებნიდეს ხალი საქმესა სული წმინდის შეაუგონებლად, დაიგიწყეს უფალი, რომელიც ვისაც ინებებს, გამარჯვებას იმას აძლევს.

ამის შემდეგ სულთანი კუთაიში (*) შევიდა. ივანე ქართველის ჯარით იმათ ზემოდამ დადგა და, რაკი ისინი დაინახა, ბრძანება მოჰყვა, იმოტომ-რომ იმ ადგილას დაიბინავა. სულთანმა კი თავისი ჯარი იმათ პირდაპირ გაწყო. ეს დაინახეს თუ არა, ქართველის ერთმა დიდებულთაგანმა შალვუამ (?) და მის ძმამ ივანემ—კაცთა მამცთა და სახელოვანთა, რომელნიც ჩვეულ იყვნენ ომში გამარჯვებასა, უთხრეს თავისულებს: «თქვენ აქ ცოტანი მოიცადეთ, ჩვენ წავალთ დავეცეთ იმათა; თუ რამდენიმე იმათგანი გავაქციეთ—გამარჯვება ჩვენი იყოს—, თქვენ მოდით; და თუ ისინი გვძლევენ, მაშინ გაიქეცით და თავი გადარჩინეთ.» რაცა საქმემ ბრძოლამდინ მიახწია, იმათ დაიწყეს სულთნის ჯარის ყლეტა, მაგრამ ქართველებმა ამაზედ ყურადღება არ მიაქციეს, გაიქცნენ ისეთის სიხწრათვით, რომ ერთმანეთს ველარ ცნობულობდნენ. თუმცა ოკან არავინ მისდევდათ, მაგრამ შიშისაგან ძირსა ცვივოდნენ და გროგდებოდნენ გარნის ქალაქის კაკუზედა. ეს დაინახეს თუ არა, სულთნის ჯარი მდევრად გამოუდგა — ბევრი დახოცეს, დასარჩენი კოდიდამ ჩამოყარეს. სულთანმა ამის ნახვამ, რომ კაცი და ცხენი ხევში ირევა, როგორც ბუზი, გაიქნია თავი და თქვა: «ეს კაცის საქმე კი არ არი, ყოლად შეუძლებელი ღვთისაა.» მაშინ იგი დაბრუნდა, რომ დაცარცვოს დამარცხებულნი და აოხრა რა რამდენიმე მაზრა, ტფილისს მოადგა. სპარსელებმა, რომელიც ტფილისში იყვნენ, მიჰბეს სულთანს ქალაქი. მრავალი დახოცა ქალაქში და უფრო მრავალს ძალას აცანდა ქრისტიანობიდამ გადამდგარიყვნენ და მიელოთ მაცდური და ცრუ რჯული თავგიგებისა. მაშინ,

(*) არარატის მაზრის აღმოსავლეთზედ.

სიკვდილის შიშისაგან, მრავალმა ჯეშმარიტება სიცრუეზედ შეკსცვალა, სხვებმა კი ირჩიეს მამაცური სიკვდილი, სვინიდისით ტანჯულს სიცოცხლეზედა, მაიღეს წამების გვირგვინი და დიდებით ტ კეთილის სახელით დაუტოვეს ქვეყანა. ამის შემდეგ სულთანმა ბძანება გაკსცა, რომ ენდათ თუ არ ენდათ მაჭმადიანობა, ყველა განურჩევლად წარჭსცვითო. ამ სახით ორი კაცი ერთს დაუჭერდნენ ხელებსა, მიათრევდნენ მოედანზედ, ს

ყავლენ, ს

უგდებდნენ არა ფერსა, აფუჭებდნენ მინდვრის მოსავალსა თავის ნახირით და აქლემებით.

ამ ეპოქაში საქართველოს სამეფო დაუძლურდა. მასსა მართავდა მაშინ რუსუდანი, თამარის ქალი, ლაშას და, შვილის შვილი გიორგი III.-სა, ქალი ტრფიალი და გარეული, როგორც შამირამი (*). ამ ქალმა �ორი ეოხრა ყველას, ვინც კი თხოულობდა ლ მრავალთან კი კავშირი ჭქონდა. ქვრივობაში იგი ივასეს, მის შვილის ავაქის, ზაქარიას შვილის შაჰანშაჰის, ვაჭრამის და სხვათა შემწეობითა მართავდა თავის სახელმწიფოსა—ივანე მოკვდა უდროულად და დაიმარხა სპილენძის სამადნოს (ბლინძაჭანქ) მონასტერში, რომელიც სომხებისაგან იყო წართმეული და ახლად აღშენებული ქართველებისათვის. შვილმა მისმა მისი თანამდებობა მიიღო. რადგანაც საქართველოს ვერ შეეძლო მომავალს განსაცდელს გამაგრებოდა; ამის გამო ყოველი მარტო თავის გადარჩენას ფიქრობდა და ეძებდა თავისათვის უშიშარს სადგომსა გამაგრებულ ადგილებში. თათრები, რომელნიც გაფანტულნი იყვნენ ველებზედ, მთებზედ, მინდვრებზედ, ურიცხვობითა ჭეანდნენ კალიასა, ან წვიმის წვეთსა, რომელიც მიდვრებზედ ცვივა. იქ ისეთს აუწერელი მწუხარების და უბედურობის სანახავსა სახავდა კაცი, რომ კაცს თვალში ცრემლს მოჭვრიდა! მიწაც არა ჭეანრავდა იმათ, ვინც კი თავის შესაფარებელს ადგილს მიწაში ეძებდა; კლდე და ტყე არ იფარავდა იმათ, ვინც კლდეში და ტყეში ეძებდა თავის დახსნასა; თვით უმაგრესი ციხის კედლები, ღრმა ხეობეები არათერს არა შველოდნენ. ვერავინ ვერ გადურჩებოდა თათრების ხელსა. ვინც ყველაზედ უშიშარნი იყვნენ, ისინიც შეშინდნენ, უკეთეს შეილდოსნებს ხელები ულონოებისაგან წაერთოთ. ყველა ვისაც კი ხმალი ჭქონდა, შაშით ჭმალავდა, რომ ავრალი არ შეემხნიათ და უწყალო სიკვდილისათვის არ მიეცათ. მტრის კიჟინაზედ სიმხნე ეკარგებოდათ და იმათი კავშნის ხმაზედ ფითრდებოდნენ. ყველა ფიქრობდა, რომ

(*) სემირამიდა.

მოვიდა უკანასკნელი დღე და იმათმა გულმა ცემა შეწყვიტა. შეშინებულნი შვილნი თავის მშობლის კალთას ეფარებოდნენ და მშობელნი კიდევ შვილებით ერთად ცვივოდნენ ღრეში, რომ მტრის ხელში არ ჩავარდნილიყვნენ. უნდა გენახათ, როგორც უწყალო მახვილი ჭხოცდა მამა-კაცთა, დედა-კაცთა, უმაწვილს კაცებსა, ბავშვებსა, მოხუცებულებსა, ეპისკოპოზებსა, ღვდლებსა, დიაკვნებსა და სასულიერო მსახურთა. ძუძუთა ბავშვებს ქვაზედ ანარცხებდნენ და ლამაზ გასათხოვარ ქალებს აძალადებდნენ და ტყვეთ იტაცებდნენ. თათრებს გარეგანი სახე საზარელი ჭქონდათ და შინაგანი კი დაუნდობელი. იმათ დედის ცრემლი გრძნობას არ უღვიძებდა და მოხუცის თეთრი თმა ბატიკის ცემას. ისინი სიხარულით სოფრად მიდიოდნენ, როგორც ქორწილში, ან ლხინში. ყველგან ეყარა მკვდრები და არავისა ჭმარხავდა. მეგობარს ალარა ჭქონდა ცრემლი იმისთვის, ვინც იმას ძეირად ეღირდა: ველარ დაჭსტირებდა ავაზაკების შიშით. ეკლესიამ შავები ჩაიცვა; სიტურფე და ბრწყინვალება მისი გაქრა; ცერემონიები შეჭსწყდნენ, წმინდა ზიარება ტრაპეზიდამ ხალხს ალარ ეზრიგებოდა, მკალობლების ხმა ალარ ისმოდა; დადუმდნენ სამგალობელთა ხმანი. იგი ქვეყანა დათვრეულ იყო თითქო ნისლითა. ხალხი დღეზედ ღამეს ეფარა ირჩევდა, და დედა-ძიწა დარჩა უმცხოურებლოდ. მასზედ დადიოდნენ უცხონი და აგრეოვებდნენ მთელის ქვეყნის სამგეფოებსა და განძსა. თათრების მძიერ მსუსაგობას გაძლობა არ ეკიდებოდა. ყოველი სახლი და ოთახი გაჩხრიკეს და არა დაემალთ რა. ყველგან დახტოდნენ იგინი, როგორც გარეული თხა და ჭეღლავდნენ ყველაფერს ნაჭერ ნაჭერ, როგორც მგლები. იმათი ცხენები სიარულში დაუღალავნი იყვნენ, თითონ კიდევ ცარცვაშია. ამისთანა მწარე მხვედრი ბევრს ხალხს მიუტანეს, იმიტომ—რომ უფალმა დააქცია ჩვენზედ თავისი რისხვის თვალა ჩვენის ცოდვების სამაგიეროდ და მისთვისაც რომ ჩვენ განვალვიძეთ სამართლიანი რისხვა მისი.

აი რის გამო ესე ადვილად შემოვიდნენ თათრები ჩვენს ქვეყანაში. მოიმწყვდიეს რა ხახირები, შეაგროვეს რა განძი და ტყვე-

ები ერთ ადგილას, ისინი მიჰყვნენ ცეხე ქალაქების ალებას. თავის მცბიერობის და მოსწრობის მოწყალებით იმათ შალე დაიპყრეს და დასაგრიეს მრავალი სიმაგრეები და ციხენი. მაშინ ზაფხული ი-ყო და რადგანაც გოლვა საშისელი იყო და არც მოემზადებინათ სურსათი იმათი დაცემის უწინარეს — ამისათვის კაცი თუ ბირუტყვი, წყურვილით გულმილეულნი და დაქანცულნი ჯავეთით, ნებით თუ უ-ნებლიოდ იმათ ხელში ცვივოდნენ. ზოგსა ხოცავდნენ, ზოგს ინა-ხავდნენ სამსახურისათვის. ამ რიგადვე ექცევოდნენ დიდრონ ქალა-ქებსაცა, რომელთაც მძიმე იერიშის შემდეგ დაიპყრობდნენ ხოლმე.»

შემდეგ ავტორი დაპარაკობს თათრების თვალადობაზედ და ი-მათ ჩვეულებაზედ. ჩვენა ვჰსთქვით, რომ თითონ იმათში დიდ ხანს იყო ტყვეთ, მაშასადამე თავის თვალით ნახავდა ყველათვერს, რა-საც კი ჰსწერს. ამის გარდა სოფლები იმ დროს ისე დაახლოებულ-ნი იყვნენ მონგოლებთანა, რომ იმისთანა კაცი არ მოაგლდებოდა, რომელსაც შეეძლო ევნობებინა ავტორისათვის საჭირო ამბავი. თვითონ ავტორი არა ერთსელ იხსენიებს იმ კაცების სახელებს, რო-მელთაგანაც გაუგონია ეს თუ ის ამბავი. ეგ ამბები მით უფრო დასაჯერებელნი გვგონია, რომ მთხრობელნი მისნი ყოფილან კაც-ნი, რომელნიც ეკუთვნოდნენ სომხის მალალსა და განათლებულს სა-ზოგადოებას.

კირაკოზისაგან გადმოცემული ცნობა შეიდეგს თავში ისე დაწ-ერილებით, ისე კეთილ სვინიდისიანად არის შედგენილი, რომ ძნე-ლად თუ ახალ მეცნიერთა კრცელს გამოანაკლეებში თათრების ში-ნაურ ცხოვრებაზედ შეიძლებოდეს იპოვოს უფრო მართალი თვალ-ტები.

გამოსახვა თათრთა.

რადგანაც გვინდა შთამომავლობას ჩვენი თავის სახსოვარი და-ვუგდოთ, ჩვენ რომელთაცა იმედი გვაქვს, რომ მალე განვთავისუფ-ლდეთ ჩვენ დამჩაგვრელ შემწუხებელთაგან—ჩვენ მოკლე სიტყვით ცნობის მოუვარეთათვის ალვწერთ იმათს (თათრების) თვალადობას,

და ენასა. სახე მათი იყო საშიშარი და საძაგელი; წვერი იმათ არ ჰქონდათ, მხოლოდ ზოგიერთს ტუჩისა და ნიკაპის ზემოდ იმდენი თმა ჰქონდათ, რომ ადვილად შეიძლებოდა დათვლა (*) თვალები ვიწრო და მსწრაფელ მხედველნი, ხმა წკრიალი და მკაფიო ჰქონდათ; ისინი ბევრსა ჭამდნენ და ჯმუხასა და მაგარის აგებულებისა იყვნენ. როცა ხელში მოხვდებოდათ საჭმელი—გაუმაძღარის ხარბობით ჭამდნენ და სვამდნენ, როცა საჭმელი არა ჰქონდათ—ადვილად იტანდნენ შიმშილსა. ყოველს ცხოველსა გაურჩეველად ჭამდნენ—წმინდასა თუ უწმინდურსა, მაგრამ ყველას ამჯობინებდნენ ცხენის ხორცსა, რომელსაც ჯერ გაჭრილეჯდნენ ნაჭერ ნაჭერ, მერე უმარილოდ ხარშავდნენ, ამოაყლებდნენ ლუკმას მარილიან წყალში ან ისე ჭამდნენ, ზოგი დაჩოქილნი რიგიანად აქლეში, ზოგი დამ;დარი (**). ჭამის დროს თანასწორი ულუფა ბატონსა და მოსამახურეს შეხვდებოდა ხოლმე. როცა ისინი ყუმისის, ანუ ღვინის სმას დაიწყობდნენ, ერთი იმათგანი ჯერ ხელში აიღებდა დიდს თეასტს და ამოიღებდა იქიდამ პატარა თასით ღვინოს და ცისკენ ასხურებდა, მერე დასავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ და სამხრეთისკენ; ამის შემდეგ თვითონ მასხურებელი რამდენსამე მოსვავდა ან მერმე უფროსს უთავაზებდა. ყოველი კინც კი მოიტანდა ან საჭმელს, ანასმელსჯერ თითონ უნდა ყველასთან ეგემნა და მის შემდეგ ყველა სჭამდა და სვამდა. ესე იქცევოდნენ ისინი, რომ საწამლავი არ შემოეპარებისათ. იმათა ჭეკანდათ იმდენი ცოლები, რამდენიც უნდოდათ და უნამუსო ქალებს კი ხოცდნენ. თვითონ კი როცა უცხო ქვეყნის ხალხს შეხვდებოდნენ იმათს ცოლებს განურჩეველად დაუახლოვდებოდნენ ხოლმე. ქურდობა ისე ჭირდათ, რომ საშინელის სიკვდილით დამსაშველსა ჭირდნენ იმათ არა ჰქონდათ ღვთის თაყვანის ცემა, ანუ საძღთო საძსახური, მაგრამ სახელსა ღვთისასა ხში-

(*) საოცარი მგზავება აქვს იორნანდის გუნნების აღწერასთან

(**) IX საუკუნეში მოსე კალანკატუაცი, რომელმაც ალბანიის ისტორია დაგვიტოვა, თითქმის ამავე სიტყვით ამბობს ხაზარებზედ ან იმათ ცხოვრებაზედა.

ნად და ყოველს შემთხვევაში იხსენიებდნენ, მარად მყოფელს ღმერთს იხსენიებდნენ, თუ სხვა რომელსამე ღმერთსა—ჩვენ არ ვიცით და თითონ იმათაც არ იცოდნენ.

ისინი ყოველთვის ამბობდნენ, რომ იმათი მეფე ღვთის ნათესავია; რომ ღმერთმა თავის წილად ზეცა იაღოვო და დედა მიწა კი ხაყანს მიჭსცაო. ისინი ამბობდნენ, რომ ჩინგის ხანი, ხაყანის ე. ი. ოგეტაის მამა, კაცის თესლისაგან არ იყო გაჩენილიო, არამედ ნათელი უხილავის ადგილიდამ ბანიდამ იმის დედის სახლში ჩავიდაო და უთხრაო: «ინაყოფე, და დაჭბადავ შვილსა, რომელიც მთელი ქვეყნის პყრობელი იქნებაო.» იმათის თქმით, ეს დაბადებულა ჩინგისხანი. ეს ამბავი გვიამბო ჩვენ თავადმა გრიგოლმა, მარზპანის შვილმა, ასლანბეგ, სარგისის და ამირის ძმამ მამიგონიანთ გვარისამ; იმას კიდევ გაეგონა ეს ამბავი ერთის თათრისაგან, რომელიც ბირგულ დიდებულებ შორის ირიცხებოდა და რომელსაც ერქვა ყუოიკნუინ. მაშინ გაეგონა, როცა ყუთუნუინი ემაწვილ კაცებს ჭსწვრთიდა. როცა ვინმე მოგვდებოდა, ან როცა თითონ მოჭკლამდნენ ვისმეს თავისთავანს, ისინი დიდხანს თავისთან აცარებდნენ მგვდარსა, იმიტომ რომ ეგონათ ვითომც ეშმაკიჩაე პარია მგვდარსა ტანში და რაღაებსაცა ბოდაკსო (*); ზოგს კი ჭსწვადნენ, ზოგს ღრმა ორმოებში მარხავდნენ და თან ჩააყოლებდნენ იარაღს, ტანისამოსს, ოქროს და ვერცხლს, რომელიც მას ეკუთვნოდა. თუ მოგვდებოდა ვინმე დიდებული, მასთან ერთად მარხავდნენ მოსამსახურებს, მხეგლებლს, რომ, როგორც ამბობდნენ — იქაც ემსახურონ; ცხენებსაც ჩაუწყვენდნენ, იმიტომ რომ ეგონათ საიქიოსაც ძლიერი ომები არისო. როცა იხსენიებდნენ მგვდარსა, ისინი ცხენს მუცელს გაუბობდნენ და იქიდამ გამოჭვლეკდნენ ხოლმე ხორცს სულერთიანად ასე, რომ ძვლებს არ შეეხებოდნენ; ამის შემდეგ ძვლებსა და შინაგანს სულ დასწვავდნენ და ტყავს კი გაჭკერავდნენ ისე, რომ ცხენი ხორცში გეგონებოდათ. მერე გაამწვეტებდნენ სარსა, მუცლი-

(*) უთუოდ მკითხაობა ჭსცოდნია.

და ბირში ამოუტარებდნენ, ასწევდნენ და ან ხეზედ შესდებდნენ ან სადმე მაღლს ადგილას.

იმათი ცოლები გრძნეულები იყვნენ და ყველაფერზედ მკითხავობდნენ, მკითხავების და გრძნეულების დაუკითხავად ისინი ვერას გზით არსად არ წავიდოდნენ. ესა იმათი ბარბაროზული იყო და ჩვენთვის გაუგებარი, აი იმათი რამდენიმე სიტყვა:

დმერთი—თანგრი.

კაცი—ჭარეარიან ზოგს წერილში: ჭე რენ, ენრ.

დედა-კაცი—ითკი.

მამა—ეზგა.

დედა—აქა.

ძმა—ალა.

და—აქაკი.

თავი—თიგრონ.

თვალი—ნიტუნ.

ყური—ჩიკინ.

წვერი – სახალ.

ბირი-სახე—იაზნიურ; ზოგს წერილში: ილზ.

ბირი—ამან.

კბილი—სხურ.

ბური—ოთმაკ.

ხარი—აქარ

თური—უნენ.

ცხვარი—ეოინა.

ბატკანი—ეურლან.

თხა—იმან.

ცხენი—მორი.

ჯორი—ლოსა.

აქლემი—თამან.

ძალი—ნაკხა შეი ნუხა.

მელა—ჭუნქან ანუ ჭოქან.

მგელი—ზინა.

დათვი—აიტქუ.
ჭურდღელი—თაშლან.
თერინველი—თახია.
ტრედი—კოკაჩა.
წყალი—უსუნ.
ლვინო — ტარასუ.
ზღვა — დანგიზ.
შდინარე — ულანსუ.
ხმალი—ხოლდუ.
შვილდი—ნმუ.
ისარი—სრმუ
მეფე—მელიქ.
თავადი —ნუინ.
დიდი თავადი—სკანუინ.
დედა-მიწა—ელ.
ცა — გოგა.
მზე — ნარან.
მთვარე—სარა.
კარსკვლავი—სალარა.
ნათელი—ტდურ.
ლამე—სოინი.
მწერალი —ბითიქჩი.

სატანა—ბარაჭურე; და სხვა მრავალი ეგრეთვე ბარბაროზული სიტყვები ჭქონდათ, რომელნიც დიდხანს ჩვენ არ გვესმოდა და რომელნიცა ეხლა ჩვენის სურვილის წინააღმდეგ გვესმის.

იმათს უფროსებში ყველაზედ დიდი იყო: ჩარმა-ყან-ნუინი, რომელიცა სამართლსა ჭსჯრიდა, და მისნი ამხანაგნი: იხარარ-ნუინ, ყუთუნ ნუინ და თუთუნ-ნუინ. ჯარების წინამძღვარი ჯაგათი იყო, რომელიც მელახითებმა მოკლეს. იმათი მრავალი სხვა უფროსები ჭყვანდათ და აურიცხველი ჯარი.»

ბ. ჯ.

კონრად კიფერი

ანუ

დარიგება ყმაწვილების კარგად აღზდისათვის.

(გაგრძელება)

XXV.

კონრად სასაცილოთ კითხვას სწავლობს.

ერთის წლის შემდეგ, ვასტორმა დაუწყო ყმაწვილებს მზადება კითხვისათვის. ეს მზადება ძალიან სასაცილო იყო. კითხვის დროს, ყმაწვილებს არც წიგნებს აძლევდნენ ხელში და არც ასოებს უჩვენებდნენ. ვასტორი აი ასე იქცეოდა: უჩვენებდა ყმაწვილებს სხვა და სხვა ნიშნებს და წაუკითხავდა მაღლის ხმით, ჩათვლით იმ ნიშნების სახელებს; მაგალ: ეს კარია, ეს სკამია, ეს სტოლია, ეს დანა. ორი კვირის შემდეგ, ვასტორმა გამაიყვანა ერთი შაგირდი სხვა და სხვა რასმეს ჭკითხავდა; ამ კითხვებზედ ყმაწვილს ჩათვლით უნდა მიეცა ვასუხი. ეს რა არის? ცხვირია, ესა? ვირი.

ცოტა ხნის შემდეგ, ყმაწვილებს კარგად შაეძლოთ ჩათვლით კითხვა, თუმცა ასოები კი არ იცოდნენ. ამისთანა სწავლამ გამაოცა და ამის გამო მიგვედი ვასტორთან ყურისსაგდებლათ. ეგრრ კარგი არ იქმნებოდა, რომ ჯერ ასოები გესწავლებინათ და მერე კითხვაც დაგეწყებიხებინათ, უთხარ მე.

ვასტორმა გაიღიმილა და მითხრა: როდესაც მე დავაბერებ ხოლმე ამის ასხნას, თუ რომელი მეტოდა (რიგი სწავლისა) სჯობია ძველი თუ ახალი, ჯერ ვირგელათ იმას უყურებ, თუ რომელს უეგრრ მეტი წარმატება მოაქვს.

ეი მაგ. ლაპარაკი რომ მოუვიდეთ კისმეს, რომ ბუერი დაუფარცხავ მიწაზედ უფრო კარგი ამოვა, მინამ დაფარცხულზედა. მე როდი გაკვერეკი ლაპარაკში. დავიცდი დათესის დროამდინ, მერე ავიღებ ერთს მიწას დავფარცხავ, მეორეს ვრა. ორიგეში ერთ ნაირს ხორბალს დავთესავ. როდესაც ყანა გაიზდება და თავ თავს გაიგეთებს—მაშინ მივალ და ვრახავ, რომელ ღონის ძიებას უფრო კარგი ყანა მოჭყავს. და რომელი ღონის-ძიებაც უფრო მომეტებულ ყანას მოიყვანს და კარგს თავოავს გაიგეთებს, იმას ვიხმარებ. აქამდინ უმაწვილებს ჯერ ასოებს ასწავლიდნენ და მერე ჩათვლიო კითხვას: მე უკულმა ვჩადიგარ, მაგრამ, ვბა სწორეთ მითხარ, რომლებმა უფრო ჩქარა ისწავლეს კითხვა: ჩვენმა უმაწვილებმა, თუ იმათ, რომელთაც ძველებურ მეტოდით ასწავლიან.

—რასაკვირველია ჩვენებმა უფრო მალე ისწავლეს, მინამ სხვებმა, მიუგე მე. მაგრამ ჯერ აქათ რომ ანბანი არ იციან.

— ხვალ დაიწყობენ ანბანის სწავლას, განაგრძელა პასტორმა.

თავი დაწყობილი იყო; მაგრამ კიდევ გაკვირვებული ვიყავ: ჯერ წიგნები არა ჭქონდათ. წიგნების მაგიერ, პასტორმა მოიტანა დიდი დაბეჭდილი ასოები. კონრად! ეს რა არის? ჭკითხა პასტორმა. ცხვირია, მიუგო იმან. ყური მიგდეთ, უმაწვილებო! აქამდინ თქვენ ასოებს ჭხმარობდით, მაგრამ თვალით კი ჯერ არ გინახავთ. ეხლა კი უნდა იმ-თითანაც გაგაცნობოთ. ეუურეთ ეს ც, ეს ხ, ეს ვ, ეს ი, ეს რ, ეს ი, ეი სულ ერთ მხარეზედ დგანან, როგორც სალდათები. აბა გამოჭსთქვით ეს ასოები: ც, ხ, ვ, ი, რ, ი, ცხვირი, ლაიძახეს უმაწვილებმა.

ამ გვარათ სხვა სიტყვებსაც გამოათქმევინებდა ხოლმე. მერე აიღებდა თითო თითო ასოს, ასწევდა მალლა, უჩვენებდა უმაწვილებს და ამბობდა: ეს ა, ეს ბ, ეს ლ, და სხვა. ესეც ერთი ოინი (штука). მერე ჩაიდო ხელი ჯიბეში რაღაცის ამოსაღებად, უმაწვილებმა ისეთი გულის ყური ათხოვეს ამას, რომ მაშინვე შამოეხვიენ გარშემო, დაიხარეს ჯიბისაკენ და რადგანაც პასტორმა ამოღება

აგვიანა, მისცვივდნენ და ძალათ ამოართვეს. სურათები ი-

�o. ყმაწვილებმა გაიცინეს და დაიწყეს ხტუნვა ოთახში. ბასტრიც იცინოდა.

სხვა უამისოს ეწყინებოდა, ითვიქრებდა, რომ ამისთანა ყმაწვილების ქცევა უპატივცემულებაო; გარეკვნილობაში და გაუზდელობაში ჩამაართმევდა და მგონია სიტყვასაც გარგათ უთავაზებდა, თუ ნამეტნავათ ძველი შკოლის ბედაგოგიც იყო. ჩვენი ბასტორი კი, როგორცა ვთქვით, უფრო იმათზედ მოამატებულად იცინოდა. რამდენიმე წამი რომ გავიდა ამ სიცილში, ბასტორმა ჰკითხა ყმაწვილებს: გინდათ რომ ეს სურათები თქვენი იყოს?

ყმაწ. გვინდა, გვინდა!

ბას. ძალათ რომ წამართვათ ეს სურათები უფრო სამიამოგნო იქმნება თქვენთვის, თუ ჩემის ნებაყოფლობით რომ შეიძინოთ?

ყმაწ. თქვენის ნებაყოფლობით.

ბას. გაჩუქოთ, თუ ჯერ კიდე ვითამაშოთ რამე?

ყმაწ, ვითამაშოთ, ვითამაშოთ!

—აბა, მაშ დაჯსხედით, მე გასწავლით თამაშობას ესი, აქ ყველა ასოებია! ყოველმა თქვენგანმა ის ასო უნდა იპოვოს, რომელსაც მე დაუნიშნავ და მერე ვისაც უფრო ბევრი ასოები ექმნება სურათსაც ის მიიღებს.

დაიწყო თამაშობა. ვორრად! ბ—იპოვე; ფედა—ბ. ვორრად—ბ, ფედა—ლ! და სხვა. ასოები სულ აიკრიფა და მოამატებული უფრო ფედასა ჰქონდა—ამისაგამო სურათიც იმან მიიღო. თამაშობა რამდენჯერმე განმეორდა. და შემდეგ ბასტორმა ჰკითხა: ნუ გაგვითავებთ თამაშობასაო? ნუ, ნუ, დაიძახეს ყმაწვილებმა, კიდევ ვითამაშოთ!

ნახა მაგისთანა სურვილი გქონიათ — ვითამაშოთ, მაგრამ ეხლა უფრო სასაცილო თამაშობას გასწავლით, უთხრა ბასტორმა. კიდე დაშინჯეთ ასოები; მე თითო თითო ასოს ჩაგნიშნავ ჩუმათ, ვინც ჩანიშნულს ასოს გამოიცნობს, ხელში უნდა აიღოს და მერე ვისაც უფრო მეტი ასო ექმნება ხელში ის აიღებს სურათს. აბა, ფედა გამოიცან, მერე შენ, ვორრად.

ფ. ე?

ბ. ანა.

ფ. ნ?

ბ. ანა ნ ან ანია.

ფ. ი?

ბ. ი არც კი გამიფიქრია.

კ. მაშ ო იქმნება.

ბ. ეგ მართალია, აიღე ო!

გამოცანა გრძელდებოდა იქამდინ, სანამ ასოები სულ აიკრიფებოდნენ. ორი დღის შემდეგ, უმაწვილებმა მშვენიერათ იცოდნენ ანბანი. ამ ნაირად ბასტორმა ასწავლა უმაწვილებს სხვა და სხვა ენების ანბანა, რადგანაც უმაწვილებმა ასოები კარგად იცოდნენ—ჩათვლასაც კარგად ახერხებდნენ ხოლმე და ვინც ჩათვლა იცის კითხვა ადარ გაუძნელდება და ამისაგამო ბასტორის მოწაფეებმა მალე ისწავლეს კითხვა.

როდესაც უმაწვილებმა მარჯვედ კითხვა ისწავლეს, ბასტორმა თავისთან დამიბარა და ჩემთან, რამდენსამე მოწაფეს წააკითხა. უმაწვილებმა კითხვა რომ გაათავეს, მამიბრუნდა და მითხრა:

აბა, უფ. კოფერ, რომელი მეტოდა უფრო სჯობია, კითხვის სწავლებაში,—ჩემი, თუ ძველებური? თქვენი, მიუგე მე.

ამ ლაპარაკში, ბასტორს ეწვია ერთი თავისი მეგობარი, ბასტორი მეზობელ სოფლისა და იმას თან მოჰყვა თავისი შვილი, ჩვენი უმაწვილების ტოლი.

როგორ ეძცეკით თქვენს მოწაფეებს? ჰკითხა სტუმარმა ბასტორს. ჩათვლით კითხვას არ ასწავლით? როგორ არა გასწავლი.

მიკვირს თქვენმა მზემ. თქვენ მაგისთანა განათლებული კაცი, როგორ მისდევთ იმ მეტოდას, რომლისაც ყველა ახალი ბედაგოგები წინააღმდეგი არიან? უთხრა სტუმარმა.

ბასტ. უმაწვილების სწავლაში მე არც ძველებს ჯ არც ახალ ბედაგოგებს არ უგდებ ყურს; ისე ვეძცეკი, როგორათაც ჩემის თვიქრით კარგია.

სტუმ. აბა, როგორ უნდა გსთქვათ, რომ ჩათვლის მეტოდა

სასარგებლო იყოს. წარმოიდგინეთ, რა სასაცილოა, რომელსაც ყმაწვილი ამ რიგათ კითხულობს ვ—ა—ვ რ—დ—ი—რდი—ვარდი წ—ყ—ა—წყა—ლ—ი—ლი—წყალი. უფრო უმჯობესი არ იქმნება, რომ პირველათვე ყმაწვილს მთელი მარცვლის გამოთქმა ასწავლოს.

პასტ. მე სწორე მოგახსენოთ, სამეცნიერო ლაპარაკში გარეგა არ მიყვარს. თქვენი შვილი ჩაუთვლელათ ისწავლიდა კითხვას.

სტუმ. რასა გვირჩევლია.

ყმაწვილი, რომელსაც ჩათვლით არ ესწავლა კითხვა, სამაგლათ კითხულობდა.

დაუძახეს ფედას. იმას ისევე უნდა წაეკითხა, მაგრამ იმისი კითხვა იყო კარგი და ჩქარიც.

პასტორმა დაითხოვა ფედა და მერე მიუბრუნდა სტუმარს ჰკითხა, რომელი უფრო კარგად კითხულობდა? ფედამ აჯობა, უპასუხა სტუმარმა.

მეც მაგრე მგონია, უთხრა პასტორმა. მე ბევრს ვიცნობდი, რომელთაც პირდაპირ დაეწყოთ სწავლა—უჩათვლოთ, მაგრამ ისინი ყოველთვის ცუდათა კითხულობდნენ და სამაგლათა სწერდნენ. ისინი კი, რომელნიცა ჯერ ჩათვლით კითხულობდნენ და მერე უიმისოთ, ყოველთვის კარგათა კითხულობდნენ და კარგათა სწერდნენ. ეი ამისაგამო ვერ დავახებე თავი ჩათვლის მეტოდას.

XXVI.

კატიხიზის მაგიერ, კონრადი ქათმის წიწკნასა სწავლობს.

ამბავი, რომ ჩემმა კონრადმა კითხვა ისწავლა, მთელს სოფელში იყო მოფენილი. რა შაიტყო მამიდა ჩემმა ეს, მაშინვე მოუტანა ლამაზი ყდიანი კატიხიზისი და დაარიგა, რომ კარგად ესწავლა. კონრადს ძალიან გაუხარდა, გასხნა წიგნი და წაიკითხა მაღლის ხმით. რას გვიშლის მეშვიდე მცნება? მრუშობას.

შამა! დაიძახა ჯონრადმა. მრუშობა რა არის?
არ გიცი, უთხარ მე, მამიდასა ჰკითხე.
მამიდავ, მრუშობა რა არის, არ იცით?
შენ ჯერ იმოდენა არა ხარ, რომ ეგეფლა იცოდე.
ჯონრადი გაიქცა დედასთან და ჩაეცინა, თუ ამისხენ რა არის მრუშობა; დედამ გამოაგდო. ემაწვილი გაჯავრდა და დაიწყო ეკითხილი: რათ მინდა იმისთანა წიგნი, თუ მე ვერათეერს გავიგებ? ანუ ან არ მისხნის მრუშობა რა უნდა იყოს.

აქ მე ვიგრძნე, რომ კატიხიზისი ჯერ სრულებით საჭირო არ იყო იმისათვის. რა უნდა მექმნა? როგორმე უნდა გამამეორთმეცინა ის წიგნი.

ჩემს ცოლს სადილათ ქათმებს დავპირდი. ამითი მე ვისარგებლე და წავეხეერხეულე ჯონრადს: წამოდი ქათმები დავიჭირეთ. წავიდეთ, წავიდეთ, დაიძახა სიხარულით ჯონრადმა, დაავდო წიგნი სტოლზედ, წამავლო ხელი და საქათმოში წამიყვანა. კარებში ჩემს ცოლს წავეხეერხეულე, რომ წიგნი დაემალა.

შავედით საქათმოში. როგორ გაუხარდა ჯონრადს, რომ დაინახა ქათამი, რომელიც თავის წიწილებს საკენკს უქექავდა. დავიჭირე ორი კარია, მიკეცი და მიუბრუნდი ბძანებით კი არა—კითხვით: ჯონრად! დედას არ წაუღებ ამ ქათმებს? წაუღებ, წაუღებ! მითხრა იმან და გააქციეა კარიები. მინამ ის მიკა და მოკა მე ერთს შენიშვნას მოგახსენებთ: მე შავნიშნე, რომ კაცი თუნდა ემაწვილი იყოს, თუნდ ბებერი, თავის ნებას უფრო სიამოვნით ასრულებს, მინამ სხვის ნებას და ის უფრო კარგად წაიყვანს საქმეს, რომელიც მიუბრუნდება სხვას ბძანებით კი არა, ისე, რომ ჩაეგონოს იმას რომ ეგულოფერი, რასაც კი იმისაგან თხოულობენ იმის ნებაყოფლობით კეთდება.

ჯონრადის ალზდაში—მე მალე კიბოვე ამაზედ დასარწმუნებელი შემთხვევა. როდესაც მე უბძანებდი რასმეს, დიახ, ასრულებდა ხოლმე, მაგრამ ის სიამოვნებით ალსრულება კიდევ სხვა იყო, როდესაც ჩემს ბძანებას—კითხვის ფორმას მიკეთებდი ხოლმე: ამისა ტ

ამის გაკეთება ხომ არ გინდა? ის ყოველთვის მიპასუხებდა: სიამოვნით, მამავ!

კონრადი ისევ ჩქარა მობრუნდა და მკითხა: ნუთა წაუღებ ქათმებს დედას? დიახ, წაუღე უთხარ მე, მიკეცი ორი ქათამი, მეც იმთვენი ავიყვანე და ერთათ წავედით.

ჩემმა ცოლმა წაიყვანა ქათმები სამზარეულოში დასაკლავათ. კონრადი თან გაჰყვა. მაგრამ მე ვიფიქრე: ვაი თუ ემაწვილი უწყალო შეიქმნას, რა დაინახავს რომ ყოველის უდანაშაულოთ ჭხოცენ საცოდავებსა მეთქი და ამისაგამო დაუშალე სამზარეულოში შასვლა.

რამდენიმე ხანის შემდეგ, ჩემი ცოლი მობრუნდა და ჭკითხა კონრადს: ქათმებს არ დასწიწკნიო? დავწიწკნი, დაიძახა იმან ჯ წავიდა სამზარეულოში. თავის საქმის კეთებაში, რამდენჯერმე მოგვიბრუნდებოდა ხოლმე და გამოგვკითხავდა ქათმებზედ და იმათ ცხოვრებაზედ. ერთხელ მამიბრუნდა ამ ძნელ ასასხნელ კითხვით: განა კარგია, ქათმებს რომ ჭხოცავთ? აბა რა დაგიშავეს?

ამ კითხვამ ძალიან დამაფიქრა და ბუტბუტით როგორც •�o მოვიშორე, მაგრამ შავწუხდი კი, რომ სწორე პასუხი ვერ მიუგე.

პასტორს ბევრჯელ უთქვამ ჩემთვისა თუ კაცი ჭკვიანურს არ იტყვის, ისევ გაჩუმება სჯობია.

გაკვედი გარეთ, რამდენიმე ხანი დაფიქრებული დავდიოდი და მერე, რა მამაგონდა რომ კონრადს პასუხი უნდა მიეცე—შამოკვედი შინ.

კონრად! უთხარ მე, იცი რით იკვებებიან ფრინველნი?

კონ. ვიცი, ქერით, ფეტვით, სიმინდით და სხვა.

მე. საიდან მოდის ფეტვი, ქერი?—

კონ. მინდვრიდან.

მე. იქ ვინ მიიტანა?

კონ. იქ ამოდის.

მე. თავის თავათ?

კონ. არა, სოდესენ.

მე. მაშასადაე ფეტკი, ქერი, სიმინდი და სხვა მე მეკუთვნის ანუ მუშებს და არა ქათმებს. იცი რამთვენ წიწილას გამოჭჩეკს ქათამი წელიწადში?

კონ. არ ვიცი.

მე. მაშ მე ვეტყვი. ერთი ქათამი წელიწადში გამოჭჩეკს ათს ანუ თორმეტს წიწილას.

კონ. ერთს წელიწადში?

მე. დიახ.

ვ, რა ბევრი უჩეკნია.

მე რასაკვირველია, ბევრია. ეხლა მე ოცდა ათი ქათამი მყავს; არც ერთი რომ არ დაკვდა ერთის წლის შემდეგ ხუთ ასი ანუ ექვს ასი შამიდგება. ვთქვათ ასი თავის თავათ დაიხოცნენ, რამდენსამე ქორი მაიტაცებს, მაგრამ მაინც ოთხას, ხუთ ასამდინ კიდე დარჩება, ესენი კიდე მემრის გამრავლდებიან ოთხი ათას, ხუთი ათასამდინ,

ვ. ახ, მამაკ, ხუთი ათასი ქათამი გეყოლება?

მე. ვთქვათ, ისე რომ გამრავლდნენ, რომ სულ მინდვრიდამ მოტანილი ბური იმათ შაგვიჭამონ და ხალხს კი არა ყარჩეთ რა. . . . . .

ვ. არა, მამაკ. ერთი კარია მაქთვენს რას შაშჭამს.

მე. ჭო, ერთს დღეში დიახ ცოტას შაშჭამს, მაგრამ მთელს წელიწადში კი ბევრსა. რამთვენი მოუნდება ხუთი ათას ქათამს? ეხლა ხომ გესმის კონრად,—რათ ვხოცავთ ქათმებს? მარტო სიამოვნისათვის რომ ვხოცავდე,—ეგ დიახ უწყალო იქმნებოდა, მაგრამ საჭიროებისათვის ვხოცავ და აბა აქ უსამართლობა რაშია?

ვ. რასაკვირველია, უსამართლობა არ არის, მაგრამ საწყალ ქათმებს ხომ სტკივათ ხოლმე, როდესაც ყელსა სჭრიან.

მე. რასაკვირველია, სტკივათ. ხომ უნდა დაიხოცნენ, და როდესაც უნდა დაიხოცნენ მაინც ეტკინებათ და მაინც. რამდენსამე ხანის შემდეგ ვკითხე ბასტორს—კარგი ვქენ, რომ არ ვაჩვენე კონრადს, თუ როგორ ვხოცენ ქათმებსა? ბასტორმა მამიწონა. სა-

ნამ უმაწვილმა არ იცის, მითხრა იმან, რისთვის და რომელ შეჯ-თხვევებში გვაქვს ნება პირუტყვების ხოცვისა, მე არ მიყვარს, რომ იმან უყურონ თუ როგორ ვხოცენ პირუტყვებს. ის ან შეიბრალებს პირუტყვებს და შეიძულებს იმას, რომელიც ვკლავს; ანუ დაჯკარგავს შებრალების გრძნობას, ამისაგან გახდება უგრძნობელი და დაუნდობელი. მხოლოდ მაშინ, როდესაც უმაწვილს ეცოდინება მიზეზი, რისთვისა ვკლავთ პირუტყვს და რა შემთხვევებში გვაქვს ნება იმისის მოკვლისა, მაშინ უმაწვილზედ არა თერისთანა ცუდი გავლენა არ ექმნება პირუტყვის წვალებას სიკვდილისაგან.

კატიხიზისის წართმევაც მამიწონა და იმის მაგიერ სხვა წიგნი მამცა, რომელშიაც ეწერა პატარა ადვილი გასაგონარი მოთხრობები.

XXVII.

კარგადი წერასა სწავლობს.

უმაწვილებმა კერ წერა არ იცოდნენ, მაგრამ პასტორმა ისე დაარჩია ისინი, რომ შეეძლოთ თავიანთი თიქრების ქაღალდზედ გადმოღება. ერთის დღის წინად, სანამ დაიწყობდნენ სწავლას, პასტორმა თავისი განძრახვა მე შამატყობინა. მე სიცილი მამიგიდა: კითხვაც ისე ასწავლა, რომ კერ დიდ ხანს ასოები არ იცოდხენ უმაწვილებმა, ეხლა კიდე უნდა ესწავლებინა ქაღალდზედ თიქრის გადმოღება, მაშინ როდესაც ერთი ასოს წერაც არ იცოდნენ. მაგრამ სასიამოვნო იყო შამეტყო როგორ გათავდებოდა ეს საქმე და ამისაგამო წავედი პასტორთან. ამ ჟამით ის ბატზედ ლაპარაკობდა. მე სიამოვნით უგდებდი ყურს და ბევრიც იმისთანა გავიგონე ამ თერინგელზედ, რომელიც მე არ ვიცოდი. სწავლა რომ გათავდა, პასტორმა ჩვითხა უმაწვილებს, აბა რომელი დამაწერინებთ ამ ჩემს ნაამბობსაო? მე, მე! დაიძახა რამდენმა. არა, უთხრა პასტორმა ყველანი ხომ ვერ მიამბობთ. იმან უნდა დამაწერინოს ჩემი ნაამბობი, რომელიც იტყვის რახ უფრო ჩვენს ბატი. უმაწვი-

ლები დათიქრდნენ, კონრადმა კი მალე წამაიძახა: ბატი იხვსა ჭვავს.

გამიცინეს, უთხრა პასტორმა. აბა კონრად შენ დამაწერინე ჩემი ნაამბობი, მაგრამ კინძლო კარგათ მიამბო, რომ მამა შენი გაახარო. კონრადმა დაიწყო ლაპარაკი, პასტორი სწერდა. ხუთრობისათვის აი წარმოგიდგენთ კონრადის ნაამბობს.

ბატი არის თვრთებიანი ცხოველი, ტანი აქვს დათვრილი ბუმბულითა, აქვს ნისკარტი და ორი თვალი გარსით. ბატები მრავლდებიან კვერცხებით. შეუძლიანთ ცურვა, როგორათაც იხვები. მე დიდ ხანმოკლეში ვიყავი ამისთანა კონრადის წარმატებისაგან.

XXVIII.

კონრადი იგზავნება სასწავლებელში და იმაზედ, თუ რა ისწავლა ამან იქა.

პასტორმა მითხრა, რომ კონრადი ეხლა სასწავლებელში მეტარებინა. მაგრამ ჯერ უნდა მამემზადებინა. ბევრნი, ამბობდა პასტორი, ჭგზავნიან ხოლმე თავიანთ შვილებს სასწავლებელში ყოველის უმოუმზადებლოთ, ასე გონია ცხვრები იყვნენო.

უმაწვილი პირველ მისვლაშივე დაინახავს ან გაიგებს, რომ ვაგირდი დაჭსაჯეს რაზედმე. რას იფიქრებს ის სასწავლებელზედ? ის იფიქრებს,—მეც იმიტომ გამამგზავნეს, რომ მეც დამსაჯონო და რასაკვირველია ამ ფიქრით სასწავლებელი დაეზიზღება და ვერც არას ისწავლის.

ამისაგამო მე დაუწყე ჩემს შვილს მზადება ისე, როგორათაც პასტორმა მასწავლა. ერთხელ მინდვრიდამ შინ მოვდიოდი. ლ რა მივახლოვდი სახლსა კონრადი ერთის თეფშით ალუბალით მამეგება, რომელიც ჩემთვის ჭქონოდათ შანახული. მე და ჩემმა ცოლმა ერთმანეთის პირობა მივეცით, როდესაც ერთმანეთისათვის მი-

ცემა ან ჩუქება გვდომოდა—კონრადის ხელით უნდა მოგვცემოდა, ამითი ჩვენ გაჩვენდით კონრადს, რომ ეოთვილიეო სხვისა ჯ ჩვენი პატივის მცემი და მასიამოვნებელი.

მე გავიღიმილე, როდესაც ალუბალი მამიტანა და ვაკოცე.

მამაკ! მიამბე რამე! მითხრა იმან.

მე ამ შემთხვევით ვისარგებლე, რომ შკოლისათვის მამემზადებინა.

აბა, გვერდით მამიჯექ, უთხარ მე. მე ერთს კარგს ისტორიას გიამბობ.

«ერთს სოფელში ორნი ძმანი იყვნენ; ერთს მიხეილი ერქვა, მეორეს გრიგოლი. ძმები იყვნენ, მაგრამ ერთმანერთში კი დიდი განსხვავება ჰქონდათ, მიხეილს სწორე ცხვირი ჰქონდა, გრიგოლს კი მრუდე, მიხეილს ქერა თმა ჰქონდა, გრიგოლს შავი. მიხეილის შვილები სულ მინდორში დარბოდნენ, გრიგოლისა კი სასწავლებელში დადიოდნენ. მიხეილის შვილები უსწავლელები დარჩნენ და ცუდი კაცები გამოვიდნენ. ჩხუბისათვის ყოველთვის მზათ იყვნენ; ერთი ჩიტის ბუდეც არ გადარჩომილა იმათ ხელებისაგან; დადიოდნენ ვენახებში და იპარავდნენ ხილსა; ხან და ხან თუ გაჯავრებდათ ვინმე — თვანჯარებსაც უმტვრევდნენ. ყველას შაეძულეს თავიანთი თავი. ჩხუბი რომ მამხდარიყო რამე—მაშინვე იტყოდნენ: მიხეილის შვილები იქმნებიანო. ეთვრის შვილს ვლახი ერქვა; დიდი ხანია წვერი და ულვაში გახშირებული ჰქონდა, მაგრამ არც წერა და არც კითხვა იმან არ იცოდა.

გრიგოლის შვილები სულ სხვები იყვნენ. ისინი სასწავლებელში დადიოდნენ, ბევრი კეთილი ესმოდათ და თითონაც კეთილნი გამოვიდნენ. ისინი იყვნენ პატიოსანნი და სცდილობდნენ, რომ სხვისათვის ესიამოვნებინათ რითიმე. ყველას უყვარდნენ და ყველა იმათ ქებაში იყო!

ორივე ძმები ჩქარა დაიხოცნენ. გრიგოლმა სიკვდილის წინად დაიბარა თავისი შვილები და უთხრა: შვილებო, თქვენ დარჩებით ობლათ. ღმერთსა ჭსურს, რომ ჩემი სიცოცხლე გათავდეს. მაგრამ

არა მგონია, თუ თქვენ დაიკარგნეთ მე გაცარებდით თქვენ სასწავლებელში, სამყოფი სწავლა გაქვთ, იცით: წერა, კითხვა, თვლა და სხვ. მაშასადამე თქვენც გექმნებათ ალაგი ამ ქვეყანაში.

შვილები ჭკოცნიდნენ მამას და ეუბნებოდნენ: მადლობელი ვართ, რომ ცოტა რამ სწავლა მიგვაღებინე; ჩვენ, როგორც გვასწავლეს ისე ვიცხოვრებთ.

მიხეილის შვილები სულ უბედურნი იყვნენ. მამამ იმათ არა დაუგდოთ რა, სწავლითაც არა იცოდნენ რა, მუშაობაც ეზარებოდათ. ერთი სალდათათ შავიდა და ბოლოს ქურდობისთვის ცემ ბირში იყო გაგზავნილი. მეორემ დაიწყო ყაჩაღობა და ისიც ბოლოს დაიღუპა; ქალი კიდე შიმშილისგან ქუჩაში მოკვდა.

გრიგოლის ორი შვილის ცხოვრება სულ სხვა იყო. მამამ იმათ საცხოვრებელი არა დაუგდოთ რა, მაგრამ ისინი ყოველთვის კარგად ცხოვრებდნენ. უფროს, სერგეის ეჭირა დიდი ალაგი კონტორაში. ის იყო კეთილი კაცი და ძალიან წინ წავიდა. უმცროსი, ალექსი, იყო წაყვანილი რეკრუტათ და რადგან კარგათ სწავლობდა და კარგად იქცეოდა—ათიცრობაც მალე იშოვნა.

ათიცრობა რომ მიიღო, დაუბრუნა თავისის ძმის სერგეის ნახვა.

ერთს კვირა დღეს სერგეი თავისის ცოლ-შვილით სადილზედ ისხდნენ. შამოესმათ ეზოდამ ცხენის ბრახუნი და ვილაცამ კარებთან ცხენი მოაჯენა. უმაწვილები მიცვივდნენ ფანჯარასთან და დაუწყეს იქიდამ ყურება: მამა! დაიძახეს იმათ, ვილაცა მდიდარი კაცი მოვიდა, ბუმბულიანი ქუდი ჭხურავს.

სერგეი მიდიოდა მისაგებებლათ, მაგრამ მანამ ის სერთუკს ჩაიცვამდა—მდიდარი კაცი წინ ედგა. ყველამ თავი დაუკრეს. სერგეიმ კი ჭკითხა: ვინა ბრძანდებითო?

მდიდარი კაცი—ჯერ გაჩუმდა და მერე სიცილით შაჭხედა სერგეის თვალებში; ბოლოს უთხრა: როგორ, ჩემო ძმაო სერგეი, მართლა ვერ იცან შენი ძმა ალექსეი?

მოეხვივნენ ერთმანერთს და დიდ ხანს იყვნენ ამ მდგომარეო-

ბაში. რასაკვირველია ძალუასა და ძმის წულებსაც ძალიან გაუხარდათ იმისი გაცნობა.

ალექსეი მაშინვე სუფრასაკენ მიიპატიჟეს. ორივე ძმებმა უამბეს ერთმანერთის თავიანთი გარემოება და ეხლანდელი ცხოვრება. ბოლოს ალექსეიმ სთქვა:

ყველაფერში მამა ჩვენისაგან კარგად დავალებულნი. ჩვენც რომ ისე პირუტყვებსავით გავზდილიყავით, როგორც მისეული შვილები, ჩვენგანითაც არა გამოვიდოდა. მამა ჩვენმა გვატარა სასწავლებელში, ჩვენც კითხვა და წერა ვისწავლეთ და ეხლა ყველასაგან პატივცემულნი კარგად.

კონრადი ისე გულის-ყურით უგდებდა ყურსა, რომ ალუბალი სრულებით დაავიწყდა.

ეს ამბავი რომ გავათავე, კონრადმა მკითხა: მამა! მეც გამგზავნი სასწავლებელში?

მეც ეს მინდოდა. თუ პირობას მამცემ, რომ ბეჯითი იქმნები, იქმნება გაგზავნო, მიუგე მე.

ბეჯითობის პირობა მამცა.

ახალი სკრთუკი და ქუდი შაუკერინე; ორ შაბათს გავაკეთებინე პირველი და ზოგიერთი ჩვენი საცნობები მოვიპატიჟე. ყველანი რომ შაიყარნენ, მე მიუბრუნდი იმათ და უთხარი, რომ დღეს დიდი სასიხარულო დღე არის, ამიტომ რომ დღეის შემდეგ ჩემი შვილი მოსწავლეთ იქმნება.

ყველამ დამილოცა შვილი. პატარა შექცევის შემდეგ, მოვეკიდე კონრადს ხელი და წავიყვანე სასწავლებელში. მართლა და ასრულა თავისი პირობა; ძალიან ბეჯითი იყო.

კონრადი სიხარულისაგან აღტაცებული იყო. რა დადგებოდა დრო, სასწავლებელში წასვლისა, ვერაფერი ვერ დაიჯერდა იმას. ოკეულთვის სირბილით და გახარებული მიდიოდა.

XXIX.

ეგზამენია.

ჩქარა ამის შემდეგ, ჩვენი ძველი პასტორი გარდაიცვალა და იმის შოადგილეთ მოვიდა, სხვა ახალი, მართლა და კარგათ ნასწავლი პასტორი. იმან ბევრი ცვლილება მოახდინა სასწავლებელში და შენდეგ როდესაც ყველაფერი კარგათ გაჩართა, იმის დასამტკიცებლათ, რომ ყველაფერი კარგათ დაუწესებია, დაუნიშნა თავის მოწაფეებს ეგზამენია (გამოცდა მოწაფეთა სწავლაში) და იმ ეგზამენიაში მოიპატიჟა არა თუ უფროსნი იმ სოფლისა, სხვა მდაბალი ხალხიც. ყველამ მოუწონა მეტად და დიდი მადლობა მიიღო სოფლისაგან.

პასტორი ფიქრობდა თავის თავათ: ჯერ რვინა, მანამ ცხელია. იმან მოიპატიჟა ყველა სასწავლებლების ინსპექტორები და ჯერ მადლობა უთხრა, რომ ერთმანეთს შემწეობას აძლევდნენ სასწავლებლის წარმატებისათვის, და შემდეგ დაუმატა: აქამდინ ყველა კარგათ არის ჩვენს სასწავლებელში, მხოლოთ ერთი რამლა აკლია—სპორტი (Гимнастика). ადამიანი საკვირველი რამ არის. როგორც კიცით, ის არის შედგენილი სულისაგან და სხეულისაგან და ორივ მათოთ არ შეუძლიან ცხოვრება. მაგრამ კაცი ხან სულ დაივიწყებს ხოლმე, ხან სხეულსა. შრომითა ის ჭიქრობს მხოლოდ სხეულზედ, ჭზრუნავს საჭმელზედ და საცმელზედ; სწავლის დროს კიდე ჭზრუნავს, მხოლოთ სულზედ; სხეულიკი სრულებით აივიწყდება. ეს ეს დაუდეგნელობა არის მიზეზი ამთვენის ავათ მყოფობისა. შავასრულოთ ეს ნაკლულოვნება, მეგობარნო ჩემნო! და მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩვენს სასწავლებლებში სულის გარდა, სხეულიც იზრდებოდეს.

რა შავხედავთ ემაწვილებს, განაგრძელა პასტორმა, მაშინვე შავნიშნავთ, რომ ისინი ძალიან იშვიათათ დადიან წყნარათ, უფრო ან დარბიან, ან დახტიან. სურვილი სირბილისა და ხტომისა თითონ ღმერთმა ჩანერგა მათში ამიტომ, რომ იმათ თავიანთის მოძრა-

ბით სისხლი მ ეუკვანათ მოძრაობაში და იმათი ყოველი ასო ყოველთვის მოქმედებაში იყოს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ იმათ თავიანთ სურვილი აღუსრულოთ, უნდა ხშირათ კაძლევდეთ იმათ შემთხვევას და შემწეობას, რომ სირბილი და ხტომა შაეძლოთ. მაგრამ ჩვენ ამას არა ვჩადიგართ. თითქმის ყოველთვის უშლიან ყმაწვილებს სირბილს და ახვევენ წყარო სიარულს, მე თითონ ვნახე ერთი ორმოცდა ათის წლის კაცი, რომელიც ერთის ბაჯარა თავის შვილით მინდორში დასეირნობდა; და რასაკვირველია ყმაწვილებ მინდორში დახტოდა ხან იქით, ხან აქეთ; მაგრამ მამამ დაუძახა: აღიოშა! ნუ დარბიხარ; შამამხედე მე, და როგორც მე დავდიგარ, შენც ისე იარეო.

ჩვენ სხვა რიგათ მოვექცევით ჩვენს ყმაწვილებს; მივცემთ სირბილის შემთხვევას, ხტომისას და სხვა თამაშობისას. რადგან ხვალინდელი დღის შემდეგ, ყმაწვილები დათხოვნილები იქმნებიან, მე ხვალვე დაუდებ ამ საქმეს თავსა. ყველანი დაჭყაბულდნენ. მეორე დღეს, ბასტორი, რა მოვიდა სასწავლებელში—უთხრა ყმაწვილებს: საყვარელნო შვილებნო! დღეს თქვენის კარგის ბასუხებით ეგზამენიაში—დიდათ მასიამოვნეთ. სამართალი ითხოვს, რომ მეც რითიმე გასიამოვნოთ. ხვალ დილით, მე თქვენ თამაშობას გასწავლით. ვისაც ჭსურს ჩვენს მინდორზედ მოვიდეს.

ყმაწვილებს ძალიან გაუხარდათ—და ყველამ მოსვლის პირობა მისცეს.

მაგრამ, დაუმატა ბასტორმა, არ დაგავიწყდეთ, წამოსვლის ნება სთხოვეთ თქვენს დედამამას. იქმნება ან საქმე გამოგიჩნდეთ რამე, ან თითონ მშობლებმა არ ისურვონ თქვენი იქ წამოსვლა. ვისაც დედამამა ნებას არ მისცემს ნუ წამოვლენ, იმიტომ რომ კეთილი ყმაწვილები დედამამის მორჩილნი უნდა იყვნენ.

მეორე დღეს თითქმის ყველანი შაიკრიბნენ. ჯერ გასწრობაზედ არბეიან. ყმაწვილები სულ ოთხ კრებათ გაჭყო. ყოველ კრებაში შეთანასწორებული ღონითა და სიმარდით ყმაწვილები იყვნენ, ნიშნათ ერთი ხე იყო აღმორჩეული. ბასტორმა დაუყენა პირველი კრება, მისცა ნიშანი გაქცევისა, პირველი ვინც მივიდოდა—საჩუქრათ

მუხის ტოტს მიიღებდა ბასტორისაგან.

სირბილის შემდეგ—დაიწყეს ხტუნვა. რამდენიმე ყმაწვილები—ერთს წრეზედ დადგნენ და რამწამვე ბასტორი ნიშანს აჩვენებდა—ერთმანეთზედ უნდა გადამხტარიყვნენ.

რომელიც უფრო შორს ხტებოდა — სახუქრათ მუხის ტოტს მიიღებდა ხოლმეო.

ამ პირველის დღის კარჯიშობაზედ ისეთი მადლობელნი იყვნენ ყმაწვილები, რომ სთხოვდნენ ბასტორსა ყოველ დღე ამისთანა კარჯიშობის გასმეორებას. ეგ ადვილია, თუ ბეჯითობის პირობას მამცემთ.

ზოგნი ერთნი მშობლები, რომელნიცა ჭხედავდნენ ამ გვარ ყმაწვილების კარჯიშობას — დიდათ მადლობელნი იყვნენ; ზოგნი კი სჩიოდნენ, ამ სახით: ეს სულ სულელურია; ამ კარჯიშობაში კაცი თითონვე მოიყვანს თავის თავზედ უბედურებას; დაინახავთ — თუ ჩვენმა შვილებმა თავ პირი არ დაიმტვრიონ. ერთმა კეთილმა მოხუცმაც კი სთქვა: ოხ, რა დროს შავესწარ! მე რომ სასწავლებელში დავდიოდი, ხტუნვისა და სირბილისათვის როზგით გვცემდნენ ხოლმე: ეხლა კი თითონ სამლთო ჭსალხიც კი ურჩევენ ყმაწვილებს სიცელქეს; კარგი ჩამოშავლობა არ გამოვა! ბასტორს ესმოდა ეს სიტყვები, გაიღიმილა და ბასუხი არა უთხრა რა. ბასუხის მაგიერ—ბასტორმა ყმაწვილებს უთხრა: შვილებო! მე გასიამოვნებთ ამ გვარ დროს გატარებით ამიტომ, რომ თქვენ შეიქმნეთ ჯან-მრთელნი, ლონიერნი და მარდნი და იმიტომ, რომ ზოგიერთს შემთხვევაში შეგეძლოთ თქვენის თავის შველა. ხშირათ მოიტეხს კაცი თვეხსაც, ხელსაც, ხანდის ხან კისერსაც და ძალიან ხშირათ უფრო ის კაცი, რომელიც ყოველთვის წყნარათ დადის. იქმნება ამ წყნარ ხალხს ხელიც შარჩენოდათ და თვეხიც—გიმნასტიკაზედ რომ ეკარჯიშნათ ბატარაობაში. მაგრამ, მე, ძალს არა ვის გატანთ. ამის შემდეგ გაბრუნდა და წავიდა შინ; მე და მასწავლებლები თან გავყევით.

გზაზედ ლაპარაკობდა კიდე — თუ რაგორ გაეკეთებინა გიმნასტიკა, ზედ დატანა, რომ ძალის დატანება არ უნდა გიმნას-

ტიკაზედ კარჯიშობასაო. ასლის დატანებით—უმაწვილებს სიამოვნება დაეკარგებათ და არც კარგი წარმატება ექმნებათ.

ბოლოს კარჯიშობის რიცხვი უფრო და უფრო გამრავლდა; უმაწვილებმა ისწავლეს კარგი ხტომა — ასე რომ დიდ არხზედ (ровъ) უშიშოთ გადახტებოდნენ. ისწავლეს კარგი სირბილი, ხეზედ სიარული, წყალში ცურვა და სხვა. რამდენიმე ხანის შემდეგ ისეთი წარმატება გამოაჩინეს უმაწვილებმა, რომ იმათ საყურებლათ, როდესაც კარჯიშობდნენ—მთელი სოფელი შეიყრებოდა ხოლმე.

ყველაზედ უმჯობესი კონრადი იყო. ისე არ წავიდოდა შინ, რომ ერთი კარგი კონა მუხის ტოტები—არ წაელო.

XXX.

კონრადს ეძახიან უსჯულოს, უსვინიდისოს და მოჩხუბარს.

კონრადი ათის წლისა იყო, როდესაც კრთს ჩემს ნათესავს ქორწილი ჰქონდა. მე და ჩემი ცოლი დაპატიჟებული ვიყავით. კონრადის წაყვანა არ შეიძლებოდა ამიტომ, რომ ჩვენს ქორწილებში უმაწვილები არ უნდა იყვნენ. ზოგი საჯმელს აძლევს, ზოგი სასმელს—ასე რომ ამ სხვა და სხვა ნაირის საჯმელითა და სასმელითა უხდებათ მუცელი და ხდებიან ავათ; ამის გარდა იმისთანა ხუმრობა და ლაპარაკი იციან, რომ უმაწვილმა არ უნდა გაიგონოს.

ჩემი ცოლის ძმამ, რამდენჯერმე მთხოვა, რომ კონრადი იმასთან დამეთხოვა და მეც ნება მიგეცი, თავის ბიძასთან ყოფილიყო, მანამ ჩვენ ქორწილიდამ დავბრუნდებოდით.

ქორწილი რომ გათავდა, წამოვედით შინ, და გზაზედ კონრადისათვის შავბრუნდით—ჩემი ცოლის ძმასთან. აქ იმისთანა სცენა დაგვხდა, რომ ჩემს სიცოცხლეში ალარ დამავიწყდება.

პირველი სიტყვები ჩემი ცოლის ძმისა,—ოთახში რომ შავედი — იყვნენ: მადლობა ღმერთს, რომ მოხვედი და კონრადს გამაცალი. ეს ასეთი უსჯულო და უსვინიდისო უმაწვილია, რომ ჩემს

დღეში არ მისახვს მაგისთანა. მე, მართლა კარგი ყმაწვილი მეგონა, თურმე საშინელი მოჩხუბარი ყოფილა. ოჰ, ამ ორ დღეში ისეთ ნაირათ გამაჯავრა, რომ ჯავრისაგან კინალამ არ მოგკვდი.

როგორა? უთხრა ჩემა ცოლმა, ჩვენი კონრადი უსჯულო და უსვინიდისოა? თუ შენ კეთილი კაცი იყო—მაგას არ ეტყოდი.

ჩემმა შვილმა კეთილის მეტი არა იცის რა, იცი?

მამა, დაიძახა კონრადმა, ნუ დაუჯერებ, რომ მე ანჩხლი ყმაწვილი ვიყო; ბიძაჩემი ტყუის.

გესმით, სთქვა ჩემი ცოლის ძმამ: ხელ და ხელ მამტყუნებს. მეც რომ ვჩქარებულიყავ, კარგი ამბავი გამოვიდოდა, მაგრამ მოვითმინე. წადი და სანამ მე არ დაგიძახო ნუ გამოხვალ ვენახიდამ, უთხარ მე კონრადს.—მერე ჩემი ცოლიც დავითხოვე ოთახიდამ და მე და ჩემი ცოლის ძმა დავრჩით. ეხლა ხომ მარტოკანი ვართ, ჩემო საყვარელო ძმაო, უთხარი მე; ერთი ჩქარა მიამბე რა ქენა კონრადმა. თუ დამნაშავეა—უეჭველათ დავსჯავ.

უნდა დაისაჯოს, არ შეიძლება მაგისი პატივი, მე ამას იმიტომ გეუბნები, რომ ის უსჯულო ყმაწვილია.

ეგ წელანვე გავიგონე, მაგრამ, ერთი მითხარ რაში შაგნიშნე მაგას უსჯულოება.

ცოლის ძმა. უსჯულოა მეთქი. ჯერ ქვებით ფანჯარის მინები დაუმტვრია ერთს ჩვენს მეზობელს, მერე შვილს უცემა—ასე რომ პირიდამ და ცხვირიდამ სულ სისხლი სდიოდა, მე მტყუანათ დამსახა, დანა მესროლა . . . . . .

მე სხვა არა ფერი?

ც. ძ. მე არ ვიცი, ჩემო ძმაო! რა უნდა ვიფიქრო შენზედ! განა ეს საკმაო არ არის? ამისთანა შვილი რომ მყავდეს სულ თითო-თითოთ დავიწიწკნიდი თმას.

მე. დიახ, სულ რომ დაგეგლეჯა კიდეცა, — მითამ იმითი კარგი იქმნებოდა? მე თმას არ დავიგლეჯავ ამ წვრილმანებისათვის; წავიყვან კონრადს,—გამოვკითხავ ყველაფერს და შესაბამ დანაშაულისა—დავსჯავ.

გამოგვეთხოვე ჩემი ცოლის ძმას, დაუძახე კონრადს, ჩემს ცოლს და წავედით შინ.

გზაში—კონრადს ჩვენზედ წინ უნდა ევლო, და ჩემს ცოლს ვთხოვე, რომ კონრადისათვის არათვერი არა ეთქვა რა და ეს საქმე, მე და ბასტორისათვის მოეხდო. შინ რომ მივედით კონრადი და ჩემი ცოლი შავიდნენ ოთახში—მე კი ბასტორთან წამოვედი: უამბე ყველათვერი და რჩევა ვთხოვე, რომელშიაც ეარი არ მითხრა. შინ რომ მოვბრუნდი—დავჯექ ჩუმათ სტოლთან, კონრადს ხმას არა ვცემდი, მხოლოთ ჩემს ცოლს ველაპარაკებოდი კარტოფილზედ, რომელიც მეორე დღეს უნდა ამოგვეთხარა. ამ ლაპარაკში კონრადმა მკითხა: მამავ! ნებას მიბოძებ, რომ მეც ამოვთხარო კარტოფილი?

როდესაც ლირსი იქმნები მიუგე მე მოკლეთ. იმ სიტყვამ ისეთი შეაწუხა, რომ ორსავე ლოყებზედ ცრემლები ჩამოვიდინა. შეწუხებული დაწვა და დაიძინა.

მეორე დღეს—დავიწყე გამოძიება. ჩავჯექ კრესლაში, მივიღე სერიოზნული შეხედულება და დაუძახე კონრადს.

კონრად? უთხარი მე, შენ ოთოველთვის კეთილის მოყვარე ყმაწვილი იყავ და მე შენითა ვხარობდი. ჩვენ რაპდენიმე დღე დავშორდით ერთმანერთს და შენ ამ დროს განმავლობაში შეიქენ: უსჯულო, უსვინიდისო და მოჩხუბარი ყმაწვილი.

კონრადმა დაიწყო ტირილი და სთქვა: მამა! საყვარელო მამავ! ეგ ტყუილია, მე ისევ კეთილის მოყვარე კონრადი ვარ. მამეხვია კისერზედ, დამისველა ლოყები ცრემლებით და კისლამ მეც არ დავიწყე ტირილი. როგორც იყო გული გავიმაგრე, მოვიშორე და უთხარ: შენს ცრემლებს და ტირილს—მე ყურს არ უგდებ; აგე იქ დადექ და ბასუხი მამეც. ტყუილს ნუ იტყვი; ჩემმა კონრადმა ტყუილები არ იცოდა. მხოლოდ უსჯულო, უსვინიდისო და მოჩხუბარი იტყვის ტყუილს.

კონ. მამავ! არ ვიტყვი ტყუილს.

მე. კარგი! მაშ მიბასუხე. მართლა ოვანჯრის შინები დაჯმტვ-

რიგვე, ბიძი შენის მეზობელს?

კ. ერთი მინა გაუტეხე.

მე. განა იმ კაცმა—გაწყენინა რითიმე?

კ. არა.

მე. მაშ მინები რისთვის დაუმტვრიგე?

კ. თვანჯარაზედ ჩიტი იჯდა.

მე. იმიტომ გაუტეხე თვანჯარა?

კ. მე ჩიტს ვესროლე ქვა—მინას კი მოჰხვდა.

მე. ჩიტს რაღათ ესროლე ქვა.

კ, რაღაცა ეჭირა ნისკარტში და მინდოდა დამეგდებინებინა. მინდოდა მენახა, რა იყო.

მე. ამის შემდეგ—წახვედი მეზობელთან და უამბე ეს ამბავი?

კ არა.

მე. რატომ არ წახვედ?

კ. მეშინოდა.

მე. შენ უნდა წასულიყავ და აი ეს გეთქვა: მოწყალეო ხელმწიფევ! მე ჩიტს ვესროლე ქვა, მაგრამ თქვენს თვანჯარას მოხვდა და ერთი მინა გატყდა. ნუ გამიჯავრდებით! ამის შემდეგ ალარ გავისვრი ქვას, მამას მოვახსენებ და ის მინის თასს მოგართმევთ.

ის კიდე აი რას გეტყოდა: კარგი, პატარა ცელქო, გათვთხილდი ხოლმე! როცა მოგინდება ჩიტების ქვის სროლა, თვანჯრებზედ კი ნუ მოსძებნი, ხეებზედ მოძებნე. ასე მოექეცა მეზობელს?

კ. არა. იმან ბიძა ჩემს შაატყობინა, რომ კოანრადმა თვანჯარის მინები გამიტეხა.

მე. განა არ გაუტეხე. შენ რომ იმისთვის გეთქვა, ბიძაშენთან ალარ დაგაბეზღებდა. ბიძა შენმა, რომ გაიგო რა გითხრა?

კ. აიღო ერთი ჯოხი და ხუთ ჯერ დამარტყა.

მე. რა უთხარი შენ ამაზედ?

კ. მე დავიყვირე და უთხარ: არა, მე მინები არ დამიმტვრევია მეთქი.

მე. მართალია მინები არ დაგიმტვრევია, მაგრამ ერთი ხომ

გასტეხე. შენ ყველაფერი სწორეთ უნდა გეთქვა. როცა ეთხარ რომ ტყუილია, ამაზედ რა გითხრა ბიძა შენმა?

კ. იმან წამააკლო ჯოხს ხელი და მითხრა: აი, შე საძაგელო შენა! შე მოჩხუბარო! მტყუანათაც გამხადე? მაიცადე, შე დაგახსომებ ჩემს თავს და დამიწყო ცემა.

მე. ეს ყველაფერი იმიტომ მოგიყიდა, რომ მაშინვე შენი დანაშაულობა არ ეთხარ. ესეც ტყუილია, რომ იმ მეზობლის შვილსაც სცემე?

კ. ეგეც ტყუილია.

მე. კარგად! სწორეთა სთქვი—თორემ ცრუკათ დაგიძახებენ. და ცრუი ცუდი კაცია. აქ ცოტა რამ მართალი უნდა იყოს, თორემ ბიძა შენი ტყუილს არ იტყოდა.

კ. მე იმ მეზობლის შვილისათვის არა მიქმნია რა—მხოლოდ ორი სილა გავარტყი.

მე. ეგ არა ფერი? რათ გაარტყი.

კ. მე ყველაფერს გიამბობთ: მეორე დღეს—ბალის უკან გამოვედი—ის ყმაწვილი იქ მოვიდა და მკითხა: მოგეწონა გუშინდელი ჯოხებიო? ამაზედ გავკაკვარდი და ეთხარ, რომ მე ნებას არავის მივცემ, რომ უდანაშაულოთ გამლახონ მეთქი. იმან სიცილი დაიწყო და დაცინვით მითხრა: ოჰ, დიდი რამ არ არის შენისთანა მუტრუკის გალახვა.

ვინ არის მუტრუკი? ვკითხე მე.

შენ, მამიგო მან, მემრე მტაცა თმაში ხელები, ერთი გამიქნია და დაანარცა გაქცევა; მაგრამ ჯერ ხუთი ლაჯი არ გადაედგა, რომ მოვბრუნდე ხელი, მივაჭეჭეე ლობეს და ორი სილა გავარტყი.

მე. ის კი არა ქცემდა?

კ. არა, იდგა და ყვირიოდა.

მე. მითამ კარგი ჭქენი, რომ სცემე?

კ. არა.

მე. მაშ რათა ჭქენ ეს საქმე?

კ. მოთმინებიდამ გამამიყვანა და მა რა მექმნა.

მე. იმის მამას რომ დაენახა?

კ. დაინახა.

მე. დაინახა? რა თქვა?

კ. გამამიდგა მე, და . . . . .

მე. ქცევა განა?

კ. არა, იმან ჭკითხა თავის შვილს: გემრიელნი იყო სიდედაბილო? კიდე რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მე გამოგექეცი და შინ მოგედი.

მე. შენი ბედი, რომ კეთილი კაცი ყოფილა ის მეზობელი. რო გაჯავრებულიყო, იმისაგანაც მოგხვდებოდა.

კ. ბიძა ჩემმა გადამახდევინა.

მე. რა გიყო?

კ. სალამოზედ მე შინ ვიჯექ და მსხალსა ვჭამდი, ბიძა ჩემი ერთის დიდის ჯოხით შამოვიდა და გაჯავრებულმა მითხრა: აი შე ეშმაკო შენა, მინებიც დაუმტვრიეე და შვილსაც უცემე? ყოველის უკითხოთ დამიწყო ცემა.

მე. შენ რაღა უთხარ ამაზედ?

კ. ისეთი გაჯავრდი, რომ მიწაზედ დავანარცხე დანა, რომელითაც მსხალსა ვჭრიდი.

მე. ამის შემდეგ ალბათ ისევ კარგად მოგექცეოდა ბიძა შენი განა?

კ. არა! უფრო ძალიან გაჯავრდა და კიდევ მცემა.

მე. მაშ მაქთვენი სიამოვნება არა გინახავს რა სტუმრობაში. ვინ არის მიზეზი ამ უსიამოვნობისა?

კ. ბიძა ჩემი.

მე. მართლა? პირველ მისვლაში გახსოვს რა ნაირათ გიალერსებდა; თავადაც კი მოგიტანა.

კონრადმა თავი დაღუნა.

მე. მაშ როგორ მოხდა, რომ ბიძა შენმა შენზედ გული აიყარა და თავადის მაგიერ—ცემით გიმასპინძლა?

კ. იმიტომ მოხდა, რომ ჩვენს მეზობელს მინა გაუტეხე.

მე. მარტო ეგ არის მიზეზი, უფრო იმიტომ მოხდა, რომ შენ არც მეზობელს უთხარ შენი შემთხვევა და არც ბიძა შენს, ყმაწვილს ყოველთვის ეპატიება შეცოდავება, მაგრამ უნდა მაინინიოს და არ დამალოს.

გ, ესეც ხომ ცუდია, რომ ბიძა ჩემი ისე გაჯავრდა.

მე. უცუდესი ის არის, რომ შენ ის გააჯავრე; ეხლა ხომ იცი იმ კაცის მდგომარეობა, რომელიც გაჯავრებულის კაცის ხელში ჩაგარდება. გახსოვდეს! და უფთხილდი, რომ შენის ქცევით არავინ გააჯავრო ბიძა შენს ადრევე ძალიან უყვარდი, მაგრამ ეხლა კი დაგეკარგა ის სიყვარული.

კონრადმა ტირილი დაიწყო.

მე. ეხლა ის თავისთან ალარ მიგიპატიებს, ალარც იტყვის ჩემი საყვარელი კონრადიო.

კ. ოხ, ნეტავი კი ისევ შამიყვარდეს!

მე. მე შენ ერთს რჩევას მოქცევ. მისწერე წიგნი და ბოდიში სთხოვე იმ უსიამოვნობისათვის, რომლების მიზეზი შენ იყავ.

კონრადმა დაწერა წიგნი ისე, როგორათაც იცოდა—ის წაგნი გაუგზავნე ჩემი ცოლის ძმას და რადგანაც ის აქნობამდინ დამშვიდებულიყო, პასუხი ისე მოეწერა, როგორათაც მე ურჩიე. ამითი საქმე გათავდა.

მე ყველაფერი პასტორს უამბე, რომელმაც მამცა რჩევა—თუ როგორ მოვქცეულიყავ ამ საქმეში; ხომ ხედავთ, უ. კიოვერ! მითხრა იმან, სიდამ წარმოდგება სიანჩხლე ყმაწვილისა—უფრო ყოველთვის იმ კაცების ქცევიდამ, რომელნიცა ყმაწვილები ალარ არიან. ყმაწვილები განუსჯელნი არიან, უგუნურნი და ზარმაცნი მუშაობაში; მაგრამ ანჩხლები კი არ არიან—თუ ძალათ არ გაანჩხლეს. ამისაგამო, ვისაც ჭსურს ყმაწვილების ალზრდა, იმან ის უსიამოვნობა, რომელიც ყმაწვილებისაგან წარმოდგება ყმაწვილების სიანჩხლეს კი არ უნდა მიაწეროს,—იმათ განუსჯელობას, ზარმაცობას და სხვა ყმაწვილების ნაკლულოვნებას უნდა მიაწეროს; ის ყოველთვის პირველს მიზეზს უნდა ეძებდ ეს რომლისამე უსიამოვნობისა.

ვინც ამას არა იქს და დაიწყებს მტკიცებას, რომ ყოველი სიცელქე ყმაწვილისა ამის სიანჩხლობისაგან არის და ამ სიცელქეს განზრახვა აქვს, რომ სხვას დაუშავოს რამე, ის არა თუ კარგად აღზდის ყმაწვილს,—სრულებით წაახდენს.

განა ყმაწვილი არ იწყენს როდესაც იმას სიანჩხლეს შესწამებენ, მაშინ როდისაც იმისი დანაშაულობა ყოველის უმიზეზოთ იყო ნაქსარი? და თუ ყმაწვილს ისე მოექცევიან, როგორათაც ანჩხლისა—განა ის კი არ ვათვიცხლება? და გათვიცხებული ყმაწვილი რას არა იქს. ზანტი აგებულების ყმაწვილმა იქმნება აიტანოს უსამართლობა; მაგრამ თავ მოწონებული ყმაწვილი კი, რომელსაც ძვირით ულირს სიყვარული და მინდობილება უფროსებისა, ყოველთვის იწყენს, როდესაც ძალათ ანჩხლათ გახდიან. ამისაგან გამოდის, რომ ძალიან ხშირათ—კარგი თავები—საშინელი ანჩხლები ხდებიან, როდესაც იმათ უჭკოთ ექცევიან და ყოველს იმათ შეცოდავებას იმათ სიანჩხლეს მიაწერენ ხოლმე.

თქვენ რომ კონრადი სრულებით არ გაგიმართლებიათ—ძალიან კარგათ გიქმნიათ. მეც ბევრჯელ შამხვედრია მაგ გვარი საქმეები. ყმაწვილები მოდიოდნენ და ჩაოდნენ მასწავლებელზედ, რომ მითამ ის ცუდათ ექცეოდეთ; მე ვგრძნობდი, რომ ესენი მართალნი იყვნენ და მასწავლებელი დამნაშავე იყო; მაგრამ მე იმათ ამას არ ვაგრძნობინებდი; ურჩევდი, რომ უფრო თვითხილვათა ყოფილიყვნენ და მასწავლებელი არ გაეჯავრებინათ. (*)

ლევან ჯანდიერიშვილი.

(დასრულება იქმნების შემდეგ № ში.)

(*) ამ უკანასკნელი აზრის თანახმა არა ვართ. მართალი ყოველთვის უნდა გამართლდეს, მტყუანი-გამტყუნდეს. სიმართლის გამოძიებაში უფროს უნცროსობა არ უნდა იყოს: თუ ერთს საქმეში გარეულნი არიან, ოსტატი და შეგირდი, ოსტატი რომ მტყუანი იყოს უნდა გამტყუნდეს რომ ბავშვმა პატარაობისგან ყოველი უფროსის პატივის ცემაზედ მალლად სიმართლის პატივის ცემა ჩაისახოს გულში. თორემ მართალი ბავშვი თავის უფროსზედ საჩივლელად მოვიდეს და არ გაამართლო,—აქედამ რა უნდა გამოიტანოს ბავშვმა? ისა რომ უფროსთან უნცროს სიმართლე არ გაუვა. ეს არა მგონია კარგი იყოს.

მადლუნმა ხმა არ გასცა; თვალმანდელი კიდევ მოჭყვა:
—ძალიანა ცივა.
უფ. მადლუნმა კიდევ ხმა არ გასცა.
სკოთელერმა ჭკითხა:
—ვინიცობაა, წვიმა რომ მოგვიდესთ?
მადლუნმა თავი აიღო, შეხედა და უთხრა:
—ტილბიური და ცხენი ხვალ დილით, ხუთის ნახევარზე, ჩემ კარებთან მზათ იყოს.
—ბატონი ბძანდებით, უფ. მერო, სკოთელერმა უთხრა; მერე სტოლზე რაღაცა ლაქა თეზილით თეხვა დაუწყო და თან ვითომც უნადვილის ხმით განგებ ჭკითხა:
—მართლა, აი მარტო ესლა მომაგონდა: უფ. მერმა რომ არ მითხრა სად მიდის; თქვენ საით მხარეს მიემგზავრებით, უფ. მერო?

რაც ლაპარაკი დაიწყეს, სკოთელერი ხულ ამ საგანზე თვიქრობდა და თითონაც არ ესმოდა, რომ მადლუნს ეს ადრეკე რატომ არა ჭკითხა.
—თქვენ ცხენს წინა ფეხები წამხდარი ხომ არა აქვს? კარგი აქვს? მადლუნმა ჭკითხა.
—დიალ უფ. მერო, სკოთელერმა უპასუხა. მაგრამ თქვენ გაისარჯეთ ხოლმე და თავდადმართებზედ თავი დაუტვირთეთ. იმ გზაზედ, რომელზედაც თქვენ ჯერ წაბძანდეთ, ბევრი თავ-დადმართებია?

—არ დაგავიწყდესთ: ხვალ დილით, სწორეთ ხუთის ნახევარზედ ტილბიური მზათ ჩემ კარებთან იყოს, მადლუნმა უთხრა და გავიდა.
თვალმანდელი «გასახტებული დარჩა», როგორც მერე თავის ცოლს უამბო.
ორმა თუ სამმა მინუტმა არ გასტარა, რაც მადლუნი სკოთელერის ოთახიდან გავიდა, ერთიც ვნახოთ, უეცრად კარებები ვილამაც შეაღო. ეს ისევ უფ. მერი იყო. სახეზე ისევ ის უვნებელი და დაფიქრებული შეხედულობა ეტყობოდა.

—სკოთლერო,—იმან უთხრა,—თქვენ ცხენს და ტილბიურის, რომელიც მე ვიქირავე, ორივეს ერთად, რას ითვლებთ?

—ესე იგი, ერთი მეორეში შებმული? თვლამანდელმა ღიმილით უთხრა.

—გსთქვათ აგრე იყოს. მაინც?

—განა თქვენ გნებავთ ჩემგნით იყიდოთ?

—არა, მაგრამ ვინიცობაა, მე მინდა თქვენ გირაო დაგიგდოთ. როცა იქიდამ ჩამოვიდე, ეს თუღები უკანვე დამიბრუნეთ. თქვენ ცხენს და ტილბიურის რას ითვლებთ?

—ხუთას თუმანად, უფ. მერო.

—აი ეს თქვენ.

მადლუნმა სტოლზედ ბანკის ბილეთი დაზდო და გაიდა; ამის შემდეგ აღარ დაბრუნებულა.

სკოთლერი ძალიან ნანობდა და სწუხდა, რომ მადლუნს ათასი თუმანად არ დაუფასა და არ გამოართვა. მარამ მაინც ზარალში არ იყო; ტილბიური და ცხენი ორივე ეს ეკიუზე მეტი არა ღირდა.

თვლამანდელმა თავისი ცოლი დაუძახა და ყოველი თვერი უამბო. ეს უფ. მერი სად უნდა მიდიოდეს? ამაზე დაიწყეს ლაპარაკი.

—ის უთუოდ პარიეში მიდის, ცოლმა სთქვა.

—არა მგონია, ქმარმა უთხრა.

მადლუნს ბუხრის თავზე ქაღალდი დარჩენოდა და დაიწყებოდა, რომელზედაც ციფრები ეწერა. თვლამანდელმა ის ქაღალდი აიღო, დახედა და წაიკითხა:

—ხუთი, ექვსი, რვა და ნახევარი? ეს ციფრები უთუოდ ფოჩტის სტანციებსა ნიშნავს.

ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

—ვიპოვე, ახლა კი ვიცი საცა მიემგზავრება უფ. მერი!

—როგორ?

—აქედამ გედენამდის ხუთი ლიეა, გედენიდამ სენ-პოლიამდის ექვსია და სენ—პოლიდამ არრასამდის რვა ლიეა და ნახევარია. ის მიდის არრასში.

ამასობაში მადლენი შინ დაბრუნდა. თავის ოთახში შეკიდა და კარები ჩაიკეტა, მუდამ ასე იცოდა ხოლმე, რადგანაც ადრე იძინებდა. იმ ღამეს, ქარხანის მეკარე დედაკაცმა, რომელიც ამ თანამდებობის გარდა, მადლენის მოახლეც იყო, ნახა, რომ მერს ოთახში სანთელი ცხრის ნახევარზე გაექრო. ეს იქვე ეზოში მცხოვრებელ მადლენის კასსირს უამბო და უთხრა:

—უფ. მერი შეუძლოთ ხომ არ არის? დღეს რაღაც ნაირი უცნაური სახე ჰქონდა. კასსირი მადლენის ოთახების ქვეშ იდგა. მეკარე დედაკაცის ნათქვამს უური არ ათხოვა, წავიდა თავის ოთახში, დაწვა და დაიძინა. შუაღამისას იმან უეცრად გამოიღვიძა და თავის ჯერ ზეიდამ ნაძინარევს ხმაურობა შეესმა. კასსირმა უური გარგა დაუგდო და მიხვდა, რომ მადლენი ზეით თავის ოთახში დადიოდა. ამაზედ ეს ძალიან გაოცდა, უფრო იმიტომ, რომ თავის დღეში ღამე მადლენის ოთახში ხმაურობა არ გაეგო, იქნობამდის მანამ ის დილით არ ადგებოდა ხოლმე ქეშაგებიდამ. ერთ წამს უკან კასსირს შემოესმა, თითქო განჯინა ან შკაფი გაალეს და დაჭეტეს. მერე რაღაც მებელი მისწიეს, ცოტას ხახს ხმაურობა შესწყდა და კიდევ ადამიანის ფეხის ხმა შეესმა. კასსირი ლოგინში წამოჯდა, კარგად გამოეზიზღდა, მიიხედ მოიხედა და ეზოს პირდაპირ კედელზედ წითლად შუქი დაინახა. სადედამაცა სცემდა შუქი, ეტყობოდა რომ მადლენის ოთახიდამ იყო და უფრო დიდ-ალის შუქსა ჰგავდა, ვირემც სანთლისა. იმ კედლის შუქზე ფანჯრის შუშების პატარა ჩარჩოების ჩრდილი არა ჩნდა, ამითი ეცნეოდა, რომ ფანჯარა ღია იყო. იმ სიცივეში ფანჯრის გაღებამ ძალიან გააოცა კასსირი, რომელიც ისევ მაღე დაწვა და დაიძინა. ერთ თუ ორ საათს უკან იმან კიდევ გამოიღვიძა. ისევ ის ფეხის ხმაურობა შეესმა, თითქო ადამიანი წყნარად დადისო იმის ოთახის ჯერ ზეიდამ. კედელს კიდევ შუქი ადგა, თუმცა ნაკლებად იყო, თითქო სანთლისა იყოსო. ფანჯარა მაინც კიდევ ღია იყო.

ეი რა მოხდა და რა ამბავი იყო მადლენის ოთახში.

XIII.

ფორთქვნა და ზექა—ქუხილი ქალაქ ქვეშ.

მკითხველი, რა საკვირველია მიხვდებოდა, რომ უფ, მადლიანი სხვა არავინ არი, თუ არ ყან-ვალყანი.

მას აქეთ, რაც პატარა ყერვი გაქურდა, ყან-ვალყანი სულ გამოიცვალა და სხვა კაცი შეიქმნა, ეპისკოპოსის თხოვნაც ასრულა.

სახელი გამოიცვალა, ბედმა არ უმტყუნა და დაიმალა; ეპისკოპოსის ვერცხლეული გაჭყიდა და თავისთვის, იმის სახსოვრად, მარტო ორი დიდი ვერცხლის შანდანები შეინახა. ქალაქ ქალაქ დაძვრებოდა, ასე თითქმის მთელი ფორანცია გაიარა და ბოლოს ქალაქ მ-ში მივიდა, სადაც იეფი ფასის შავ-შუშის გაკეთება მოიგონა, რომელზედაც ჩვენ ადრე ვსთქვით, და იმ ქალაქში დასახლდა. თითონ-კვე უსარგოდა, რომ იგრძნო და დარწმუნდა, რომ მეორე ნაწილი თავის ცხოვრებისა უწინდელ პირველს არ ჰგავდა. ეხლა მშვიდად და კეთილად ცხოვრებდა, მოიმედოვნე იყო და მარტო ორი ჭაზრი ჭქონდა: თავის ძველ სახელის დამალვა, კეთილად და ნამუსიანად ცხოვრება, რომ ხალხს მორიდებოდა და ღმერთს დაბრუნებოდა და მიახლოებულიყო.

რაც ყვერის ლაპარაკს ყურს უგდებდა, მაშინ იგრძნო რომ იმის თავს რალაც ამბავი იყო ჯ უბედურობა მოახლოებულიყო. იმ დროს ფიქრათ ჯერ ეს მოუვიდა, რომ შანმატიე დაეხსნა, წასულიყო თავის თავი დაებეზღებინა, ის შანმატიე ცოხიდამ გამოეხსნა და იმის მაგიერად თითონ დამწყვდეულიყო. ამ ჭაზრმა ძალიან დასტანჯა და გული მოუკლა, თითქო მთელ ტანში სამართებელმა დაუარა და ხორცებს აგლეჯდნერო; მერე, როდესაც ცოტათი დაცხრა, თავის თავს უთხრა: «ჯარგი, კმაროდეს, ჯერ ვნახოთო!» გაიწყალა გულში პატიოსანი გრძნობა და დაამარცხა თავის მამაცობა. მთელი დღე მოუსვენრად გაატარა, გული აშფოთებული და აღელვებული ჭქონდა. თითონაც არ ესმოდა რა მდგომარეობაში იყო, ჭაზრები ხან და ხან ნაირად ეცვლებოდა; მარტო ეს კი ცოტათი ესმო

და, რომ იმის თავს დიდი უბედურება ემართებოდა. რადგანაც მუდამ დღე ჩვეულებათა ქონდა, ფანტინას ოთახში შეკიდა და იქ იმასთან კარგა ხანი დაყო. თითქმის ამასაც ეგრძნობდა, რომ იქნება არრასში წასვლა მოხდენოდა და თუმცა ჯერ დარწმუნებით არ იცოდა, მაგრამ მაინც თავის გულში ამბობდა, ჩემზე ხომ ეჭვი არავისა აქვსო, კარგი იქნება და ვეცდები კიდეცაო, რომ შანმატიეს გასამართლების დროს მეც იქ ვიყოო. სკოფლერისაგანაც ამ თვიქრით იქირავა ტილბიური, რომ ვინიცობაა წასვლა მოხდებოდა, მზათ ყოფილიყო.

სადილს ძალიან მადიანათ მიაძლო.

რაკი თავის ოთახში შეკიდა, ჩაფიქრდა.

როცა თავის მდგომარეობა გაშინჯა იქნობამდის ცუდათ და საოცრად ეჩვენა, რომ ადგა და ოთახის კარებები მაგრა ჩაკეტა. ეშანოდა კიდევ არავინ არ შემოვიდესო. ერთ წამს უკან სანთელს შეუბერა და გააქრო. სანთელიც კი იმას აწუხებდა.

იმას ეგონა, რომ ვინმე დაძინახვესო.

ვის შეეძლო ენახა?

მაგრამ ის, რომელის შეშკება არ უნდოდა თავის ოთახში შეკიდა კიდეც; რის დაბნელებას და დაბრმავებასაც ნდომულობდა, იმას ის დასცქეროდა კიდეც. ეს თავის სვინიდისი იყო.

იმის სვინიდისი, ესე იგი, ღმერთი.

პირველად, ჯერ თავის თავი მოატყუილა; მარტოკაობა და უფიქრელობა იგრძნო; კარებები კლიტით ჩაჭკეტა, ასე ეგონა, რომ ეხლა ვერავინ ვერ დამიჭერსო და სანთელიც იმ თვიქრით გააქრო, რომ ალარავინ არა მნახავსო. მერე სტოლს ნიდაყვებით დაეყუდა და იმ ბნელაში თვიქრს მისცა თავი.

—სადა ვარ? სიზმარში ხომ არა ვარ? ის რა მითხრეს მე? არა ის ყავერი, მართლა ჩემის თვალით ვნახე და ან ის რას მეუბნებოდა? შანმატიე ვილაა? მაშ ის კაცი სახით მე მგავს? ეს შესაძლებელია? მეტადრე როცა მაგონდება, რომ მე გუშინ ისე სრულიად დამშვიდებული ვიყავ და არც არაფრის ეჭვი მქონდა იმა-

ში. გუშინ ამ დროს მე რას ვაკეთებდი? ეს რა შემემთხვა?—ან რით გათავდება? როგორ დაბოლოვდება—რა უყო? რა ვქნა?..

აი რა თქვენი აღელებდა იმ კაცს. ტვინი თითქმის შეერყა, ალარა ახსოვდა რა და ხელებით შუბლს იგერდა, თითქო ჭკუის მოგრეებას ცდილობდა.

მთელი თავი ეწოდა. მიეიდა, თანჯარა გაალო. ცა შავათ მოლრუბლულიყო, არც ერთი ვარსკვლავი არა ჩნდა. დაბრუნდა და ისევ სტოლთან ახლო დაჯდა.

შუალამის ბირველ საათამდის ასე ამ ყოთვაში იყო. ამის შემდეგ თან და თან გონებას მოეგონა და თავის გარემოება შეიტყო.

იმას ასე ეგონა, რომ რაღაცა საოცარ სიზმარში იყო და მაში გამოელვიძა, როცა ბნელა ღამეში ერთ რაღაც ნაირ დაღმართზე ვითომც დაქანებული მიცურავდა, თვეხი უსხლეტებოდა, თან აკანკალებდა და უბრალოდ ცდილობდა, რომ მოშორებოდა იმ თვალ მიუ"დომელ უთვსკრულს, რომლის ნაპირზედაც კინკილაზე ღა იდგა.

ბინდ-ბუნდში მადლენმა ნათლად წარმოიდგინა ის ვილაცა უცხო კაცი, რომელსაც განგება და ბედი იმის მაგიერად რაცხდა და იმის ნაცვლად იმ საწყალ უცხო კაცს ხელსა ჭკრავდა, იმ უთვსკრულში აგდებდა, და რომ უთვსკრული დამალულიყო და ბირი შეეკრა უთუოდ ერთ ერთი კინმე შიგ უნდა ჩავარდნილიყო, ან თითონ ან სხვა; ეს საჭირო იყო.

ბოლოს გონება სრულიად გაუნათლდა, გატყდა და იგრძნო, რომ ბატარა ყერვეს გაქურდვისათვის ის გალურაზე კატორღაში უნდა ყოფილიყო და ის ადგილი იმას იქნობამდის მოელის და იზიდავს, მანამ თითონ თავის თავად არ მივა და არ დაემწყვდება, ჯ თავის ბედის წერაა, რომ კატორღას ვერ გადურჩება და ვერც ასცდება. მას უკან თავის გულში სთქვა: ეხლა ამ წამში ჩემ მაგიერად სხვა არისო; ეს შავი ბედი კილაცა შანმატიეს შეხვედრიათ, და რომ იმას იქით თითონ ყან-ვალყანი, ერთ და იგივე დროს კატორღაშიაც იქნება, როგორც შანმატიე, და საზოგადოებაშიაც დარჩება სახელად უთვალი მადლენი, როგორც ეხლაა და რომ ში-

ში და თვიქრი ეხლა ალარა თერისა არ უნდა ჭქონდეს, მარტო უნდა ამას ცდილობდეს, რომ ხალხს თვალები აუბას ლ არ დაუშალოს, რომ შანმატიეს დაჭბრალდეს ყველა და ხალხმა იმას ის უპატიობის ლოდი დაადვას, რომელიც საფლავის ქვის მგზავსად თუ ერთი დაეცა, ალარ აიწევა ხოლმე. ეს სასტიკი ჭაზრები და სვინიდისის გაქვავება სულ უეცრად მოუვიდა.

სიჩქარეთ სანთელი ისევ ანთო

—აბა, თავის თავს უთხრა: რისა მეშინიან? აქ მე რიდასი უნდა მეფიქრებოდეს? რალა თვიქრი უნდა? მე გადავრჩი! მორჩა ლ გათავდა. მე მარტო ერთად ერთი კარი მქონდა, ისიც ნახევარზე ლია, რაშიაც ჩემ წარსულ ვითარებას შემოპარვა შეეძლო ჩემ ახალ ცხოვრებაში. ეხლა ეს კარი მე საუკუნოთ ამოვქიალე! ის ჯავრი, რომელიც ასე დიდ ხან მაკრთობდა და მაშფოთებდა, ის საშინელი კაცი, რომელმაც მე მიცნო ვინცა ვარ და მუდამ და მუდამ და ყველგან მე ისე დამდევდა, როგორც კარგი მეძებარი, სულ შეიშალა, აირია, კვალი დაჭკარგა და სხვაგან მეძებს! ის ეხლა გმაყოფილია, დამშვიდებულია, ძლივს, ის მე ეხლა მომასვენებს, იმას ყან-ვალ-ყანი უფოვნია! ვინ იცის, იქნება მართლათაც ამ ქალაქს სრულიად თავი დანებოს და სხვაგან წავიდეს. ეს საუოველი ფერი უჩემოდ გარიგდა და მოხერხდა! ამაში მე არ ვცდილ ვარ და არც გავრეულვარ! ახა ღმერთო ჩემო! აქ საძმისო დიდი უბედურება რა არი, რომ ისე ვწუხდი? სხვას, ვინმეს რომ ვენახე, ასე ეგონებოდათ, ვინ იცის რა ძნელი საქმე დამმართვია! რაც უნდა იყოს, ამ საქმეში ჩემს გამო თუნდ ვინმე დაიტანჯოს და გაუბედურდეს, მაინც მე უვალოვმც ვიქნები და ჩემი ბრალი არ იქნება. ეს საქმე ღვთის განგებამ მოახდინა. სჩანს, რომ იმასა სურს იმის ალსრულება! რა უფლება მაქვს, ან შემიძლიან განგებას უწინამდეგო ლ მოვშალო ან დავარღვიო ის, რაც იმან მოახდინა? ეხლა მე რა მწადიან? რაში ვერევი? ეს ჩემი საქმე არ არი, მე არ შემეხება. როგორ! განა მე კიდევ უმადური ვარ? ამაზე მეტი რალა მინდა? ჩემ წადილი, ჩემი ჭაზრი, რომელსაც მე ამდენი წელიწადია ვეს-

წრაფებოდი, რომელსაც მე სიზმარშიაც კი ვხედავდი, რომელის ახსრულებასაც მე ვეცდებოდი და ვსლოგდი გამჩენსა, — უშიშრობა და უფიქრელობა იყო, რომ გადავრჩენილ ვიყავ, ჩემი სახელი დაშესალა, ეს მე ამიხსრულდა! სჩანს თვით ღმერთს ასე ნებავს. ღვთის ნებას მე წინ ვერ აუდგები. ღმერთს ეს რალასთვის უნდა? იმისათვის, რომ ავსრულო და დავაბოლო რა საქმეც მე დავიწყე-ყო-სიგეთე ვქნა,-რომ მოშავლისთვინ, სამაგალითოდ ვიყო, იმათთვის, ვინც შეინანებს და კეთილ გზას დაადგება! არ დაანკერებთ? მე ჯერ აქნობამდის ვერ გამიგია, თუ მე დღეს რისა დამერიდა ან შემეშინდა, რომ იმ კეთილ მღვდლის სახლში არ შევედი, და რომ ბოლოს სულიერ მამას ყველა დაწვრილებით არ უამბე და რჩევა ან დარიგება არა ვთხოვე? რასკვირველია ისიც მე ამას მეტყოდა: «მორჩა და გათავდა! რაც იქნება, იქნება! ღმერთს მივანდოთ, დეე იმის ნება აღსრულდესო!

თავის გულში და სვინიდისში ასე ამბობდა. მერე ადგა და ოთახში სიარული დაიწყო,— «გმარა, თავის თავს უთხრა: ამაზედ თქვენ-ი აღარ უნდა. გათავდა, მაგრამ გული მაინც არც შეუმსუბუქდა ან არც უხარიოდა: არამედ სვინიდისმა დასტანჯა და თუმცა ძალიან ცდილობდა მოეშორებინა ის ჭაზრები, მაინც გული ეუბნებოდა: «დათქვენ-ი» ! თავის თავს ჭკითხა: მე ეხლა რაზე დავდექი? კარგა გასჩხრიკა და აღეიარა, რომ ყველა, რაც ამის წინ-თ თავის თქვენში გადასწყვიტა, რომ ღვთის ნება უნდა ასრულდესო და იმას არ უწინააღმდეგოსო, ეს მეტად საოცარი და საზარელი იყო. თუ დაჩუმებულიყო ხალხისთვის შეცდომა არ დაენახვებინა და არ გამოაშკარაებინა, რომ შანმატიე ყან-ვალყანი არ იყო, მაშინ ძალიან დაამავებდა და ეს იქნებოდა ამის მხრით წუწკური, გველური, საზარელი და უგვანური ავაზაკობა!

რვა წლის განმავლობაში ამ უბედურმა კაცმა, აი ეს ჯერ ბირველად იგრძნო ავ-თქვენ-ის და ავის საქმის სიმწარე ზიზღით გადაათვალა და თავის თავს კიდევ სასტიკად ჭკითხა: ეს სიტყვები «ჩემი ჭაზრი და სურვილი ამისრულდა» როგორ გესმის? გულში

ალეკსრა, რომ მართლა ჭაზრი და სურვილი ჭქონდა იმის. მაგრამ რა ჭაზრი? რა სურვილი? თავის სახელის დამალვა? პოლიციის მოტყუილება? განა ეკელა, რაც აქნობამდის ამან ჩაიდინა, მარტო ამთქიერით და ამ საქმისთვისა ქმნა, რომ ხალხი მოეტყვილებინა? განა სხვა, ამაზედ უკეთესი, მართალი, ჯეშმარიტი და კარგი ჭაზრი არა ჭქონდა, რომ თავის სახელის დამალვის ნაცვლად სული გადაერჩინა და მოეპოა? ხელახლად ნამუსიანი, კეთილი და პატიოსანი კაცი დამდგარ იყო, განა თითონ ეს არ უნდოდა და ეპისკოპოსმაც მარტო კეთილ კაცობა არ უანდერძა?—წარსულ, ძველ სიცოცხლის კარის დახშობა სწადოდა? მაგრამ, ღმერთო ჩემო, იმ კარს არ კი ახშობდა, უფრო აღებდა, აი იმითი, რომ კიდევ საძაგელ საქმეს ჩადიოდა! ხელახლად საზიზღარი ქურდი და ავაზაკი ხდებოდა! რომ თავის მოძმე კაცს სიცოცხლეს, მშვიდობიანობას ჯაბ ქვეყანაზე ადგილს ჭპარავდა! კაცის მკვლელი ხდებოდა! ის ჭკლავდა, ზნეობითად ჭკლავდა საწყალ კაცს, ის ცოცხლივ სტანჯავდა და იმ საზარელ ქვეყნიურ სიკვდილს სწირავდა და შიგ აგდებდა, რომელსაც სახელად კატორღა ჭქვიან! კარნა ამის მაგიერად, თუ რომ მთავრობასთან მიგიდოდა, თავის თავს გამოაცხადებდა, აღვიარებდა ვინც იყო, იმ თავზარ დაცემულ საცოდავ შანმატიეს დაიხსნიდა, რომელიც ცუდუბრალოდ იქ იტანჯებოდა,—თავის ძველ სახელს მიიღებდა და რადგანაც მოკვლე იყო, სრულიად კატორღელი ყან-ვალყანი გახდებოდა და ასე იმ კაცს დაიხსნიდა, მაშინ ის მართლად რომ მკვდრეთიდ აღდგებოდა, აღმოიშობებოდა, თავის სულს დაიხსნიდა და საუკუნოდ დაჭკეტდა იმ ჯოჯოხეთის ბჭესა, საიდანაც თითონ გამოდიოდა! უთუოდ ასე უნდა ექნა! და თუ ამას არ იქმოდა, მთელი ამის სიცოცხლე უნაყოფო იქნებოდა, შენანება და ეკელა კეთილი საქმეც ფუჭად ჩაუვლიდა. იმ დროს ეპისკოპოსის ახრდილი თავალ წინ წამოუდგა, რომელიც ამას დაჭყურებდა და ეს ჭგრძნობდა, რომ ამას იქით იმდენი, უთვალავი სიკეთის მოქმედი მერი მადლენი უფრო ავად და საზარლად გამოუჩნდებოდა ეპისკოპოსის თვალში ვინემც კატორღელი ყან-ვალყანი. მაშ უთუოდ უნდა

ერრასხში წასულიყო, ცრუ ყან-ვალყანი გაენთავისუფლებინა, გამოეხსნა, მართალი გამოეცხადებინა და თავის თავი დაებეზღებინა! ეს ამის მხრით უდიდესი შეწირვა იქნებოდა, დიდი დამარცხება თავისა, ერთი ნაბიჯი კიდევ უნდა გადადგა და გაებედნა. სამწუხარო ბედის წერაკ! როცა კაცი ხალხში მარცხვენილი და საკიცხავი ხდება თურმე დვთის წინაშე მარტო მაშინ არის პირნათელი და წმინდა.

—მოჩხა, გაგებედოთ! ჩვენი ვალი ავასრულოთ, ის კაცი დაგიხსნათ! ვალყანმა ეს სიტყვები ხმა მაღლივ წამოსთქვა და თითონ კი ვერ შეიტყო, რომ მაღლის ხმით ამბობდა.

თავის დავთრები და ანგარიშები აიღო, შეკვრდა, იანგარიშა, რიგზე დააწყო და დაალაგა. ერთი დასტა ბარათები და ვექსილები, რომლებითაც ზოგერთ გაჭირებულ ლარიბ იქაურ ვაჭრებს ამისი ემართათ, ცეცხლში ჩაყარა და სულ ერთიანათ გადასწვა. მერე წიგნი დასწერა, დაბეჭდა და ზეიდამ დააწერა: «ეთვალ ლათიტს, ბანკირს, არტუას ქუჩაში, პარიყში მიერთოს».

შემდეგ ეუოიდამ ამოიღო პატარა პორთეული (ჩალთა-ბუდე) რაშიაც თავის ბაშოერთი ჭქონდა შენახული და რაკდენიმე ბანკის ბილეთები.

იმ დროს ვისმეს რომ ენახა ის, როცა დათვიქრებული ამ საქმეებს აკეთებდა, უთუოდ მიხვდებოდა თუ რა მდგომარეობაშიაც იყო იმის გული და თვიქრები. ზოგჯერ ტუჩებს აცმაცუნებდა, და მარტო ხანდისხან თავს მაღლა აიღებდა ხოლმე, კედელზე ან ჭერში ერთ ერთ ადგს ძალიან თვალს დაკვირვებდა ხოლმე, თითქო იმ ადგს ის იყოო, რის შეტყობაც უნდოდაო. ლაბოიტის საბელობაზე დაწერილი წიგნი და პორთეული ჯიბეში ჩაიდო და დაიწყო კიდევ ოთახში სიარული.

თავის თვიქრი ამას არა შორდებოდა. და საითაც მიიხედავდა, ყოველგან თავის მოვალეობას ცეცხლის ამოებით დაწერილს ხედავდა და თვალებში უჭერთიალებდა:—«წადი, შენი სახელი აცნობე, შენი თავი დააბეზღე!»

ამასთანვე თავის გულში ამბობდა: ცუდ უბრალო საქმეს ძალად

ხოშ არ გაზვიათებო ჯ თვალში დიდათ არ მიჩანსო? ან ის შანმატიე ამათა ლირსო რასაც მე თავს ვიწუხეთო? რაც უნდა სთქვან, იმას მაინც ქურდობა უქნია. მერე თავის თავს თითონვე უპასუხა: — თუ შანმატიეს, მართლად, მარტო რავდენიმე ვაშლი მოუპარავსო, ამაში საიმისო დიდი დანაშაულობა არა არის რა,—ქურდობისათვის ერთ თვეს ციხეში დაამწყვდევენო და საქმე იმითი გათავდებაო. ისიც ვინ იცის? მართლა იმას მოუპარავს? განა ეს დამტკიცებით იციან? იმის ბრალი მარტო იმაშია და ამითი გაამტყუნებენ, რომ ვითომც ჟან-ვალჟანი ჭკვიან. ერთიც ეს, მერე რომ ანრიასში წავიდეს და თავის თავი დაანებზლოს, მაშინ იქნება ამის გულწრფელობას, ამ გვარ ამის პატიოსან მოქმედებას, ამის პატიოსან და რიგიან ყოფაქცევას ის უკანასკნელ შვიდ წელიწადში, პატიები სცენ და რომ იმ მხარეს, მთელ ხალხს დიდი შემწეობა მისცა, ამითი მაინც აპატიონ.

ეს განძრახვა ამას მალე დაეკარგა და მწარედ გაიღიმა, როცა მოაგონდა, რომ უკანასკნელი ქურდობა, პატარა ყერგეს რომ ორმოცი სუანი მანეთი მოჭპარა, მაინც კიდევ ქურდათ და ავაზაკად ხდიდა. «ამას მე, როგორც ძველ კატორღელს არ შემარჩენენო და განონების ძალით მე გამასამართლებენ და საუკონოდ კატორღაში გადამკარგვენო.»

ჟან-ვალჟანი ცდილობდა რომ ჭკუის და გრძნობის შეცდომიდამ გამოსულიყო და კიდევ იმ ჭაზრზე მიგიდა, რომ საჭირო იყო თავის ვალდებულების ახსრულება და მოვალეობიდამ გამოსვლა და თუ ქალაქ მ-ში დარჩება, ყველა თვერს განგებას მიანდობს, თუ არ წავა და არ დაიხსნის იმ შანმატიეს, მაშინ ხალხისაგან ამის პატიების ცემა, ამის კეთილი სახელი, კარგი ადამიანობა, ამის სიმდიდრე, მადლი და ყოველი კეთილი საქმეები მუდამ სიავაზაკით იქნება შეზავებული.

ამდენ საშეუხარო ჭაზრებმა ჟანვალჟანს სიმხნე არ დაუკარგ ეს, მარტო თავი შეუმძიმდა და ძალდატანებით სხვა საგნებზედ დაიწყო ფიქრი.

საფერთქლები საშინლად უცემდა. კიდევ ოთახში ბოლთას სცემ-

და. შეა ღამე იყო. ჯერ ეკლესიის საათმა დაჯკრა, მერე რატუშისამ. ვალუანმა საათების რეკვზე თოფმეტი დასთვალა, ერთზედაც ლ მეორეზედაც, ერთ საათის ზარის ხმა მეორესთან შეათვარდა. ამაზედ, მოაგონდა, რომ რამდენიმე დღის წინად ერთ რკინეულის გამსყიდველის დუქანში ერთი ზარი ნახა, რომელზედაც ეს სიტყვები ეწერა: «ანტონ ალბინი რომენვილში.»

ამას შესტიგდა, ბუხერში ცეცხლი ანთო და თვანჯარის მიხურვა კი დაავიწყდა, ხელახლად კიდევ დადუმდა. კარგა ხან ცდილობდა რომ მოეგონებინა, თუ შუალამემდის რაზედ თვიქრობდა,-ბოლოს რის ყოთვით, ძლივ მოაგონდა.

—ჭო, მართლა, ვალუანმა თავის თავს უთხრა, მე ახლ გადავწყვიტე, რომ არრასში წავიდე და მთავრობას ჩემი თავი დავაბეზღო.

ამ დროს უეცრად თვანტინა მოაგონდა და სთქა:

—მაგრამ იმ საწყალ დედა-კაცს რა ეშველება, რა უყო?

და უცებ ისე ეჩვენა, თითქო ახალ შუქის სხივმა ამის გონება გაანათა.

—კაიმე! ეს აქნობამდის, მე ხომ მარტო ჩემ თავისთვის ვფიქრობდი და ვზრუნავდი! დავჩუმდე მეთქი თუ გამოცხადდე და გამოვაშკარო,—ჩემი თავი დავიცვა, თუ ჩემი სული გადავარჩინო და დავიხსნა,—ვიყო შეურცხყოფილი, დასაძრახისი, და ამასთანავე პაპტიზსაცემი კაცი, თუ, ვიყო სახელ გატეხილი, მაგრამ ნამუსიანი და პატიოსანი კაცორელი? ეს სულ მე შემეხება, საკუთრად მე, სულ მარტო ჩემ საუკუნო «მე»-ზე ვზრუნავდი! ახა ღმერთო ჩემო! ეს ხომ თავ-მაძწონობა და თავის მოყვარულობაა! კაცმა სხვებისთვისაც უნდა ითვიქროს და არა მარტო თავის თავზედ; მოყვასისათვის ზრუნვა პირველი მადლია! აბა დავფიქრდე და ეს საქმე კარგათ გავარჩიო. თუ მე ალარ ვიქნები, მიწასთან გავწორდები, ჩემ თავის თვის არ ვიზრუნებ და ჩემ «მე»-ს დავიწყებ, მაშინ ამისგან რა გამოვა? რა იქნება? ვსთქვათ, მე გამოვცხადდი და ჩემი თავი მთავრობას დავაბეზღე, რას მიზამენ? მე დამიჭერენ. იმ შანმატიეს ციხიდამ გაანთავისუფლებენ ლ მე ხელ მეორედ კატორღაში გა-

დამკარგვენ, ძალიან კარგი, გსთქვათ ასე იყოს, მერე? აქ რაღა მოხდება და რა ცვლილება იქნება? აქ ქალაქია, შიგ ქარხანებია, ვაჭრობაა, ხელოსნები და მუშები მრავალნი არიან: კაცები, დედა-კაცები, მოხუცებულები, ყმაწვილები, საწყალი, ღარიბი ხალხია! ეს სუფველაფერი მე ავაშენე, მე შევქმენი, ეს ხალხი სულ ჩემგნითა სცხოვრობს, რა ქოხშიაც კი ბოლი ამოდის, იქ, იმ ბუხერში ჩემი შეკეთებული შუშაა, თუ იქ საღმე ცეცხლზედ თბილი რამ ეხარშებათ, ამის მიზეზი მე ვარ; ეს კეთილ მდგომარეობა ხალხისა მე დავბადე, აქაური ხალხი ეხლა ალებ-მიცემაშია, ნდობა კარგი აქვსთ და ვაჭრობა; ჩემ მოსვლამდის აქ არაფერი არ იყო, სისაწყლის მეტი; მე ეს მხარე გავაცოცხლე, ხალხი ფეხზედ წამოვაყენე, წავაქეზე, შევაგულიანე, გავანაყოფიერე და მთელი მხარე გავამდიდრე; თუ მე არ ვიქნები—ამ ყოველს ფერ სული მოაკლდება, აღარა იქნება რა და აოხრდება. ამ დედაკაცს რაღა მოუვა? ამ უბედურს, რომელმაც ამდენი ტანჯვა და ვაება გამოიარა, რომელსაც მე უნებურად ამდენი სიავე უყავ და იმის უბედურების მიზეზი მე ვარ! ან იმ ყმაწვილს—რომლის ჩამოყვანაც მე იმის დედას დავუბირდი და მოსაყვანათ მე მინდოდა წავსულ ვიყავი! განა იმ სიავისათვის, რაც მე იმ საცოდავ დედაკაცს ვუყავი, ნაცვლად სიკეთე არ უნდა გადუხადო? იმის მოკვლე განა არა ვარ? მე რომ დავიკარგო, იმათ რა მოუვათ? დედა მოკვდება და ყმაწვილს ყოველმა უწყის რა დაემართება და ან რა გამოვა. აი ეს ამბები მოხდება, თუ ჩემი თავი მთავრობას დავაბეზღე. თუ არ დავაბეზღე? ჰა? ვნახოთ მაშინ რაღა იქნება.

რაკი თავის თავს ეს ჰკითხა, ვალყანი ერთ წამს შედგა, არ იცოდა რა ექნა და აკანკალდა; მაგრამ ამ მდგომარეობაში დიდხანს არ იყო და მშვიდად უპასუხა:

—მართალია, იმ კაცს მაშინ გალერაზე კატორღაში გაგზავნიან,—აქ სიმისო არა არის რა, იმას განა ქურდობა არ ჩაუდენია? არ მოუპარავს? თუნდ მე რომ ვსთქვა, არ მოუპარავს, მაინც ქურდია, რადგანაც ხალხს ქურდათ მიაჩნდა! მე კი მაშინ, აქ დავ-

ნჩები და ისევ ჩემ დაწყობილ საქმეს ავავსრულებ. ათ წელიწადში, ათ მილიონ მოვიგებ, იმ თუულს სულ ერთიანად სხვებს ურიგებ, ჩემთვის გროშსაც არ დავინებებ; რა უშავს? განა მე ჩემოვის ვწევ ჯავსს და ჩემთვისა ვფიქრობ? ვაჭრობა და ალებ-მიცემა კარგი იქნება, გამრავლდება, მუშა ხალხს სამუშაო არ მოაკლდება, ათასი სახლობა და ოჯახები გაკეთდებიან, გაბედნიერდებიან, იქ საცა ეხლა არა არის რა, სოფლები მოშენდება; სისაწყლე, ლარიბობა გაქრება, ალარ იქნება და რაკი სისაწყლე, გადაგარდება, მაშინ არც გარეკნილობა, არც ქურდობა და არც კაცის მკვლელობა ალარ იქნება, ხალხი ყოველ ნაირ ავაზაკობიდამ ხელს აიღებს და ეს საწყალი დედა ასე ზდის თავის შვილსა! ასე მთელი მხარე გაბედნიერდება და გამდიდრდება! არა, რამ გამაგიყა? რაზე გავბრიყვდებოდი და ჩემ თავს მთავრობას დავაბეზღებდი! ან რისთვის? მარტო იმისთვის, რომ ჩემი თავის პატიოსნება გამოვიჩინა! არა, მე ასე მალე არ უნდა აჩქარებულ ვიყავ, ამისთანა დროში სულ გრძელობაა საჭირო, გულწრფელობა არ კარგა. ეს ასე ამ მიზეზით მოხდა, რომ მე მარტო ჩემის თავის თვის ვფიქრობდი; განა მარტო იმისთვის, რომ ვინიცის, ვილაცა უბრალო ქურდი, მე, განზიერ, თუმცა იქნება სასტიკ და დიდ, მაგრამ სამართლიან სასჯელს და წვალებას გადავარჩინო? იმის გულისათვის, მე მთელი ეს მხარე და ხალხი უნდა დავღუბო? ის საცოდავი დედა-კაცი აქ ლაზარეთში ოხრათ უნდა დარჩეს და სული ამოუვიდეს, და იმის ყმაწვილიც სადმე, უპატრონობით უნდა მოკვდეს? ოჰ! ეს საზარელია! დედა მშობელი ვერ ელირსება თავის ყმაწვილის ნახვას და ყმაწვილს არ ეცოდინება ვინ იყო იმის დედა! ეს ამდენი უბედურობა ერთ ძველ ავაზაკის გამო უნდა მოხდეს, რომელსაც ვაშლები მოუპარავს და რომელიც უთუოდ კატორღის ღირსია, თუ არ ამ ქურდობისათვის მაინც სხვა საქმისათვის. ამოდენა საწყალი ხალხი მე უნუგეშოთ უნდა დავაგდო? წავიდე და მთავრობას ჩემი თავი დავაბეზღო? მე ეს სიბრიყვე უნდა ჩავიდინო? რა მრჯის რა მატოდვილებს? არა! ის შანმატიე ამათ არა ღირს!

ვალუკანი ადგა და კიდევ დაიწყო ოთახში სიარული. ეხლა კი თითქო დამშვიდებული და კმა-ყოფილი იყო.

როგორათაც ადამიანების ბოვნა მარტო დედა მიწის სილრმეში შეიძლება,—აგრეთვე ჭეშმარიტების და სიმართლის ბოვნა, მარტოდ ჭაზრების სილრმეშია შესაძლები. იმას ეგონა, რომ იმ სილრმეში ჩავიდა, იქ ბნელაში დიდხან ეძებდა და ბოლოს ერთი იმ ადამიანებისაგან, ერთი იმ ჭეშმარიტებისაგან იბოვნა, თითქო ხელში ეჭირა და იმის შუქი ამას აბრმაებდა.

—ჭო, ვალუკანმა იფიქრა, ეს ასეა! მე ჭეშმარიტება ვბოე! მე მართალი ვარ. ეს საქმე რითიმე უნდა გავათა. მოვრჩი და გადავწყვიტე! რაც მომიგა, მომიგა! ამ თქრს ალარ გამოვიცვლი. დავჩუმდები და ხმას არ ამოვიღებ; ხალხის სასარგებლოდ ასე ვიქ და არა ჩემის თავის თვის. მე მადლენი ვარ და მადლენად ვიქნები. და დავრჩები! ვაი იმის ბრალი, ვინც ყან ვალუკანია! ეს სახელი ჩემი ალარ არი. მე იმ კაცს არც კი ვიცნობ ვინ არი, ეხლა თუნდ ვინც უნდა გამოჩნდეს სახელად ყან-ვალუკანი, დაე რაც უნდა ქნას! ეს მე არ შემეხება, რა ჩემი საქმეა!

მერე ბატარა სარკეში ჩაიხედა, რომელიც ბუხრის თავზედ ეკიდა და სთქვა:

—ეხლა მე სულ სხვა ვარ, დავმშვიდდი,-თითქო გულს ჭირი უკუ მეყარაო. მაგრამ ზოგი ერთი ნიგთებია კიდევ, რომლებიც მე ყან-ვალუკანთან მაკავშირებენ. ეს კავშირი მე უნდა გავწყვიტო. ნიგთები ამ ოთახში მაქვს შენახული, რომლითაც შეიძლება მე გამამტყუნონ. ეს უენო მოწმები უთუოთ უნდა გავაქრო. ჯიბეში თავის ქისა იბოვნა, გახსნა, იქიდამ ბატარა გასალები ამოიღო, იმითი კედელში დამალული განჯინის კარი გაალო. იმ განჯინაში რაღაც ძველ-ძველები ჭქონდა შენახული: ლურჯი ნაშურის ბლუზი, ძველი შალვარი, ძველი გუდა და ვეება ჯომბალი. ვისაც ყან-ვალუკანი ქალაქ მ-ში მისვლის დროს დეკემბრის თვეში წელსა 1815-ში უნახავს, ის უეჭველია იმის დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსს იმწამსვე იცნობდა.

ამ ტანისამოსს, როგორც ვერცხლის შამდნებს, თავის უწინდელ სიცოცხლის მოსაგონებლად ინახავდა. რაც გაღელვიდამ გამოჭყვა იმას მალავდა და ეპისკოპოსისაგან ნახუქარი ვერცხლის შამდნები კი ზეიდამ ჭქონდა, ოთახში ეწყო ხოლმე.

უეცრად ოთახის კარებებს შეაჯდა,—თითქო ეშინოდა, რომ არავინ შესულიყოო, თუმცა კარები მაგრა ჩაკეტილი იყო,—მერე ის ძველძველები, ჯოხი ლ გუდა, როზლებსაც ისე სიფრთხილით ლ კრძალვით ინახავდა, საჩქაროთ მოხვეტა, აიღო და ცეცხლში ჩაუარა.

მერე განჯინა დაკეტა და სიფრთხილისათვის იმის კარებს რაღაც მებელი მიაყუდა. ცოტას ხან შემდეგ ოთახი და პირდაპირი კედელი წითლად განათდა. კოშბალს, დაწვის დროს, ჯახი-ჯუხი გაჭქონდა და ნაპერწკლებს ოთახის შუაგულში ისროდა. როცა გუდა მთლიგ ერთიანათ დაიწვა და განაცრდა, ძირში რაღაცამ ჯერთიანი და ბწყინვა დაიწყო. თუ კაცი კარგა დაჭკვირებოდა, ნახავდა, რომ ის თეთრი მანეთი იყო. ეს, ის ორმოცი მანეთი იყო, რომელიც ყან-ვალყანმა პატარა სავოიარ ყერვეს მოჭპარა.

ყან-ვალყანი ოთახში ბოლთას სცემდა და ბუხერში ცეცხლს არ უუურებდა. უცებ შეხედა და ბუხრის თავზე წყვილი ვერცხლის შანდანი დაინახა, რომლებსაც ცეცხლის შუქი ცოტათი ანათებდა.

—მოიცა, იმან ითქვა, მთელი ყან-ვალყანი ხომ ჯერ კიდევ ამათში აქ არისო, არა, ეს შანდნებიც უნდა გავაქრო.

მიეიდა და ბუხრის თავიდამ ის ორი შანდანი აიღო.

ბუხერში კიდევ ისეთი სავმა ცეცხლი იყო, რომ ის შანდნები გაედნო და ერთი გამოუცნობი ვერცხლის ზოდი გაეხადა.

ცეცხლ ნაპირას მიეიდა და პატარა ხანს თბებოდა. მართლა სიამოვნება ნახა და სთქვა:

—რა კარგი სითბოა!

ცალ შანდნით ნაკვერჩხლები გაასწორა.

ამ დროს ხმა შემოესმა და მოეხვენა, თითქო თავისში, ვიღაცა უუვირდა:

—ყან-ვალყანო! ყან-ვალყანო!

ჟურნალი «საქართველოს მოამბე» თვე ჯ თვე გამოვა სიგრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ 112 . გვ.—160 გვერდამდე, თუ შეგვეძლება მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად—ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში კომენდანტის ქუჩაზედ, კნ. ხავარსამიძის სახლებში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უმორჩილესად ვსთხოვთ ამ რუსული ადრესით გამოგზავნონ:

Въ редакцію грузинскаго журнала «Грузинскій Вѣстникъ.»

ДОЗВОЛЕНО ЦЕНЗУРОЮ

19-го Октября 1863 года. Г. Тифлисъ.